# ლელო

№050 (12 426)

1 მარტი შაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ დაქაბუნდა ქართული ფეხბურთი?



## ლიპი ლაციოში?

იტალიურ პრესას თუ დავუჯერებთ, მომავალი სეზონიდან "ლაციოში", შეიძლება, **მარჩელო ლიპიმ** იმუშაოს. "ბიანკოჩელესტეს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** გუნდის შედეგებით მეტისმეტად უკმაყოფილოა. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან "ლაციალე" გადარჩენისთვის იბრძვის, ეს კი მის სახელს არ ეკადრება. შარშან, გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, მაგრამ ამ სეზონში მწვრთნელი **დელიო როსი** პრობლემებს ველარ აუდის. დიდია შანსი, რომ მან ჩემპიონატის ფინიშამდეც ვერ მიაღწიოს...

თუ ლიპი ლოტიტოს წინადადებაზე დათანხმდა, საქმეს მხოლოდ ახალი სეზონიდან შეუდგება. მაესტრო ყოველთვის ამბობდა, რომ ითანამშრომლებს მხოლოდ იმ კლუბთან, რომელიც ამბიციურ პროექტში მონაწილეობას შესთავაზებს. საკითხავია, რამდენად შეძლებს ამას ლოტიტო, რადგან ცნობილია, რომ ის უმკაცრესი საფინანსო პოლიტიკის მომხრეა. ეს კი, ერთი მხრივ, ვარსკვლავების ყიდვას თავისთავად გამორიცხავს. მაგრამ, ინფორმაციაში ისიცაა ნათქვამი, თითქოს "ლაციოს" პრეზიდენტი მზადაა, სატრანსფერო საქმიანობაში მარჩელოს სრული თავისუფლება მიანიჭოს.



## ნაკრებში მოხვედრა 3000 დოლარი ღირდა!

4

ინტერვიუ აქტუალურ თემაზე



## ცინცაძე ბალტიის საუკეთესო გამთამაშებელია

ლეგიონერები 10



## ადრიანოს სან პაულოდანაც აგდებენ

**ადრიანომ** ჭკუა ვერ ისწავლა. "ინტერმა" იმიტომაც გაუშვა სამშობლოში, ეგებ, იქიდან დაჭკვიანებული დაგვიბრუნდესო, მაგრამ ამ კაცის გამოსწორებას საშველი არ დაადგა. ის ახლა არენდით თამაშობს "სან პაულოში", სადაც ივნისამდე უნდა დარჩეს. თუ მან საქმისადმი დამოკიდებულება არ შეცვალა, **მასიმო მორატი** სათოფეზე აღარ გაიკარებს და აუცილებლად გაყიდის. ამასწინათ, 25 წლის ფორვარდი კვლავ შენიშნეს ერთ-ერთ ღამის ბარში, ხოლო გუშინწინ, ვარჯიშზე ჯერ მთელი საათნახევრით დააგვიანა, მერე კი ბაზა ნაადრევად დატოვა. "სან პაულოს" სპორტული დირექტორი **მარკო აურელიო კუნია** პირდაპირ აცხადებს: თუ ის აქ ბედნიერი არ არის, შეუძლია, სადაც უნდა, იქ წავიდესო. მაგრამ, ვიდრე სადმე წავა, ადრიანოს ჯერ სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს. ნიჭიერი ფეხბურთელის კარიერა თვალსა და ხელშუა ინგრევა... თუ უკვე არ დაინგრა.

## ვინ აჩუქა კალაძეს როლს როისი?

27 თებერვალს კახა კალაძემ 30 წლის იუბილე აღნიშნა. როგორც გუშინ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, მანქანების მოყვარულმა იუბილარმა ძვირფასი საჩუქარი მიიღო: ავტომობილი "როლს როის ფანტომი". კალაძისთვის "როლს როისის" მჩუქებლის ვინაობა არ სახელდება.



## საფეხბურთო უქმეები

საქართველო

### ზესამეულის გამოცდა

მთავარი მატჩი ლოკომოტივზე 15:00 LIVE მზა

3 XV ტურის წინათქმა

ევროპა, გერმანია

### კობიაშვილი ბაიერნის წინააღმდეგ

BUNDES LIGA

მსოფლიო ფეხბურთი 5-9

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# მესხეთში მარტის ფულია

## რა იქნება მერე?

ახალციხის "მესხეთი" ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთ-ერთი ინფორმაციით მესხებმა შესაძლოა მეორე წრეში ვერ იასპარეზონ. საკითხით დავინტერესდით და კლუბის პრესიდენტ გია მესხელს რამდენიმე კითხვით მივმართეთ. როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო. "მესხეთის" მდგომარეობა მთლად ისეთი არაა, ჩემპიონატში ასპარეზობა რომ ვერ გააგრძელოს. თუმცა საკითხავია, როდემდე?

**- როგორც გავიგეთ, კლუბის ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ისიც კი ითქვა, "მესხეთმა" შესაძლოა სეზონი ვერ განაახლოსო...**

- ცოტა ხნის წინათ, მძიმე და გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავით. შეიძლება ითქვას, რომ მართლა საეჭვო იყო ჩემპიონატში ასპარეზობის გაგრძელება. ამჟამად ვითარება უკეთესია, მაგრამ მომავალი ჯერჯერობით ისევ ბუნდოვანია.

**- იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ...**

- კლუბს გამგეობა აფინანსებდა. გასულ შემოდგომაზე იყო ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პრეზენტაცია, რომლის მიხედვითაც სტადიონებს მიეხედებოდა და კლუბები, ვინც ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან ფინანსდებოდა, ინვესტორების ხელში გადავიდოდნენ მყარი ფინანსური გარანტიით. როგორც გავიგეთ, წლიურად 500 ათასი ლარით დაფინანსებაზე იყო საუბარი. "მესხეთი" ამ პროგრამაში ორივე მიმართულებითაა ჩასმული. ეს ჩინებული პროგრამაა და მართლაც დიდად წაადგება ჩვენი ფეხბურთის განვითარებას, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ამოქმედება გარკვეულ მიზეზთა გამო, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ახალციხის გამგეობამაც აღარ დაგვაფინანსა. შესაბამისად, ძალიან რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით. ისევ გამგეობა დაგვიდგა მხარში და მადლიერები ვართ. თუმცა ეს იმდენია, რომ მხოლოდ რამდენიმე კვირა გვეყოფა.

**- უმაღლესი ლიგის კლუბს თვეში მინიმუმ რა თანხა სჭირდება?**

- თვის განმავლობაში მინიმუმ 50 ათასი ლარი სჭირდება. მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ხომ არ გვყავს გუნდი. სულ 5 გუნდი გვყავს, ამ ხუთივეს ტრანსპორტირება, კვება, ეკიპირება სჭირდება. არსებული ფინანსები რამდენიმე კვირას გვეყოფა. აი, მერე რა იქნება, ჯერჯერობით ბუნდოვანია.

**- ახალციხის ახალ გამგებელს რამდენად უყვარს ფეხბურთი? არ გაქვთ იმედი, რომ გამგეობა კიდევ დაგეხმარებათ?**

- მას კი უყვარს ფეხბურთი და სტაჟიანი ქომაგიცაა, მაგრამ... გამგებელს რამდენადაც არ უნდა უყვარდეს ფეხბურთი, რაიონში პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების რეაბილიტაცია, წყლის პრობლემის მოგვარებაა. ამასთან გამგეობის ამ წლის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია და ეს როგორ მოხერხდება?

**- გამოსავალს რაში ხედავთ?**

- იმედია, მალე ამოქმედდება ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. ალბათ, ამ პროგრამაში ჩასმული სხვა კლუბებიც მეტნაკლებად ჩვენნაირ ვითარებაში არიან. თუ მისი ამოქმედება ფერხდება, მაშინ გარკვეული საგარანტიო დოკუმენტი მაინც უნდა მოგვცენ, რომ 500 000 ლარს კლუბები მიიღებენ. ამ საბუთით, შეიძლება ბანკიდან კრედიტის აღება, რომელიც შემდეგ ამ თანხიდან დაიფარება. კრედიტის პროცენტები ჩვენი გადასახდელი იქნება და გადავიხდით.

**- არსებული ფინანსები კონკრეტულად რამდენ ხანს გეყოფათ?**

- ალბათ 3-4 კვირა. აპრილსა და მაისში თანხა ნამდვილად არ გვექნება.

**- "მესხეთი" მეორე წრიდან საშინაო მაჩებს ბორჯომში ჩაატარებს. ახალციხეში სტადიონის რეკონსტრუქცია უკვე დაიწყო?**

- ფეხბურთის განვითარების პროგრამით ჩვენი სტადიონის რეკონსტრუქცია თებერვალში უნდა დაწყებულიყო და აგვისტოში დამთავრებულიყო. თუმცა სამუშაოები არ დაწყებულა და ვერც აგვისტომდე მოესწრება დამთავრება. როგორც ახლახან გავიგე, რეკონსტრუქცია, ალბათ, ზაფხულში, ივნისიდან ან უფრო მოგვიანებით დაიწყება.

**- ახლა სხვა თემაზე გკითხავთ. რამდენად ნაყოფიერად გამოიყენეთ მოსამზადებელი პერიოდი?**

- ზამთრის პაუზისას გუნდი არაერთმა მოთამაშემ დატოვა და ფეხბურთელები რომ არ დაგვემატებინა, ელემენტარულად ვერ გავაგრძელებდით ჩემპიონატში მონაწილეობას. ახალი წლის


გია მესხელი

შემდეგ, გუნდმა ვარჯიში რომ გაანაახლა, იყო პერიოდი, როცა მხოლოდ 11 ფეხბურთელი გვყავდა. აქედან ორი მეკარე იყო. კლუბის ფინანსური ვითარების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ არსებული მწირი თანხები ფეხბურთელების დამატებაზე გადაგვესროლა, ვიდრე გუნდი მოსამზადებელ შეკრებაზე ბათუმში გაგვეშვა.

"მესხეთი" ბორჯომში მოემზადა, მაგრამ დიდთოვლობამ შეგვიშალა ხელი. მოედანი თოვლითა და ყინულით იყო დაფარული. მხოლოდ მოედნის მესამედის განმენდა მოხერხდა და იმ ნაწილზე ვემზადებოდით. ახალციხეში კი საერთოდ გამყინვარება იყო, შეუძლებელი იყო ვარჯიშის ჩატარება. შესაბამისად, გუნდი ძალიან ცუდად მოემზადა.

**- რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაიმატეთ. როგორ ფიქრობთ, ახლა უკეთესი კონტინგენტი გყავთ თუ პირველ წრეში?**

- ვფიქრობ, ახლა უკეთესი გუნდი გვყავს. პირველ წრეში რამდენიმე ასაკოვანი ფეხბურთელი გვყავდა, ახლა კი გუნდი გავაახალგაზრდავეთ. მოსამზადებელი პერიოდის გამო ვფიქრობ, მეორე წრის სასტარტო ტურებში გაგვიჭირდება, მაგრამ 4-5 ტურის შემდეგ გუნდი საკადრისად ათამაშდება.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ სულიკო დავითაშვილთან

# იმისთვის ვთამაშობ, რაც ჯერ არ დამთავრებულა

საინტერესო, გამორჩეული ხალხი რა თქმა უნდა, საქართველოს ჩემპიონატსაც ჰყავს. **სულიკო დავითაშვილს** რამდენიმე ქართულ გუნდში უთამაშია და სადაც კი მივიდა, გოლები ყველგან გაჰქონდა. შარშან სულიკო 30 წლის შეიქნა და საქართველოდან წასვლაზეც დაფიქრდა, თუმც ჯერაც თბილისის "ამერშია", სადაც ბოლო ორ წელიწადში ორჯერ მოიგო საქართველოს თასი.

*"ყაზახეთიდან დამირეკეს, ელაპარაკნენ კლუბის ხელმძღვანელობასაც, მაგრამ პირობებზე რომ მიდგა საქმე, ყაზახეთში წასვლაზე უარი ვთქვი. ისიც კი მითხრეს, თუ ჩამოხვალ, ერთი-ორი დღე უნდა დაგაკვირდეთო. 30 წლის ფეხბურთელისთვის უცხოეთში ასეთი პირობით წასვლა ძნელია"*-გვითხრა სულიკომ.

მას "ამერთან" კიდევ წლინახევრით აკავშირებს კონტრაქტი და როგორც თვითონ გვითხრა, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ალბათ სხვაგან არ წავა.

"ამერისთვის" ის ახლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. **რატი წინამძღვრიშვილი** და **ბესიკ ჩიმაკაძე** ბოლომდე გამოჯანმრთელებულნი არ არიან, **რევაზ გოცირიძეს** ჯერაც ვერ წაუვიდა თამაში, **დიმიტრი ტატანაშვილს** ხშირად აწუხებს მიკროტრავმები და ამერელთა მთავარი იმედი შეტევაში დავითაშვილია.

"ამერი" ამ დროისთვის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა და ისევ თასისთვის იბრძვის, თუმცა თასი ბოლო ორ წელიწადში ორივეჯერ ასწია და იქნებ ძველებურად აღარ შია სათასო გამარჯვებები?

*"არა მგონია, ასე იყოს, სათასო მოტივაცია ისევ მაღალია, თუნდაც იმიტომ, რომ საჩემპიონო შანსი დავკარგეთ. ახლა მთლიანად თასზე ვართ გადართულნი".*

რაც არ უნდა წარმატებები ჰქონდეს გუნდს, ახალი სისხლი და გადახალისება მაინც სჭირდება. "ამერის" ბირთვი კი ფაქტობრივად არ შეცვლილა. ვინძლო ამერელებს ახალი გარემო, ახალ გუნდში გადასვლა სჭირდებათ, რათა ახალი მუხტით ათამაშდნენ.

*"ჩემპიონატში ცუდად რომ ნაგვივიდა საქმე, ამ ფაქტორს არ ვაბრალებ. უბრალოდ, ჩავარდნა გვქონდა და ამისგან თავის დაღწევა გაგვიჭირდა. ხელფას-პრემიას შეუფერხებლად ვიღებთ და მოტივაცია არც ამ მხრივ გვაკლია".*

როგორც უნდა იყოს, ახლობლებისგან "აბრეზად" წოდებული დავითაშვილი საქართველოს ჩემპიონატს ისე შემორჩა, უცხოურ გუნდში არასდროს უთამაშია, არადა ეს რამდენჯერმე უცდია. არ გვგონია, ის მათზე ნაკლები იყოს, ვინც საქართველოდან ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით წასულა უკეთესი ჯამაგირისთვის, მაგრამ...

*"გული იმაზე როგორ არ მწყდება, რომ უცხოეთში ვერ ვითამაშე. შესაძლოა, ასეთ დონემდე ვერ მივედი ან იქნებ იღბალი დამაკლდა. საქართველოში კი სადაც არ მივედი, ვფიქრობ, ყველგან ნორმალურად ვითამაშე".*

და რაღა უნდა იყოს მოტივაცია ასეთი ფეხბურთელისთვის? მხოლოდ ის, რომ იშრომოს და ხელფას-პრემია აიღოს?

*"ასე რომ იყოს, ჩემს თამაშს აზრი არ ექნებოდა, ფეხბურთი ჩემთვის მხოლოდ ის არ არის, მოედანზე ირბინო და ამისთვის ფული აიღო. გოლს რომ გაიტან და რომ გაიმარჯვებ, ეს დიდი გრძნობაა და ეს ყველაფერი ჩემში ჯერ არ დამთავრებულა".*

რაც შეეხება მიმდინარე ჩემპიონატს, დავითაშვილს მიაჩნია, რომ ამ დროისთვის ყველაზე სიმპათიური გუნდი "ვიტ ჯორჯიაა".

*"სეზონის წინ მეც ვამბობდი, "ვიტ ჯორჯია " ჩემპიონი ვერ გახდება-მეთქი, მაგრამ თუ "დინამო " და "ზესტაფონი" ასე გააგრძელებენ..."*

**დავით თავართქილაძე**


სულიკო დავითაშვილი

# ბოიომოს კუნთი, სიონს კი ნახევარი გუნდი მოსწყდა

ბოლნისის "სიონი", რომელიც დღეს "დინამო თბილისს" მასპინძლობს, შავ დღეშია - ჩემპიონატის ლიდერს განახევრებული შემადგენლობით უნდა ეპაექროს.

ჩემპიონატის წინა ტურში "სიონს" კამერუნელი მცველი **ბოიომო ფრიდოლინი** ისე დაუშავდა, მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. გამოკვლევამ დაადგინა, რომ ბოიომოს კუნთი აქვს გაწყვეტილი.

"დინამოსთან" ბოლნისელებს ორი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი არ ეყოლება - **შოთა ჯიქია და ლევან შავგულიძე**.

ბოიომო-ჯიქია-შავგულიძის გარდა "სიონი" კიდევ ორ ტრავმირებულს მოისაკლისებს - **ლევან ვაშაკიძესა და ლევან სანიკიძეს**.

ამ ხუთეულს ვინძლო **დავით სვანაძე** და **გიორგი ოქროპირიძეც** დაემატნონ - მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ისეთია, "დინამოსთან" ან ითამაშებენ ან - არა.

ასეთ "სიონს" ისღა დარჩენია, მეორე გუნდიდან დაიმატოს ფეხბურთელები.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XV ტური. წინათქმა

# ზესამეულის გამოცდა

| XV ტური | |
|---|---|
| **1 მარტი, შაბათი** | |
| 15:00 | ზესტაფონი-მესხეთი |
| 15:00 | სიონი-დინამო |
| 15:00 | ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია |
| 15:00 | ბორჯომი-სპარტაკი |
| **2 მარტი, კვირა** | |
| 15:00 | ოლიმპი-ბათუმი |
| 15:00 | დილა-ამერი |
| 15:00 | მერანი-მგლები |
| **XIV ტურის გადმოტანილი მატჩი** | |
| **11 მარტი, სამშაბათი** | |
| 15:00 | მგლები-მესხეთი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 14 | 12 | 0 | 2 | 36-6 | 36 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 14 | 11 | 1 | 2 | 27-9 | 34 |
| 3. ზესტაფონი | 14 | 11 | 1 | 2 | 27-8 | 34 |
| 4. ოლიმპი | 14 | 8 | 3 | 3 | 15-9 | 27 |
| 5. ბორჯომი | 14 | 7 | 4 | 3 | 17-10 | 25 |
| 6. ამერი | 14 | 7 | 1 | 6 | 22-17 | 22 |
| 7. მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15-17 | 20 |
| 8. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14-19 | 15 |
| 9. სიონი | 14 | 5 | 3 | 6 | 18-17 | 18 |
| 10. მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 8-23 | 13 |
| 11. სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5-14 | 12 |
| 12. ლოკომოტივი | 14 | 3 | 1 | 10 | 9-22 | 10 |
| 13. დილა | 14 | 1 | 4 | 9 | 7-24 | 7 |
| 14. ბათუმი | 14 | 1 | 2 | 11 | 5-28 | 5 |



დინამო-სიონი 3:0. პირველ წრეში თბილისელებს მოგება არ გასჭირვებიათ

**ძნელი** წარმოსადგენია, მოახლოვებულმა მატჩებმა სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში-მდგომარეობა წინა ტურივით შეცვალოს, მაგრამ გულშემატკივარი რამდენიმე საინტერესო დაპირისპირებას მაინც იხილავს. ვნახოთ, გაივლიან თუ არა ტურს უდანაკარგოდ ლიდერები, არანაკლებ მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები ელით უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლებს...

### 15:00 სიონი-დინამო

1 მარტი. ბოლნისი. თ. სტეფანია.
პირველ წრეში: 0:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

სიონი: ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, ბოიომო, სვანიძე, კობაური, გ. ოქროპირიძე, ბ. ნოზაძე, ბაჯელიძე, ზ. ავალიანი, კვიტაიშვილი, ჩასემი

*დისკვალიფიკაცია: შ. ჯიქია, შავგულიძე*

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, აკირემი (სპასოევიჩი)

*დისკვალიფიკაცია: შ. გრიგალაშვილი*

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ბოლო წლებში "სიონისა" და "დინამოს" მატჩები ყოველთვის უკომპრომისო ბრძოლებით გამოირჩევა. მართალია, ამ ბოლო დროს ბოლნისური კლუბი ველარაა ისეთი ძლიერი, მაგრამ ქვემო ქართლში მაინც უშელავათო დაპირისპირებას უნდა ველოდოთ. "სიონი" ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაძლიერდა, გასულ ტურში სტუმრად "სპარტაკსაც" სძლია და დღესაც შეეცდება საკუთარი ძალების მაქსიმალურად წარმოჩენას.

### 15:00 ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია

*პირდაპირი რეპორტაჟი მზე ზე*
1 მარტი. თბილისი. მ. მესხი.
პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლოკომოტივი: მ. ალავიძე, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, დ. ფოფხაძე, ლ. ჩაგელიშვილი, გულორდავა, ქუხილავა, ზ. ჩხეტიანი, კაჭახიძე, ქუცურუა, ბარბაქაძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბექვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი, სახოკია

*დისკვალიფიკაცია: მიქაბერიძე*

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

მოსამზადებელი პერიოდი "ლოკომოტივმაც" ნაყოფიერად გამოიყენა, რაც რკინიგზელებმა "ამერთან" მიღწეული ფრითაც დაამტკიცეს. "ვიტ ჯორჯიას" საკმაოდ რთული თამაში ელის. მატჩის ფავორიტები მაინც ვეტერინარები არიან, მაგრამ არც მასპინძელთათვის სასიკეთო შედეგი უნდა იყოს დიდად გასაკვირი. "ვიტ ჯორჯიას" **პავლე დათუნაიშვილი** დაუბრუნდა, რომელმაც გუნდი პირველი წრის დასრულების შემდეგ დატოვა, მაგრამ სასურველი კლუბი ვერ იპოვა.

### 15:00 ზესტაფონი-მესხეთი

1 მარტი. ზესტაფონი. ცენტრალური.
პირველ წრეში: 2:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, რ. ონიანი, ხიდეშელი, კესანი, ბენაშვილი, ყონატასი (ნ. კვასხვაძე), ბ. გოცირიძე, იონანიძე (ბიტოო)

მესხეთი: სომხიშვილი, აკოფიანი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, ლეკიშვილი, ძამსაშვილი, ქოჩორაშვილი, ინასარიძე, კოშკაძე, გვირჯიშვილი, გ. სუდაძე

*დისკვალიფიკაცია: მ. თაყაძე*

არბიტრი: კ. ჭაჭუა

"ზესტაფონი" "ვიტ ჯორჯიასთან" მეტისმეტად არადამაჯერებელი იყო. დღეს ნათლად გამოჩნდება, ეს ფეროელთა ნახევარდაცვის ლიდერის, **პოლ კესანის** დისკვალიფიკაციის გამო მოხდა თუ მიზეზი სხვაგანაც უნდა ვეძიოთ. იმერული კლუბის შემადგენლობა ზამთრის პაუზისას საგრძნობლად შეთხელდა, რაც შესაძლოა, მის შედეგიანობაზე უარყოფითად აისახოს. თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. "მესხეთისთვის" ეს წლის პირველი ოფიციალური მატჩია, წინა ტურში ახალციხელები დიდთოვლობის გამო "მგლებს" ვერ დაუპირისპირდნენ. "მესხეთის" შემადგენლობაშიც საკმაო ცვლილებები მოხდა, როგორ იმოქმედებს ეს **თედიაშვილის** გუნდის თამაშზე, სულ მალე გამოჩნდება.

### 15:00 ბორჯომი-სპარტაკი

1 მარტი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.
პირველ წრეში: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბორჯომი: გრიშიკაშვილი, გუგავა, ლომიძე, კაკუბავა, ქავთარაძე, ლომიძე, თედიაშვილი, დევიძე, გოგიჩაიშვილი, ჩირიკაშვილი, ჯიუსტი

*დისკვალიფიკაცია: ქარქოზაშვილი*

სპარტაკი: ქვილითაია, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, ქემოკლიძე, კუპრეიშვილი, თარხნიშვილი, ძარია, გოგოხია, მ. ლონდაძე, ხიდეშელი, ვ. კვარაცხელია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

რომ არა პირველ წრეში ნაჩვენები შედეგი, "ბორჯომს" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებოდა. ახლა კი სამცხელებს თავი თითქმის ქუდში აქვთ. სამაგიეროდ, "სპარტაკს" ელის დიდი ბრძოლები. გამოუცდელი შემადგენლობის კვალობაზე, **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა სეზონის პირველ ნახევარში შესანიშნავი შედეგი აჩვენა, თუმცა "სპარტაკს" მთავარი დაპირისპირებები წინ ელის.

### 15:00 ოლიმპი-ბათუმი

2 მარტი. რუსთავი. ფოლადი.
პირველ წრეში: 1:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ოლიმპი: მერლანი, სილაგაძე, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, გენაძე, გაბედავა, სტეფნაშვილი, ჯოჯუა, ნ. მგელაძე, დევდარიანი, ომელიანოვი

*დისკვალიფიკაცია: კახელიშვილი*

ბათუმი: სტურუა, თედორაძე, გალოგრე, ვ. კუნჭულია, ცანავა, მაკარიანი, ქებაძე, თურმანიძე, ბეჟანიძე, კაკალაძე, ქუთათელაძე

*დისკვალიფიკაცია: ა. კუნჭულია (მთავარი მწვრთნელი), ოქრუაშვილი*

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

წინა ტურში "ოლიმპმა" "დინამოს" კი სძლია, მაგრამ ჯერჯერობით, რუსთაველთა სატურნირო მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **პისკოვეცის** გუნდს თასის ნახევარფინალში გასვლის არცთუ დიდი შანსი აქვს, ჩემპიონატში "ოლიმპს" ქულების მინიმალურად დაკარგვა მართებს. საამისო პოტენციალი მოქმედ ჩემპიონებს ნამდვილად აქვთ. "ბათუმის" სადღეისო ვითარება კი მძიმეა. აჭარულმა კლუბმა შემადგენლობა კი გაიძლიერა, მაგრამ წინა ტურში შინ "დილას" ვერ მოუგო და ბოლო საფეხურზე რჩება.

### 15:00 დილა-ამერი

2 მარტი. გორი. თ. ბუჩუკაძე.
პირველ წრეში: 2:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

დილა: ილურიძე, ბალაშვილი, ლაცაბიძე, ბერიანიძე, ბალიაშვილი, გვეტაძე, ტლაშაძე, ნ. ნოზაძე, სულთანიშვილი, შატაკიშვილი, ბ. ჩიტაია

*დისკვალიფიკაცია: გ. მიქაძე*

ამერი: ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, დიდავა, ჩიკვილაძე (ელბაქიძე), შალამბერიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დოლიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე (ტატანაშვილი)

*დისკვალიფიკაცია: ქვაჩახია*

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

შეიძლება ითქვას, რომ "ამერისთვის" ჩემპიონატმა პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე დაკარგა. წარუმატებელი პირველი წრის შემდეგ, გლდანელებმა შინ "ლოკომოტივს" ვერ მოუგეს და უდავოა, რომ საუკეთესო ძალებს თასის გათამაშებისკენ მიმართავენ, სადაც ნახევარფინალის საგზური თითქმის დაბევებული აქვთ. "დილა" ხვალინდელ შეხვედრაში სულაც არაა უშანსოდ. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ოფიციალურ მატჩებში გორელებს ჯერ მარცხი არ უწნევიათ (თასზე შინ "ბორჯომს" 3:2 სძლიეს, ჩემპიონატში კი "ბათუმთან" სტუმრად ნულოვან ფრეს მიაღწიეს).

### 15:00 მერანი-მგლები

2 მარტი. თბილისი. მერანი.
პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, სარალიძე, ლ. გრიგალაშვილი, გიგაური, ჯანგიძე, ქოქიაშვილი, ბაკურაძე, კობერიძე, ქემაშვილი, ი. შენგელია

*დისკვალიფიკაცია: ა. კალაძე*

მგლები: ივარდავა, ექონია, მაჭავარიანი, ხუხია, კაკაბაძე, ლ. კუტალია, ქომეთიანი, წურწუმია, ვართაგავა, ქირია, ბაკარანძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

"მესხეთის" მსგავსად, 2008 წელს "მგლებიც" პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებს. ზუგდიდელთა რიგები ზამთრის სატრანსფერო პერიოდში რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, რაც შესაძლოა, **შეროზიას** გუნდის თამაშის ხარისხსა და შედეგზე უარყოფითად აისახოს. სამაგიეროდ, დღეისათვის "მგლები" სახიფათო ზონას საკმაო სხვაობით უსწრებს და ხვალ შეუძლია სატურნირო მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება. "მერანმა" წინა ტურში მნიშვნელოვანი თამაში მოიგო და ზუგდიდშიც ექნება წარმატების შანსი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# რატომ დაქაბუნდა ქართული ფეხბურთი?

## გია ლეჟავა: ნაკრებში მოხვედრა 3000 დოლარი ღირდა!



ვინ ასწავლის ბავშვებს ფეხბურთს?

ქართული ფეხბურთი ბოლო ორი ათწლეულის მუდმივი ტკივილია. აზრები მრავალფეროვანია: ამასწინათ ასეთი შეფასება იყო, ფიზიკურად არ არიან მზად სათანადოდ ქართველებიო. ზოგისთვის გამოსავალი ფედერაციის ხელმძღვანელია, ზოგისთვის - მისი გადადგომა და ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები, ბევრიც მიხეილ ყაველაშვილის ახლადაარსებულ კავშირზე ამყარებს იმედს და ა.შ. საფეხბურთოი სკოლა "21-ე საუკუნის" დირექტორი გია ლეჟავა "ლელოს" დაუკავშირდა და დღევანდელი სატკივარიდან ერთ-ერთ მთავარზე, ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება.

- ბავშვთა ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობა სავალალოა. ამის მიზეზი არც ნოდარ ახალკაცია და არც სხვა ვინმე, არამედ, ის სისტემაა, რომელიც 90-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა. მას მოკლედ განუკითხაობისა და ქაოსის სისტემას დავარქმევდი.

მამაჩემი დიდ ნოდარ ახალკაცთან მეგობრობდა და კარგად მახსოვს ბატონი ნოდარის ერთ-ერთი საუბარი - მაშინ, როდესაც "ოქროს თაობა" ჰყავდა, მამაჩემს ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებზე ესაუბრებოდა, არაფერი არ კეთდება, თაობა არ მოდის, საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდებითო.

ყველაფერი შედარებითია. მაშინ კრიტერიუმი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები იყო, რომლებსაც იმ პერიოდისთვის შედეგებით კი ვჯობდით, მაგრამ საბავშვო ფეხბურთის განვითარების მიმართულებებითა და ტემპებით ჩამოვრჩებოდით. დიდი მუშაობა მიდიოდა რუსეთში, ბელარუსსა და ბალტიისპირეთში, უკრაინა მაინც ყველას სჯობდა, საფეხბურთო სკოლებს მაგრად ამუშავებდნენ, საქართველოში კი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ბევრი არაფერი კეთდებოდა.

მას შემდეგ ყველაფერი კიდევ უფრო აირია. გარკვეული პერიოდი საბჭოური ინერციით დონეს ვინარჩუნებდით, მაგრამ 1990 წლის შემდეგ გაზრდილი თაობა რომ წამოვიდა, რეგრესი აშკარა გახდა და ამას ლოგიკური ახსნა გააჩნია. ბავშვთა ფეხბურთში ნგრევა სწორედ 90-იან წლებში დაიწყო. მაშინდელ პროცესებს სხვა სახელს ვერ ვუწოდებ - გაიგეს, რომ ფასიანი ჯგუფების შექმნა შეიძლებოდა და ბავშვთა ფეხბურთს ყველა მსურველი მიაწყდა. ეს იყო ერთგვარი ბიზნესი.

**- მეცნიერების ბოლო მიღწევებით საბჭოთა პერიოდში არ ხელმძღვანელობდნენ, მთავარი ჯარისკაცული პრინციპი იყო - "კნუტ ი პრიანიკ". მწვრთნელების დიდი ნაწილი მიუგდებდა ბავშვებს ბურთს და მერე სკამზე წამომჯდარი ისვენებდა. ორიოდე კაცი მუშაობდა და ნამყვან გუნდებსაც მათი გაზრდილები ავსებდნენ...**

- ჩვენი საფეხბურთო სკოლა ჩამორჩენილი იყო, მაგრამ გეგმა არსებობდა, თვითნებურად ვერავინ იმუშავებდა და მწვრთნელებს მკაცრად ამოწმებდნენ. თითოეულს გეგმა ჰქონდა, ფეხბურთელები როგორ უნდა ევარჯიშებინა, როგორ დაეტვირთა და ყოველივე ჟურნალში ალეწერა. ეს 90-იან წლებში მოიშალა.

ამის შედეგია, ბოლო დროს თაობების წყვეტა. პირველმა თაობამ საუკეთესო შედეგი აჩვენა, შემდეგ კი ნელ-ნელა რეგრესისკენ წავედით. ეს ყველაფერი ბავშვთა ფეხბურთში წლების წინ დაწყებული განუკითხაობის შედეგია.

**- გამოსავალს ხედავთ?**

- ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ უეფას მკაცრი ლიცენზირების პირობები აქვს. არც ერთ კლუბს და მწვრთნელს, უსერთიფიკატოდ, უმაღლეს დონეზე მუშაობის უფლება არ გააჩნია.

უეფასავით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც მკაცრი კრიტერიუმები უნდა შეიმუშაოს და დაიცვას. ასეა საფრანგეთში, სადაც უეფას კრიტერიუმებსაც არ ცნობენ, შერბილებულ ვარიანტად ჩათვალეს და გაცილებით მკაცრი მოთხოვნები დააწესეს. შედეგად დღეს კი ფრანგებზეა ყველაზე მეტი მოთხოვნა - მწვრთნელებზეც და ფეხბურთელებზეც. ნამდვილი კონვეიერი ააწყვეს. ადრე ამით ყოფილი იუგოსლავია იყო ცნობილი.

**- მოდით, ვიყოთ სამართლიანები, ფედერაციას კრიტერიუმები გააჩნია და ამას ვერ უარყოფთ.**

- ამას არც ვაპირებ, ისევე როგორც ფედერაციასთან კონფრონტაციას, მე ჩემს წინადადებას ვთავაზობ. ვხედავ, ბოლო დროს ფედერაცია საპირისპირო აზრს ითვალისწინებს და წესით, მოყვრის ნათქვამიც უნდა გაიგონ.

"ბაიერნის" სკოლაში შეზღუდული კონტინგენტი ვარჯიშობს, ათასობით ბავშვს არ იღებენ. იცით, რატომ? ჩვენსავით ფულის გაკეთებაზე არ ფიქრობენ. მასიური სპორტი სხვა სფეროა. საფეხბურთო სკოლებში ბაშვების რაოდენობა შემოსავლის წყარო არ უნდა იყოს. დღეს კი ჩვენთან სწორედ ასე ხდება.

თუ სკოლა ჩვენს კრიტერიუმებს არ დააკმაყოფილებს, მაშინ ასაკობრივ ნაკრებებში იმ სკოლიდან ფეხბურთელები არ უნდა ავიყვანოთ. მთავარი მაინც მწვრთნელთა კვალიფიკაციაა.

მწვრთნელობის უფლება უნდა ჩამოერთავს ყველას, ვინც ფულს იღებს, ცუდად მუშაობს, ვისაც წარმოდგენა არ აქვს, რა არის გეგმური მუშაობა და ასეთი საჭირო ნიუანსები.

ნათქვამია, თეატრი გარდერობიდან იწყებაო. ჩემი აზრით, თეატრი იწყება მსახიობებიდან და რეჟისორებიდან. ასეა ფეხბურთიც და სანამ დროა, ხეირიანი მწვრთნელები და ფეხბურთელები უნდა გავზარდოთ. წესრიგი უნდა დავამყაროთ, თორემ დღევანდელ კრიზისს თავს ვერ დავაღწევთ.

დარწმუნებული ვარ, ფედერაცია მკაცრ კრიტერიუმს თუ დააწესებს, ეს უპირველესად მშობელს და სკოლის მეპატრონეებს გაუხარდებათ. ვაზის მტევანი უზარმაზარი შრომით მოდის, ჩვენ კი ფეხბურთის ლერწმისთვის ვერ მოგვივლია და მოსავალს ველოდებით.

**- კი, მაგრამ ვინ გააკონტროლებს, ხარისხიანად და უხარისხოდ რომელი სკოლა და მწვრთნელი მუშაობს?**

- მაგალითს გეტყვით: 35-ე სკოლაში გუბაზ დოლიძე მუშაობს. კაცმა რაიონებიდან ბავშვები თავის ხარჯზე ჩამოიყვანა, ცეკვაზე დაჰყავს, რაც მათ მოქნილობას უვითარებს და ბავშვებს თეთრს არ ახდევინებს. გათვლილი სასწავლო გეგმა გააჩნია. მან 35-ე სკოლა აამუშავა. აი, როგორ მწვრთნელებს უნდა მივცეთ გასაქანი.

საერთოდ კი, მართლა კატასტროფული მდგომარეობაა. ამას წინათ 16-წლამდელთა ნაკრებისთვის ბავშვებს ვარჩევდით და 200 ბავშვიდან მხოლოდ ხუთი მოგვეწონა, თანაც, მათზეც ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული ტალანტები იყვნენ.

გახრწნის პროცესი ისე შორს წავიდა, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებში მოსახვედრად ფულს ითხოვენ. ამ პროცესებმა ნაკრებებამდეც მიაღწია. ნაკრებში მოხვედრა 3000 დოლარი ღირდა, ცოტასაც თუ დაამატებდნენ, ძირითადშიც ათამაშებდნენ.

**- შეგიძლიათ, კონკრეტული ფაქტების დასახელება?**

- რა აზრის აქვს, როდესაც ეს ხშირად და ძალიან ბევრგან ხდება? მე შედეგებთან ბრძოლის აზრს ვერ ვხედავ, მთავარია, ჩვენში დამკვიდრებული საშინელებები ამოვძირკვოთ: ევროპაში ფულს ტალანტებს იქით უხდიან და ფულს ამით შოულობენ, ჩვენთან კი ყველაფერი უკუღმართადაა.

ერთი კონკრეტული ფაქტი წლეულს მოხდა. მწვრთნელს მშობელმა ფული მისცა და როდესაც მისი შვილი არ ათამაშეს, მწვრთნელი სცემა. ასე რომელი თაობების გაზრდაზე ვოცნებობთ?

მე დავიწყე წიგნის წერა, სადაც მოვყვები ყველაფერს, რა სიბინძურეც იყო და არის ქართულ ფეხბურთში. მერე ერთ პატარა ჩანაფიქრს ბოლომდე მივიყვან, იმედია, თუკი ღმერთმა შემაძლებინა, გოგუაზე უკეთეს კიდევ ერთ მოთამაშეს გავზრდი და ფეხბურთიდან წავალ.

**მერაბ მამულაშვილი**

### ფედერაციას მეგაფონებითაც მისდგნენ

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან საპროტესტო აქცია გაიმართა. "ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის რამდენიმე ათეული აქტივისტი უკმაყოფილებას **კლაუს ტოპმიოლერის** საქმიანობის გარდა იმადაც გამოთქვამდა, ხელისუფლება ფეხბურთის ფედერაციის საქმეებში რატომ ერევაო.

აქცია ხალხმრავალი და ხანგრძლივი არ ყოფილა, თუმცა მეგაფონებით ყოველივე ამის მოსმენა ფედერაციისთვის სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო. მომიტინგეები ვერაფერს გააგონებდნენ ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცს** - ის გერმანიაშია.

ფეხბურთის ფედერაციას პოლიტიზირება ბოლო წლებში ნამდვილად არ აკლია, თუმცა ოპოზიციური პარტიისგან მცირე, მაგრამ მაინც ხმაურიანი და საპროტესტო ტალღა პირველად იგემა.

**ნიკა გვათუა**

### ელიავამ ითამაშა, მენთეშაშვილი დაასვენეს

ანთალიაში ლატვიურ "ვენტსპილსისა" რუსული "ამკარის" მატჩში მხოლოდ ერთმა ჩვენებურმა მიიღო მონაწილეობა. ლატვიელებმა პერმელები **ზურაბ მენთეშაშვილის** გარეშე 2:1 დაამარცხეს. ქართველი ნახევარმცველი ტრავმის მოშუშების შემდეგ ინდივიდუალურად ვარჯიშობს და ჩანს, ვენტსპილსელები ტრავმის გამიზეზებას მოერიდნენ. რაც შეეხება "ამკარში" ტესტირებაზე მყოფ **ზაალ ელიავას**, ის 46-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

მეორე ლატვიურ-რუსულ დაპირისპირებაში კი ქართველები ორივე მხარეს იყვნენ. **თამაზ პერტიას** "დინაბურგის" დუბლშემადგენლობა როსტოვის სკა-მ 5:0 გაანადგურა. **ბაბუნაშვილი** მთავარ გუნდშია და არ უთამაშია. მცველი **გიორგაძე** კი სასტარტოში იყო. ქართველი როსტოველთა გუნდშიც გამოჩნდა - ფორვარდი **გიორგი ჭელიძე**, რომელიც მოსკოვის "ლოკომოტივის" საკუთრებაა. მან 54 წუთი დაყო მოედანზე და გოლიც გაიტანა. როსტოვული კლუბის ვებგვერდის ცნობით, ჭელიძე სკა-ში ჯერჯერობით ტესტირებაზეა.

### კვირკველია მეოთხეა

ესპანეთში, ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირ "ლა მანგას" თასის გათამაშებაში მესამე ადგილისთვის მატჩი გაიმართა. "რუბინი" ნორვეგიულ "ტრომსოს" დაუპირისპირდა და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დასრულდა. პენალტების სერიაში კი ნორვეგიელებმა იმარჯვეს 3:2. ყაზანელთა რიგებში **ნუკრი რევიშვილსა** და **ლაშა სალუქვაძეს** არ უთამაშიათ. ახალწვეული **დავით კვირკველია** კი სასტარტოში იყო, მაგრამ პენალტების სერიაში მონაწილეობა არ მიუღია.



დავით კვირკველია


## დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

### დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში იწვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე, ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტურის წინ

# არსენალი და მანჩესტერი 2 აპრილისათვის ემზადებიან

**დღეს**

არსენალი-ასტონ ვილა
ბირმინგემი-ტოტენჰემი
დერბი-სანდერლენდი
ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
მიდლსბრო-რედინგი
ნიუკასლი-ბლექბერნი
ვესტ ჰემი-ჩელსი
მანჩესტერ სიტი-ვიგანი

**ხვალ**

ბოლტონი-ლივერპული
ევერტონი-პორტსმუთი

"მანჩესტერ იუნაიტედს" "არსენალისაგან" სამი ქულა აშორებს. 2 აპრილს ეს გუნდები „ოლდ ტრეფორდზე" შეხვდებიან ერთმანეთს. იქამდე ერთი თვეა. "ეშმაკები" ყველაფერს ილონებენ, რათა იქამდე მეტოქე პირველი ადგილიდან ჩააჩოჩონ. დღეს **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდები აუტსაიდერ "ფულჰემს" ეთამაშებიან, "არსენალი" - კარგ ფორმაში მყოფ "ასტონ ვილას". "იუნაიტედს" "არსენალზე" უკეთესი ბურთების შეფარდება აქვს.

"ვილას" ჩემპიონთა ლიგის ზონისაგან სამი ქულა აშორებს. დღეს ბირმინგემელთა თავკაც **მარტინ ონილს** 56 წელი უსრულდება. მისი გუნდი, ზედიზედ 22 თამაშია, მინდვრიდან უგოლოდ არ გამოსულა. "მეთოფეებს" დღევანდელ მეტოქესთან 18 მატჩია, არ წაუგიათ (13 მოგება, 5 ფრე). "ასტონ ვილამ" ლონდონელებს უკანასკნელად 1998 წლის 13 დეკემბერს "ვილა პარკზე" სძლია.

**არსენ ვენგერმა** გადაწყვიტა, **ნიკლას ბენდტნერი** ძირითად შემადგენლობაში გაამწესოს. ის **ედუარდოს** ადგილს დაიჭერს. მოგეხსენებათ, ხორვატმა თავდამსხმელმა უმძიმესი ტრავმა მიიღო და ერთი წლით გამოეთიშა ფეხბურთს. "არსენალს" ცენტრალური მცველი **კოლო ტურე** ვერ დაეხმარება. დაისვენებს **ტომაშ როსიცკიც**. **ემანუელ ებუე** კი სასჯელს მოიხდის. ვენგერი **რობინ ვან პერსის** გამოყვანას არ გარისკავს. გა-



საკუთარ დაბადების დღეზე ასტონ ვილის თავკაცი მარტინ ონილი არსენალის განბილებას და ჩემპიონთა ლიგის ზონასთან მიახლოებას აპირებს

ნაცხადში იქნება გამოჯანმრთელებული **აბუ დიაბი**. მწყობრშია **ოლოფ მელბერგი**. თადარიგში ვიხილავთ **პატრიკ ბერგერს**.

ამ სეზონში "იუნაიტედს" ლონდონში ჯერ არ მოუგია. ის სამჯერ ესტუმრა დედაქალაქს, ორი მატჩი ფრედ დაასრულა და ერთი წააგო. "ფულჰემი" ხელსაყრელი მეტოქეა. მან "მანჩესტერთან" ბოლო 25 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო. ეს 2003 წელს "ოლდ ტრეფორდზე" მოხდა. "ეშმაკებს" **რაიან გიგზი** ვერ დაეხმარება. მან "ნიუკასლთან" ერთი კვირის წინაც ვერ ითამაშა. უელსელი ვეტერანი კოჭს იტკიებს. მას "ლიონთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩისათვის შეინახავენ. მზად არიან **ნემანია ვიდიჩი** და **პატრის ევრა**.

"ფულჰემის" ვარსკვლავმა **იარი ლიტმანენმა** ვარჯიში განაახლა. რამდენიმე დღის წინ მან გულის არეში ტკივილი იგრძნო. ფეხბურთელი მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს. ექიმებმა დაასკვნეს, რომ შეშფოთების საფუძველი არ არსებობს.

"ვესტ ჰემისა" და "ჩელსის" მატჩები ლონდონურ დერბებს შორის ყველაზე უშელავათო პაექრობებით გამოირჩევა. ამ გუნდების მატჩებში, როგორც წესი, ძალიან ცოტა გოლი გადის. "ჩაქუჩებს" ახალგაზრდა თავდამსხმელი **ბობი ზამორა** ვერ დაეხმარება. მკურნალობენ ნახევარმცველები - **ლი ბოუიერი** და **მეტიუ ეთერინგტონი**. მათ ზედიზედ მეორე თამაში გაუცდებათ. "ჩელსიმ" საკადრო პრობლემები მოაგვარა. დღეს განაცხადში იქნებ **ანდრეი შევჩენკო**, თუმცა ძირითადში **დიდიე დროგბა** და **ნიკოლა ანელკა** ითამაშებენ.

"ლივერპულს" **დანიელ აგერი** უბრუნდება. შუა კვირაში მან სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში ითამაშა. ტრავმას თავი აღარ შეუხსენებია. დანიელ მცველს ხუთი თვე გაუცდა. მის არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში ვეტერანი **სემი ჰიიპია** ასპარეზობდა. გამოჯანმრთელდა სლოვაკი მცველი **მარტინ შკრტელიც**. მან სამი მატჩი გამოტოვა. სარეზერვო გუნდში **ჩაბი ალონსომ** და **ჰარი კიუელმაც** ითამაშეს. დღეს ისინიც განაცხადში იქნებიან. **ჯეიმი კარაგერმა** სასჯელი მოიხადა და დღეს პრემიერლიგაში 350-ე მატჩს გამართავს.

"ბოლტონი" მერსისაიდელებთან ოპტიმალურ შემადგენლობას გაიყვანს. მას მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გამოაკლდება - **დენი გუტრი**. ეს ბიჭი ლივერპულელთა საკუთრებაა და "ბოლტონში" იჯარით თამაშობს. საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, გუტრის "ლივერპულის" წინააღმდეგ ასპარეზობის უფლება არ აქვს.

"მანჩესტერ სიტიმ" ბოლო ათი მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო. წარუმატებლობის შემთხვევაში, ის ამ სეზონში ყველაზე ქვემოთ, მე-9 ადგილზე დაეშვება. **სვენ გორან ერიქსონი** გუნდს 35-დ გამოიყვანს. აღსანიშნავია, რომ მან თამაშების 44 პროცენტი მოიგო. ერთი შეხედვით, დიდი ვერაფერი შედეგია, მაგრამ "სიტის" პრემიერლიგაში ასე კარგად არასოდეს უთამაშია.

"სიტის" "ვიგანთან" მატჩში **მიკა რიჩარდსი** გამოაკლდება. ინგლისის ნაკრების მცველმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ექვსი კვირით ჩამოშორდა მინდორს. **მარტინ პეტროვმა** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია უნდა მოიხადოს. განაცხადში იქნებიან **ვედრან კორლუკა** და **ელანო**. სტუმრები მანჩესტერში საუკეთესო შემადგენლობას ჩაიყვანენ.

"ტოტენჰემს" შეიძლება **ჯონათან ვუდგეიტი** გამოაკლდეს. ის ლიგის თასის ფინალში დაშავდა. მისი ბირმინგემში გამგზავრება საეჭვოა. ვერ ითამაშებს კიდევ ერთი ცენტრალური მცველი **ლედლი კინგი**. ავადმყოფობს "მამლების" ძირითადის კიდევ ერთი მოთამაშე, ნახევარმცველი **მაიკლ დოსონი**.

კრიზისში მყოფ "ნიუკასლს" "ბლექბერნთან" მატჩში **ობა მარტინსი** დაეხმარება. მას ჯორდების შემადგენლობაში 2 იანვრის შემდეგ არ უთამაშია. ნიგერიელ თავდამსხმელს საპატიო მიზეზი ჰქონდა. ის აფრიკის ერთა თასზე იმყოფებოდა. ტრავმები აქვთ **მარკ ვიდუკასა** და **ემრეს**. სამი კვირა გაუცდება ირლანდიელ მეკარე **შეი გივენს**. მუხლის ტრავმის გამო შვებულებაში იმყოფება **სტივ კარი**. ბლექბერნელთაგან საეჭვოა კაპიტან **დევიდ დანის** თამაში. "ვარდებს" ჰოლანდიელი მცველი **ანდრე ოოიერი** უბრუნდებათ.

"ევერტონს" ესპანელი ნახევარმცველი **მიკელ არტეტა** გამოაკლდება. მისმა მეტოქე "პორტსმუთი" ნიგერიელ ფორვარდ **ნვანკვო კანუს** დაასვენებს. მომავალ კვირაში **ჰარი რედნაპის** გუნდს ასოციაციის თასის მეოთხედფინალი ელის.

"მიდლსბროსთან" მატჩში „რედინგი" წაგებათა რვამატჩიანი სერიის შეწყვეტას შეეცდება. ხოლო გასავარდნად განწირულ "დერბის" ისღა დარჩენია, პრესტიჟის გადასარჩენად ითამაშოს. მას 9 ქულა აქვს. პრემიერლიგის სეზონი ყველაზე ცოტა ქულით 2003 წელს "სანდერლენდმა" დაასრულა. მან მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 15 ქულა დააგროვა და ინგლისის ჩემპიონატის ანტირეკორდი დაამყარა. "დერბის" ამ ანტირეკორდის გაუმჯობესება ემუქრება. დღეს ის სწორედ "სანდერლენდს" ეთამაშება. **როი კინის** გუნდს მიმდინარე გათამაშებაში სტუმრად ჯერ არ მოუგია.

ერთი საინტერესო ინფორმაცია: მიუხედავად იმისა, რომ "დერბი" სავალალო მდგომარეობაშია, გუნდის ახალწვეულმა **რობი სევიჯმა** საკუთარ თავს ჩინებული საჩუქარი გაუკეთა: მან 160 ათას გირვანქად ღირებული "მერსედესი" შეიძინა. ალბათ, იკითხავთ, მერედა, რა დააშავაო. 2003 წელს, როცა "სანდერლენდმა" ზემოთხსენებული ანტირეკორდი დაამყარა და პრემიერლიგიდან გავარდა, მთავარმა მწვრთნელმა **მიკ მაკარტიმ** კაპიტან **მაიკლ გრეის** მხოლოდ იმიტომ ჩამოართვა სამკლაური და სოლიდური ჯარიმაც იმიტომ გამოუწერა, რომ მან „ფერარი" შეიძინა. მწვრთნელს მოეჩვენა, რომ კაპიტანმა გუნდის გასაჭირი ფეხებზე დაიკიდა. დერბის თავკაცი **პოლ ჯუელი** სევიჯის დასჯას არ აპირებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 27 | 19 | 7 | 1 | 56-20 | 64 |
| 2. მანჩ. იუნ. | 27 | 19 | 4 | 4 | 55-15 | 61 |
| 3. ჩელსი | 26 | 16 | 7 | 3 | 38-17 | 55 |
| 4. ევერტონი | 27 | 15 | 5 | 7 | 43-23 | 50 |
| 5. ლივერპული | 26 | 12 | 11 | 3 | 43-19 | 47 |
| 6. ასტონ ვილა | 27 | 13 | 8 | 6 | 50-35 | 47 |
| 7. პორტსმუთი | 27 | 12 | 8 | 7 | 37-26 | 44 |
| 8. მანჩ. სიტი | 27 | 12 | 8 | 7 | 34-31 | 44 |
| 9. ბლექბერნი | 27 | 11 | 9 | 7 | 36-34 | 42 |
| 10. ვესტ ჰემი | 26 | 11 | 7 | 8 | 31-23 | 40 |
| 11. ტოტენჰემი | 26 | 8 | 8 | 10 | 48-41 | 32 |
| 12. მიდლსბრო | 27 | 7 | 8 | 12 | 25-41 | 29 |
| 13. ნიუკასლი | 27 | 7 | 7 | 13 | 30-52 | 28 |
| 14. ვიგანი | 27 | 7 | 5 | 15 | 26-42 | 26 |
| 15. სანდერლ. | 27 | 7 | 5 | 15 | 26-46 | 26 |
| 16. ბოლტონი | 27 | 6 | 7 | 14 | 27-39 | 25 |
| 17. ბირმინგემი | 27 | 5 | 8 | 14 | 27-40 | 23 |
| 18. რედინგი | 27 | 6 | 4 | 17 | 31-55 | 22 |
| 19. ფულჰემი | 27 | 3 | 10 | 14 | 25-45 | 19 |
| 20. დერბი | 27 | 1 | 6 | 20 | 13-57 | 9 |

ტრანსფერი

# ლივერპულმა მასკერანო საბოლოოდ გამოისყიდა

## მერსისაიდელებმა სკეპტიკოსებს ნიშნი მოუგეს

**ხავიერ მასკერანო** სრულფასოვანი ლივერპულელი გახდა. გუშინ არგენტინელმა ნახევარმცველმა ოთხწლიანი კონტრაქტზე მოაწერა ხელი. მერსისაიდელებმა მისი სატრანსფერო უფლებები გამოისყიდეს. „ლივერპულის" ხელმძღვანელობას გარიგების ფინანსური დეტალები არ გაუხმაურებია. მასკერანო კომპანია MSI-ის საკუთრება გახლდათ. სპეკულაციების თანახმად, **კია ჯურაბჩიანის** კომპანია ფეხბურთელის სანაცვლოდ 18 მილიონ გირვანქას ითხოვდა. მასკერანო "ენფილდ როუდზე" 2007 წლის იანვარში, წლინახევრიანი იჯარით გადავიდა. იქამდე ის "ვესტ ჰემში" ასპარეზობდა. მისი და **კარლოს ტევესის** ტრანსფერებისას აღმოჩენილი დარღვევების გამო ლონდონური კლუბი ინგლისური ფეხბურთისათვის სარეკორდო თანხით, 5 მილიონი გირვანქით დააჯარიმეს. „ვესტ ჰემს" ორივე მოთამაშის გაშვება მოუხდა, თუმცა ამ გარიგებებით მან ვერავითარი ხეირი ვერ ნახა. მასკერანოს მსგავსად, ტევესიც MSI-ის ეკუთვნოდა. ამიტომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" ფული ამ კომპანიას მიუთვალა. მასკერანოს ტრანსფერი ნამდვილი შვება იქნება **რაფა ბენიტესისათვის**, რომელიც სატრანსფერო ბიუჯეტის სიმცირის გამო უკმაყოფილებას ვერ მალავდა. ხავიერმა "ლივერპულთან" ხანგრძლივი ხელშეკრულების გაფორმებას მისი კარიერის საუკეთესო მოვლენა უწოდა. არგენტინელმა ვარსკვლავმა იმედი გამოთქვა, რომ "ენფილდზე" ბევრ ჯილდოს მოიპოვებს. ბენიტესმა გულშემატკივრებს საქმის კარგად დასრულება მიულოცა. "ლივერპულის" აღმასრულებელი დირექტორის **რიკ პერის** თქმით, მასკერანოს ტრანსფერი იმის მაუწყებელია, რომ გუნდს ამბიციური პროექტების განხორციელება ხელეწიფება და ვერავითარი სპეკულაცია იქ გამეფებული კრიზისის შესახებ სხვა გეგმების განხორციელებაში ხელს ვერ შეგვიშლისო.



ხავიერ მასკერანო

## ფოგტსი აზერბაიჯანში?

გერმანული სააგენტოები საინტერესო ინფორმაციას ავრცელებენ. მათი მტკიცებით, ნიგერიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელით, **ბერტი ფოგტსით** ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია დაინტერესდა. აზერბაიჯანელებს სახელგანთქმული გერმანელის მიწვევა გასული წლის შემოდგომაზეც სურდათ, მაგრამ იმჟამად ფოგტსი აფრიკაში მოღვაწეობდა. ის გუნდს კონტინენტის პირველობისათვის ამზადებდა. ნიგერიელებმა უსახურად იასპარეზეს. ისინი დიდი გაჭირვებით გავიდნენ ჯგუფიდან და მეოთხედფინალში განასთან 1:2 წააგეს. ფოგტსი ტურნირის დასრულებისთანავე დაითხოვეს. 1996 წლის ევროპის ჩემპიონ მწვრთნელს აზერბაიჯანულ ვარიანტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

## ლარსონი მწვრთნელობას აპირებს

შვედეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი **ჰენრიკ ლარსონი** მწვრთნელობას აპირებს. 36 წლის თავდამსხმელი "ჰელსინგბორგის" ღირსებას იცავს. მისი ბოლო დიდი კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედი" იყო, სადაც გასულ სეზონში სამი თვის განმავლობაში იასპარეზა. ის ინგლისში "ჰელსინგბორგის" კეთილი ნებით გაემგზავრა და კონტრაქტის ამოწურვისთანავე უკან დაბრუნდა. ჰენრიკი დღესაც ამ კლუბის ღირსებას იცავს. მისი კონტრაქტი წლის ბოლოს იწურება. ფეხბურთელს ხელშეკრულების გაგრძელებას სთავაზობენ. ლარსონმა სამწვრთნელო კურსებზე სიარული გადაწყვიტა. სერტიფიკატის აღების შემდეგ პირველ სამწვრთნელო სამუშაოს "ჰელსინგბორგშივე" მონახავს. აქვე შეგახსენებთ, რომ ლარსონს სხვადასხვა დროს "ფეიენოორდის", "სელტიკისა" და "ბარსელონის" ღირსებას დაუცავს, ხოლო შვედეთის ნაკრებში 93 მატჩი აქვს ჩატარებული.

ახალგაზრდა ვარსკვლავი

# ლიონი: ოთხწლიანი კონტრაქტი ბენზემას

## ფეხბურთელის შეძენა მადრიდის რეალსაც სურს...

**გუშინდელ** ნომერში გაუწყეთ, რომ **ქარიმ ბენზემას** „ბარსელონაში" გადასვლა სურს. ისიც ცნობილია, რომ „ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელს "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება. "რეალი" ამ გარემოებებს არად დაგიდევთ და ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას გეგმავს. „მარკა" იუწყება, რომ მადრიდელმა ემისრებმა „ლიონის" მატჩებზე სიარულს მოუხშირეს. სამეფო კლუბი ბენზემას **რუუდ ვან ნისტელროის** შემცვლელად მოიაზრებს. ქარიმი საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. "რეალის" სკაუტები „ლიონისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" პირველ მერვედფინალურ მატჩსაც დაესწრნენ. შეგახსენებთ, შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. ფრანგთაგან გოლი ბენზემამ გაიტანა. იმავე „მარკაში" ვკითხულობთ, რომ "ლიონი" ყველაფერს ილონებს ფეხბურთელის შესანარჩუნებლად. საფრანგეთის ჩემპიონები ფეხბურთელს ახალ, ოთხწლიან, სარფიან კონტრაქტს სთავაზობენ. შეთანხმებაში ჩაიწერება ბენზემას ფასიც - დაახლოებით 100 მილიონი ევრო. ეს იმისათვის, რომ დაინტერესებულ კლუბებს მადა დაეკარგოთ. "ლიონიდან" აბარგებას არც თვითონ ფეხბურთელი ჩქარობს. მან თქვა, რომ მინიმუმ კიდევ ერთ სეზონს საფრანგეთში გაატარებს, რადგან ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და უცხოეთში თამაშს მერეც მოასწრებს.



ქარიმ ბენზემა

იტალია. სერია A. XXVI ტურის წინ

# ცალი თვალი ლიგისკენ, ცალიც გადარჩენისკენ

## ტრეზეგე ბრუნდება, იუვეს ვიერი შეუტევს, მანჩინი იბრაჰიმოვიჩს უფრთხილდება

**დღეს**

რომა-პარმა
მილანი-ლაციო

**ხვალ**

კალიარი-ჯენოა
ემპოლი-სიენა
იუვენტუსი-ფიორენტინა
ლივორნო-კატანია
რეჯინა-პალერმო
სამპდორია-ტორინო
უდინეზე-ატალანტა
ნაპოლი-ინტერი

იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტური "რომა"-"პარმით" იწყება. "ინტერთან" მატჩის შემდეგ, რომელშიც "ჯალოროსიმ" გამარჯვება ბოლო წუთებზე დაკარგა, **ლუჩანო სპალეტისთვის** ყველა მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოთხშაბათს "რომას" საპასუხო მერვედფინალური მატჩი ელის "რეალთან", რაც დიდ ენერგიას წაილებს. თუმცა, წინასწარი ვარაუდით, სპალეტი არ აპირებს, "პარმასთან" შეხვედრაში ძალები დაზოგოს. როგორც ჩანს, მისთვის პრიორიტეტად სერია A რჩება.

დღევანდელ მატჩში რომაელებს არ ეყოლებათ **ფილიპ მექსე**, რომელიც "ინტერთან" შეხვედრაში გააძევეს. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ **მარკო კასეტი და კრისტიან პანუჩიც**. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდნენ და მწყობრში ბრუნდებიან მცველი **ჟუანი** და ფორვარდი **ამანტინო მანსინი**. შესაბამისად, **მირკო ვუჩინიჩი** სკამზე გადაინაცვლებს და **ფრანჩესკო ტოტის** წინა ხაზზე ძველებურად მანსინი დაეხმარება. "პარმა" საბრძოლო შემადგენლობით იქნება, თუ არ ჩავთვლით ტრავმირებულ **დომენიკო მორფეოს**, რომელიც ბოლოხანს განაცხადში ისედაც იშვიათად ხვდებოდა. ცნობისთვის, "პარმას" ზედიზედ ოთხი ტურია არ წაუგია. ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს რთული თამაში ელის, რაკი ემილიელებს სახიფათო ზონიდან თავი ჯერ არ დაუღწევიათ.

შაბათსვე, "მილანი" "ლაციოს" უმასპინძლებს. როგორც ბოლო ტურის მიმოხილვაში ვწერდით, **კარლო ანჩელოტი** თავისი გუნდის დაბალი კონდიციებით შეშფოთებულია. გარდა იმისა, რომ "როსონერი" სერია A-ს ოთხეულისთვის იბრძვის, სამშაბათს მძიმე შეხვედრა ელის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასასვლელად. მისი მეტოქე პრემიერლიგის ლიდერი "არსენალია", ვისთანაც ლონდონში 0:0 აქვს ნათამაშები. "ლაციოსთან" მატჩისთვის კი საკადრო სიტუაციის მხრივ მაინცდამაინც სასიკეთო ცვლილებებს არ ელიან. კვლავ ტრავმირებულები არიან მეკარე **ნელსონ დიდა, ალესანდრო ნესტა, კაკა,** აღარაფერს ვამბობთ **რონალდოზე**. ამას ემატება **ჯუზეპე ფავალის** დისკვალიფიკაციაც, თუმცა "მილანისთვის" ეს დიდი ტრაგედია არ არის, რადგან ანჩელოტის ძირითადში **კახა კალაძის** დაყენება შეუძლია. მოსალოდნელია, რომ სასტარტოში დაბრუნდნენ **ანდრეა პირლო და ჯენარო გატუზო**. "ლაციალეს" რაც შეეხება, **დელიო როსის** გარკვეულ შვებას მისცემს წამყვანი მოთამაშეების გამოჯანმრთელება, თუმცა ჯერაც ლაზარეთში რჩება ნახევარდაცვის ლიდერი **მასიმო მუტარელი**.

კვირის მთავარი მატჩები ტურინსა და ნეაპოლში გაიმართება. "ოლიმპიკოზე" "იუვენტუსს" "ფიორენტინა" დაუპირისპირდება. ეს იქნება ბრძოლა საჩემპიონთალიგო ოთხეულში ფეხის მოსაკიდებლად. ფლორენციელებისთვის გამარჯვება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მეხუთე ადგილზე მყოფ "მილანს" მხოლოდ 2 ქულით უსწრებენ, ხოლო "ბებერი ქალბატონის" მიზანია, მეორე საფეხურზე მოკალათებულ "რომას" სიმშვიდე დაურღვიოს და მუდმივ წნეხში ჰყავდეს. ამ მხრივ, ბოლო ორ ტურში გუნდს სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა: "იუვემ" მხოლოდ ქულის აღება შეძლო. ძნელად მიდის წინ "ფიორენტინაც", რომელმაც ასევე გააუფერულა თამაში. **კლაუდიო რანიერი და ჩეზარე პრანდელი** მატჩს პრობლემებით ხვდებიან. პირველს სამი წამყვანი მოთამაშე აკლია, დისკვალიფიცირებული **პაველ ნედვედის, ჯორჯო კიელინისა** და **კრისტიანო ძანეტის** სახით. ტრავმის შემდეგ ბრუნდება **დავიდ ტრეზეგე**. პრანდელის კი ტრავმირებული ჰყავს თავდასხმის ლიდერი **ადრიან მუტუ** და ორი საჭირო ნახევარმცველი - **ფრანკო სემიოლი** და **ფაბიო ლივერანი**. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია მოიხადა **კრისტიან ვიერიმ** და თავდასხმაში **ჯამპაოლო პაცინის** შეუწყვილდება.

"ნაპოლი", რომელმაც ბოლო ოთხ ტურში 3 მარცხი იწვნია, კვირა ღამეს "ინტერის" მასპინძელია. უკანასკნელ ორ ტურში მოგება არ ჰქონია ჩემპიონატის ლიდერსაც. "რომასთან" მატჩამდე "ნერაძური" მარცხს "სამპდორიასთანაც" გადაურჩა და იქაც უკანასკნელ წუთებზე. ფაქტია, რომ "ინტერმაც" მოუკლო. ამას გარდა, **რობერტო მანჩინის** გუნდს არცთუ სახარბიელოდ მისდის საქმეები ჩემპიონთა ლიგაშიც, სადაც ოთხშაბათს, "ლივერპულთან", ორბურთიანი დეფიციტის განეიტრალება მართებს. თუ "ნერაძური" ევროსარბიელიდან გავარდა, ერთადერთ საზრუნავად დარჩება სერია A და, ცხადია, ეს მის საჩემპიონო შანსს კიდევ უფრო გაზრდის. მაგრამ მეორე მხრივ, **მასიმო მორატის** მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა და ფიასკოს შემთხვევაში, მანჩინის აუცილებლად პრობლემები შეექმნება. ნეაპოლელებს თავდასხმაში **მარსელო სალაიეტა** და **ესეკილ ლავეცი** უბრუნდებათ. თუმცა დაცვაში არ იქნება **მაურიციო დომიცი**, რომელიც ამ თვეში მეორედ გააძევეს მოედნიდან. ბევრად უფრო გრძელია "ინტერის" სადეფიციტო სია. კვლავ ვერ ითამაშებს **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**. მართალია, შვედი უკვე ვარჯიშობს, მაგრამ მანჩინი, ალბათ, არ გარისკავს და "ლივერპულისთვის" მოსამზადებლად მისცემს დროს. ასევე ტრავმები აქვთ მცველ **ივან კორდობას, მაქსველსა** და ფორვარდ **ხულიო კრუსს**, ხოლო კიდევ ერთი მცველი **ნიკოლას ბურდისო** დისკვალიფიცირებულია. დანაკლისში აღარ ვახსენებთ **ოლივიე დაკურს, ვალტერ სამუელსა** და **სეზარ აპარესიდოს**, რაკი ისინი კარგა ხანია მკურნალობენ და მანჩინი მათზე გათვლას არც აკეთებს. მას თავდასხმაში ორი ვარიანტი აქვს: **ერნან კრესპოს** ან **დავიდ სუასო** შეუწყვილოს, ან კიდევ ჰონდურასელი მეორე ტაიმისთვის შემოინახოს და კრესპოს დასახმარებლად **დეიან სტანკოვიჩი** შეტევის ხაზში გადასწიოს.

უეფას თასზე გამსვლელი ერთ-ერთი ადგილისთვის ბრძოლაში უდავოდ საინტერესო იქნება "უდინეზესა" და "ატალანტის" მატჩი. ბერგამოელებმა წინა ტურში შთამბეჭდავი ანგარიშით (4:1) დაამარცხეს "სამპდორია" და "ფრიულის" მატჩისთვის განწყობა აშკარად უკეთესი აქვთ, რასაც ვერ ვიტყვით მის ხვალინდელ ოპონენტზე. "უდინეზესთვის", რომელსაც ბოლო 5 საშინაო მატჩიდან ერთიც არ მოუგია (2 ფრე და 3 მარცხი, აქედან, 2 ზედიზედ), პრობლემები კიდევ უფრო მატულობს, მცველ **კრისტიან საპატას,** ნახევარმცველების - **ჯანდომენიკო მესტოსა** და **კრისტიან ობოდოს**, აგრეთვე ფორვარდ **გიან ასამოას** არყოფნის გამო. **ლუიჯი დელ ნერისთვის** კი გარკვეულ სირთულეს ქმნის მცველ **მორის კაროციერის** ტრავმა. და კიდევ: შარშან "ატალანტამ" უდინეში 3:2 მოიგო.

"ტორინოსთან" საშინაო მატჩისთვის "სამპდორია" **ანტონიო კასანოს** იბრუნებს, თუმცა ტრავმირებული რჩება მეორე ფორვარდი **კლაუდიო ბელუჩი**, განაპირა მცველ **კრისტიანო ძენონის** კი დისკვალიფიკაცია აქვს. "ტოროს" მწვრთნელ **ვალტერ ნოველინოს** კი, რომელიც, სხვათა შორის, "სამპის" ყოფილი დამრიგებელია, საბრძოლო შემადგენლობის დაყენება შეუძლია. დავამატოთ ისიც, რომ ტურინელებს ბოლო 6 შეხვედრა არ წაუგიათ (2 მოგება, 4 ფრე).

"ლივორნო"-"კატანიის" შეხვედრაში მასპინძლებს ფორვარდი და ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი **ფრანჩესკო ტავანო** უბრუნდებათ, სტუმრებს კი ორი წამყვანი მოთამაშე ჰყავთ დისკვალიფიცირებული, ერთიც ტრავმირებულია. "ჯენოა", რომელმაც ზედიზედ 2 შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა, "კალიარისთან" გასვლით შეხვედრაში ნახევარმცველ **მატეო პაროს** გარეშე ითამაშებს, სარდინიელებს კი ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე დააკლდებათ. "ემპოლი"-"სიენის" ტოსკანურ დერბიში მასპინძლებს კვლავ არ ეყოლებათ ფორვარდი **ნიკოლა პოცი**, სტუმრებს დანაკლისი ექნებათ ნახევარდაცვაში, ფლეიმეიქერ **ტომას ლოკატელისა** და საყრდენი **დანიელე გალოპას** სახით. "რეჯინა" და "პალერმო" ოპტიმალური შემადგენლობებით იქნებიან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 25 | 18 | 7 | 0 | 50-15 | 61 |
| 2. რომა | 25 | 15 | 7 | 3 | 42-24 | 52 |
| 3. იუვენტუსი | 25 | 13 | 9 | 3 | 44-21 | 48 |
| 4. ფიორენტინა | 25 | 12 | 8 | 5 | 37-23 | 44 |
| 5. მილანი | 25 | 11 | 9 | 5 | 37-19 | 42 |
| 6. უდინეზე | 25 | 10 | 6 | 9 | 31-35 | 36 |
| 7. სამპდორია | 25 | 10 | 5 | 10 | 32-31 | 35 |
| 8. ჯენოა | 25 | 9 | 8 | 8 | 30-33 | 35 |
| 9. ატალანტა | 25 | 8 | 10 | 7 | 40-38 | 34 |
| 10. პალერმო | 25 | 9 | 7 | 9 | 34-40 | 34 |
| 11. ნაპოლი | 25 | 8 | 6 | 11 | 36-40 | 30 |
| 12. ლაციო | 25 | 7 | 8 | 10 | 28-32 | 29 |
| 13. ტორინო | 25 | 4 | 15 | 6 | 27-30 | 27 |
| 14. პარმა | 25 | 5 | 10 | 10 | 31-37 | 25 |
| 15. სიენა | 25 | 5 | 10 | 10 | 28-34 | 25 |
| 16. ემპოლი | 25 | 6 | 7 | 12 | 21-32 | 25 |
| 17. კატანია | 25 | 5 | 9 | 11 | 21-31 | 24 |
| 18. ლივორნო | 25 | 5 | 8 | 12 | 26-39 | 23 |
| 19. რეჯინა | 25 | 4 | 9 | 12 | 21-39 | 21 |
| 20. კალიარი | 25 | 4 | 6 | 15 | 19-42 | 18 |

მილანი

# კაკამ წერტილი დასვა

## კიდევ ხუთი წელი მილანში. თუ ფეხბურთელის სურვილი იქნა, გალიანი ერთ სეზონსაც დაამატებს

"მილანში" კარგ ხასიათზე არიან. წარსულს ჩაბარდა დისკუსიები **კაკას** ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით, რაც ავტომატურად ხსნის დღის წესრიგიდან საკითხს, მისი აზარგების თაობაზე. არადა, ბოლო ორი სეზონია, ამ სპეკულაციებს ბოლო არ უჩანს. ბრაზილიელი ფლეიმეიქერი მიზანში ჰყავს ამოღებული "რეალს", რომელიც მზად არის, მასში უზარმაზარი თანხა გაიღოს. ერთი პერიოდი, საუბარი იყო 60 მილიონ ევროზეც კი, მაგრამ "მილანი" ყოველთვის გარკვევით აცხადებდა, რომ კაკა გუნდის საკვანძო ფიგურა იყო და მისი გაყიდვა კლუბის გეგმებში არ შედიოდა.

პარალელურად, "რეალი" ცდილობდა, საქმეში ესპანური პრესაც ჩაერთო. დრო და დრო, "მარკა" თუ "ასი" აქვეყნებდნენ ინფორმაციებს, ვითომდაც, კაკასა და სამეფო კლუბის მაღალჩინოსანთა საიდუმლო შეხვედრებზე, ან თუნდაც ფეხბურთელის კომენტარებს, რომლებშიც ის "რეალს" ხოტბა-დიდებას ასხამდა და "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლის დაუოკებელ სურვილს ამჟღავნებდა; იყო პუბლიკაციებიც, რომლებსაც თან ახლდა "რეალის" მაისურაში "გამოწყობილი" კაკას დამონტაჟებული სურათები და ასე შემდეგ...

ერთი სიტყვით, "რეალი" არც ფსიქოლოგიურ ზეწოლას ერიდებოდა. "მილანის" საუფროსო შტაბი კი თითქოს მშვიდად იყო. **სილვიო ბერლუსკონისაც და ადრიანო გალიანისაც** სჯეროდათ, რომ კაკა გუნდს არ უღალატებდა. და აი, დღეს ეს რწმენა უკვე კონტრაქტითაა გამყარებული. გუშინ, "რიკიმ" (კაკას მეტსახელი) "როსონერისთან" კონტრაქტი 2013 წლამდე გააგრძელა. "ოქროს ბურთის" მფლობელს მოქმედი ხელშეკრულება 2011 წელს ეწურებოდა და, პრინციპში, საჩქაროც არაფერი იყო, მაგრამ კლუბისთვის სჯობდა, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გაერკვია.



კაკა, სამუდამოდ მილანში

*"მან ბოლო პერიოდში რამდენჯერმე გაიმეორა, რომ სურს, კლუბის სიმბოლოდ იქცეს, - აცხადებს გალიანი, - მე ვფიქრობ, ის უკვე არის "მილანის" ერთ-ერთი სიმბოლო. ამასთან, კაკა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიცაა, ახლა კი, გადაწყვიტა კარიერის ბოლომდე ჩვენთან დარჩეს. დიახ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის კარიერას "მილანში" დაასრულებს. თუკი 2013 წლის შემდეგ, ანუ, როცა ხელშეკრულების ვადა ამოიწურება, ის კიდევ გააგრძელებს ფეხბურთის თამაშს, შესაძლებელი იქნება, კონტრაქტს კიდევ ერთი წელიც დავამატოთ. ეს ძალიან კარგი ამბავია ჩვენი კლუბის ფანებისთვის".*

ცხადია, კმაყოფილება ვერ დამალა **კარლო ანჩელოტიმაც**: *"ეს არის დიდი საქმე, როგორც მისთვის, ასევე "მილანისთვის". კონტრაქტის გაგრძელება კლუბის სურვილიც იყო და ფეხბურთელისაც. კაკას საოცრად დადებითი იმიჯი აქვს, განსაკუთრებით მოედანზე, და ეს არის მისი უდიდესი ტალანტისა და ტემპერამენტის ხარჯზე. ის თითქმის ბოლომდე განიკურნა და თავდაუზოგავად ვარჯიშობს. "არსენალთან" თამაში ახლოვდება და მას იმედი აქვს, რომ სამშაბათს შემადგენლობაში იქნება. ჩემი აზრით, ეს სავსებით რეალურია".*

პოლემიკა. ისევ მსაჯობის გამო

# ტოტი: არბიტრმა ყველაფერი დაანგრია

"ინტერი"-"რომას" მატჩის შემდეგ სამსაჯო თემაზე ახალი პოლემიკა გაჩაღდა. რომაელები მიიჩნევენ, რომ არბიტრ **რობერტო როზეტის** მიერ **ფილიპ მექსეს** გაძევება, რბილად რომ ვთქვათ, მცდარი გადაწყვეტილება იყო. მატჩის 84-ე წუთზე, **ერნან კრესპოსთან** ორთაბრძოლაში, ფრანგმა მცველმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, რასაც ავტომატურად წითელი მოჰყვა და "რომა" 10 კაცით დარჩა. საგულისხმოა, რომ სწორედ რიცხობრივ უმცირესობაში მიიღეს სტუმრებმა **ხავიერ ძანეტის** საპასუხო გოლი და ჰაერივით საჭირო გამარჯვება ხელიდან გაუშვეს.

ამ ფაქტს ყველაზე მწვავედ **ფრანჩესკო ტოტი** გამოეხმაურა. "რომას" კაპიტანი ფიქრობს, რომ არბიტრის ამ ერთმა გადაწყვეტილებამ ყველაფერი დაანგრია: *"როზეტი კარგად სჯიდა თამაშს, მაგრამ ბოლო 15-20 წუთში ყველაფერი თავდაყირა დადგა. მექსეს უსაფუძვლო გაძევებამ ჩვენს მცდელობას ხაზი გადაუსვა. ფილიპს შესანიშნავი საღამო ჰქონდა. ის ჩინებულად ასრულებდა თავის მოვალეობას და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ კრესპოს არც კი შეხებია. ამდენად, გაფრთხილებაც და, შესაბამისად, გაძევებაც, უბრალოდ დაუჯერებელი გახლდათ. სიმართლე გითხრათ, თავს ვერ დავდებ იმაზე, სამართლიანი იყო თუ არა პირველი ყვითელი ბარათი, მაგრამ შემიძლია ასევე გითხრათ, რომ არბიტრმა ჩვენი მეტოქის მხრიდან რამდენიმე უხეშ ჯარიმას წაუყრუა. მატჩის ბოლოს როზეტიმ მართვის სადავეები ხელიდან გაუშვა. მაგალითად, ბურდისო ნამდვილად იმსახურებდა პირდაპირ წითელ ბარათს ორ-სამი სასტიკი ქმედების გამო, მაგრამ არაფერი... ჩვენ "ინტერზე" უკეთ ვითამაშეთ და მართებული იქნება, ვთქვათ, რომ ქულის მოსაპოვებლად ლიდერს მსაჯის დახმარება დასჭირდა... ახლა, გვიანია უკვე ამაზე საუბარი, რადგან მატჩი დასრულებულია და ველარაფერს შევცვლით. ვნახოთ, რას იზამს "ინტერი" "ნაპოლისა" და "რეჯინასთან". ჩვენც, უახლოეს მომავალში ხუთი-ექვსი საკვანძო თამაში გველის და წაბორძიკების უფლება არ გვაქვს".*

ტოტის სიტყვებმა **მასიმო მორატის** ყურადღეც მიაღწია. "ინტერის" ბოსისთვის მოვლენათა ამგვარი ინტერპრეტაცია კატეგორიულად მიუღებელია. ის რომაელთა პრეტენზიებში საფუძველს ვერ ხედავს: *"ისინი წუწუნებენ იმის გამო, რაც მატჩის შემდეგ სხვადასხვა ტელეარხით ითქვა. გამაღიზიანებელია, რომ წაგებისა თუ მოგების გასასჯელად ეპიზოდების გამეორებაა საჭირო. მაგრამ მე ვეუბნები ფანებს: წადით და ნახეთ ეს ვიდეოგამეორება. ფრე სამართლიანი იყო და დარწმუნებული ვარ, მექსესთან დაკავშირებულ ინციდენტს შედეგზე არ უმოქმედია".*

მორატიმ კომენტარი გააკეთა ტოტის ჟესტთან დაკავშირებითაც. გოლის შემდეგ, "პუპონე" ტრიბუნებთან მიიჭრა და ჩვეულებრივ, როგორც ამას ფეხბურთელთა უმრავლესობა აკეთებს ხოლმე, ყურზე ხელის მიდებით "ინტერის" ტიფოზთა რეაქციას დაელოდა. დიახ, ამაში უჩვეულო თითქოს არაფერია, მაგრამ საქმე შემდეგშია: კლუბებს შორის არსებობს ჯენტლმენური შეთანხმება, რომ ფეხბურთელებმა მაქსიმალურად შეიკავონ თავი მეტოქე გუნდის ქომაგთა პროვოცირებისგან. გოლის აღნიშვნა ხომ სხვანაირადაც შეიძლება? მორატი ეპიზოდს ამგვარ შეფასებას აძლევს: *"მე ვფიქრობ, ტოტის ჟესტი ინსტინქტური იყო და "ინტერის" ქომაგები ამას გულში არ ჩაიდებენ. მათ უნდა იცოდნენ მეტოქის პატივისცემა, რადგან ფრანჩესკოს სახით ჩვენ საქმე გვაქვს დიდ ჩემპიონთან".*

ისე, მართლაც რომ დიდი დიპლომატია სინიორ მორატი. ამ ერთი ფრაზით მან კლუბებს შორის სიტყვიერ "ომს" მოხდენილად დაუსვა წერტილი.




ფრანჩესკო ტოტი არბიტრს მისდგა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტურის წინ

# სლომკას ბედის თამაში

**გუშინ**

**ჰერტა-დუისბურგი 2:0**

**დღეს**

**კოტბუსი-შტუტგარტი (გადაიდო)**
**შალკე-ბაიერნი**
**ჰანოვერი-ნიურნბერგი**
**ვერდერი-ბორუსია (დ)**
**ჰანზა-არმინია**
**კარლსრუე-ვოლფსბურგი**

**ხვალ**

**ბოხუმი-ლევერკუზენი**
**ჰამბურგი-აინტრახტი**

როდესაც მიუნხენის "ბაიერნი" გელზენკირხენში ჩადის, "შალკეს" ქომაგებისთვის ეს ყოველთვის განსაკუთრებული შემთხვევაა. მაგრამ ამჯერად ამ მატჩს, რომელიც ტურისა და საერთოდ სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს დაპირისპირებადაა მონათლული, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მიზეზი ის გახლავთ, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდის მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** ფაქტობრივად ჩემოდნებზე ზის. გერმანიის თასიდან გავარდნის შემდეგ "ხუმარების" თავკაცზე ზეწოლა გაიზარდა და გუნდის ბოსები უკვე აღარ მალავენ, რომ მწვრთნელის შეცვლაზე სერიოზულად ფიქრობენ. ფაქტი ის გახლავთ, რომ თუ "შალკე" "ბაიერნთან" დამარცხდება და მერე ჩემპიონთა ლიგიდანაც გავარდება (პორტუსთან), სლომკას დაიფრენენ. ასე რომ, ეს თამაში მირკოსთვის ფაქტობრივად გადამწყვეტია. ისე, წინა სეზონშიც იყო მომენტი, როცა სლომკა დენთის კასრზე იჯდა და მაშინ "შალკე" სწორედ "ბაიერნთან" შეხვედრის შემდეგ (2:2) გარდაიქმნა, რის გამოც მირკო აღარ გაათავისუფლეს.

რაც შეეხება "ბაიერნს": ვერ ვიტყვით, რომ მიუნხენელებმა გერმანიის თასზე იყოჩაღეს, რადგან "მიუნხენ 1860-ის" დამარცხება ძალიან გაუჭირდათ და ბოლო წამს გატანილი პენალტის (**რიბერი**) წყალობითღა იმარჯვეს, მაგრამ რაც მთავარია, ნახევარფინალში გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ რეკორდმაისტერს გელზენკირხენში რვა თამაშია, აღარ მოუგია - 5 შეხვედრა დათმო და 3 ფრედ დაასრულა. **ოტმარ ჰიტცფელდი** დღეს **მარკ ვან ბომელს** ვერ დაიხმარს – ჰოლანდიელი ნახევარმცველი დისკვალიფიცირებულია. მის ნაცვლად ჰიტცფელდმა განაცხადში **ანდრეას ოტლი** შეიყვანა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, კრსტაიჩი, ბორდონი, ვესტერმანი, გროსმიულერი (ან კობიაშვილი), ფ. ერნსტი, რაკიტიჩი, ასამოა, კურანი, შტრაიტი.

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ჰამით ალთინთოფი, ოტლი, ზე რობერტო, რიბერი, კლოზე, ტონი.

უაღრესად დამაინტრიგებელი მატჩი იმართება ბრემენშიც, სადაც ადგილობრივი "ვერდერი" დორტმუნდის "ბორუსიას" მასპინძლობს. "მუსიკოსები", რა თქმა უნდა, ფავორიტები არიან, მაგრამ **თომას შაафს** და კომპანიას კარგად ახსოვთ ის, რომ მიმდინარე სეზონში "ბორუსიასთან" ვერაფერი გააწყვეს – დამარცხდნენ როგორც პირველ წრეში, ასევე გერმანიის თასზეც. სამაგიეროდ, "ვეზერშტადიონზე" დორტმუნდელები ძალიან ცუდად გამოიყურებიან ხოლმე. საკუთარ კედლებში ბრემენულ კლუბს სხვა არცერთი კლუბი არ დაუმარცხებია ისე ხშირად, როგორც "დორტმუნდი". "მუსიკოსებს" **დიეგო** არ ეყოლებათ (დისკვალიფიკაცია) და ამ უკანასკნელს ცოტა ხნის წინათ "შალკედან" ნაყიდი **მესუთ იოზილი** შეცვლის. მიმდინარე სეზონში დორტმუნდელთა მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა. **თომას დოლის** შეგირდები ბუნდესლიგიდან ამას ალბათ ველარ მოახერხებენ, სამაგიეროდ გერმანიის თასიდან ევროპაში გასვლის კარგი შანსი აქვთ, რადგან ნახევარფინალში გავიდნენ ("ჰოფენჰაიმი" 3:1 დაამარცხეს). დორტმუნდელთა დაცვის მარცხენა ფლანგს დღეს დისკვალიფიცირებული **დედეს** ნაცვლად **დელრონ ბაკლი** გაამაგრებს, რომელიც საერთოდ შემტევი ნახევარმცველია, მაგრამ დაცვის ფლანგზეც შეუძლია ასპარეზობა.

"ვილდპარკშტადიონზე" "კარლსრუე" (33 ქულა) "ვოლფსბურგის" დამარცხებას შეეცდება. "მგლებმა" მეორე წრე შესანიშნავად დაიწყეს და ბადენურ კლუბს სამი ქულის დისტანციაზე მიუახლოვდნენ. ამასთან, **ფელიქს მაგათის** გუნდმა გერმანიის თასზეც წარმატებას მიაღწია (ჰამბურგს მოუგო და ნახევარფინალში გავიდა), რის გამოც "ფოლკსვაგენის" გუნდში შესანიშნავი განწყობაა. **ალექსანდრე იაშვილის** გუნდს დღეს ლიდერი **ტამაშ ჰაინალი** არ ეყოლება, რომელმაც წინა ტურში მეხუთე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიცირებულია. მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ალბათ **პორცელო** ითამაშებს.

კრიზისში მყოფი "ნიურნბერგი" ჰანოვერში ჩადის. ფრანკებმა გასავარდნ ზონას თავი ვერა და ვერ დააღწიეს. თანაც, "ნიურნბერგს" მეკარის პრობლემაც აქვს – **ბლაჟეკი** ბოლო დროს ძალიან ცუდად გამოიყურება და თუ დღესაც "ვერ გაამართლა", სავარაუდოდ, ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდება. შავ ზონასთან ყველაზე ახლოს მყოფი გუნდები, როსტოკის "ჰანზა" და ბილეფელდის "არმინია" ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ბილეფელდელებს ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ.



მირკო სლომკა შალკეს 2006 წლის 4 იანვრიდან წვრთნის. მისი დრო გავიდა?

უშუალო კონკურენტების დუელში ფავორიტად როსტოკული კლუბია შერაცხული. "არმინიის" მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ ფრონტცეკმა** გადაწყვიტა, რომ დღეს ძირითად შემადგენლობაში **რაუ, მარქსი, აიგლერი** და **ჰალფარი** ათამაშოს. თითქმის გარკვეულია, რომ ზედიზედ მეხუთე მარცხის შემთხვევაში ფრონტცეკი უმუშევარი დარჩება. "კოტბუსისა" და "შტუტგარტის" მატჩი კი გაურკვეველი ვადით გადაიდო. საქმე იმაშია, რომ დღეს კოტბუსში ძალიან ძლიერი გრიგალია მოსალოდნელი (130 კმ/სთ).

ხვალ, აღმოსავლეთ გერმანიაში "ბოხუმი" მესამე ადგილზე მყოფ "ლევერკუზენს" უმასპინძლებს. რურელებს ბომბარდირი **სესტაკი** აკლიათ, რომელსაც ან **ეპალე** შეცვლის, ანაც **მიჩიელი**. "ბაიერი" შესანიშნავ ფორმაშია და აქედან გამომდინარე, წესით ბოხუმელებს წარმატების მიღწევა უნდა გაუჭირდეთ. თანაც, "ლევერკუზენს" მეკარე **რენე ადლერი** უბრუნდება. შესაძლებელია, რომ წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა **თეოფანის გეკასმა** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშოს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **მიხაელ სკიბე** ბერძენ თავდამსხმელს სათადარიგოთა სკამზე დატოვებს.

ხვალვე, "ჰამბურგი" ფრანკფურტის "აინტრახტს" უმასპინძლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ **მეჰდი მაჰდავიკია** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ იასპარეზებს. ისე, ირანელი სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება ხოლმე, მაგრამ ამჯერად აუცილებლად ითამაშებს, რადგან ფრანკფურტელთა მარჯვენა მცველი **ოხსი** დაშავებულია. "ჰამბურგი" გერმანიის თასიდან გავარდა (1:2 ვოლფსბურგთან), რაც დამატებითი სტიმულია იმისათვის, რომ **ჰუუბ სტევენსის** შეგირდებმა ხვალ მოსაგებად მაქსიმუმი გააკეთონ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 21 | 12 | 8 | 1 | 38-11 | 44 |
| 2. ვერდერი | 21 | 12 | 4 | 5 | 46-28 | 40 |
| 3. ლევერკუზენი | 21 | 11 | 5 | 5 | 39-21 | 38 |
| 4. ჰამბურგი | 21 | 10 | 8 | 3 | 30-16 | 38 |
| 5. შალკე | 21 | 9 | 8 | 4 | 34-23 | 35 |
| 6. კარლსრუე | 21 | 9 | 6 | 6 | 26-28 | 33 |
| 7. აინტრახტი | 21 | 8 | 8 | 5 | 25-25 | 32 |
| 8. შტუტგარტი | 21 | 10 | 1 | 10 | 32-35 | 31 |
| 9. ვოლფსბურგი | 21 | 8 | 6 | 7 | 35-32 | 30 |
| 10. ჰერტა | 22 | 9 | 3 | 10 | 25-28 | 30 |
| 11. ჰანოვერი | 21 | 8 | 5 | 8 | 31-36 | 29 |
| 12. ბორუსია (დ) | 21 | 8 | 4 | 9 | 34-36 | 28 |
| 13. ბოხუმი | 21 | 7 | 5 | 9 | 32-35 | 26 |
| 14. ჰანზა | 21 | 6 | 3 | 12 | 19-30 | 21 |
| 15. არმინია | 21 | 5 | 3 | 13 | 20-44 | 18 |
| 16. ნიურნბერგი | 21 | 4 | 5 | 12 | 23-34 | 17 |
| 17. დუისბურგი | 22 | 5 | 2 | 15 | 22-36 | 17 |
| 18. კოტბუსი | 21 | 3 | 8 | 10 | 23-36 | 17 |

შალკე. ბაიერნთან მატჩის წინ

# ბორდონი: სიკვდილი ან გამარჯვება!

## პრეზიდენტს მაღალკალიბრიანი მწვრთნელი უნდა. მაგალითად, მოურინიო ან ლიპი...



შალკეს კაპიტანი მარსელო ბორდონი თანაგუნდელებისგან ბაიერნთან მატჩში თავდადებას ითხოვს

**მირკო სლომკა** "შალკეში" არაერთხელ იყო გათავისუფლების რეალური კანდიდატი. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა, ყველა ამბობდა, ეს აქ დიდხანს ვერ გაძლებს, მალე დაიფრენენო. მაგრამ აგერ უკვე მესამე წელია, ერთ დროს "მისტერ არავინ" გელზენკირხენული კლუბის დამრიგებელია და მას მერე, რაც მირკო **ლევან კობიაშვილის** გუნდს წვრთნის, "ხუმარები" არცთუ წარუმატებლები არიან. თავად განსაჯეთ, "შალკემ" არსებობის განმავლობაში პირველად მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური და ახლა მეოთხედფინალთანაც ახლოსაა. და აი, სლომკასა და "შალკეს" საკმაოდ დიდ ისტორიაში კიდევ ერთხელ დადგა მომენტი, როცა მწვრთნელი ჩემოდნებზე ზის.

ერთი კვირის წინ, "ლევერკუზენთან" მატჩის (0:1) საფინალო სასტვენის შემდეგ "შალკეს" ქომაგები 40 წლის მირკოს გათავისუფლებას მოითხოვდნენ - უკვე მერამდენედ. თუმცა ფანებს რას გაუგებ - შეიძლება, ხვალ მწვრთნელი ქება-დიდებით შეამკონ, თუკი ამ უკანასკნელის გუნდი "ბაიერნს" მოუგებს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ამ კვირაში გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები სლომკას გათავისუფლებისა და ახალი სპეციალისტის მოძებნის საკითხს აქტიურად განიხილავდნენ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისი** და პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი** საბოლოოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ სლომკასთვის ულტიმატუმი წაეყენებინათ. აი, რას ამბობს პრეზიდენტი: *"ფაქტია, რომ რაღაც უნდა ვიღონოთ, რადგან ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს ან ხვალ მწვრთნელს გავათავისუფლებთ. საერთოდ, იქნებ ღირდეს იმაზე დაფიქრება, რომ "შალკეს" ბოლოს და ბოლოს ძალიან მაღალი კლასის მწვრთნელი სჭირდება. ისეთი, რომელსაც დიდი წონა ექნება."*

ესეც ასე! შნუზენბერგმა უკვე ღიად თქვა ის, რასაც აქამდე "შალკეს" აბსოლუტურად ყველა ქომაგი ფიქრობდა. ცხადია, პრეზიდენტმა ამ განცხადებისთვის ზედგამოჭრილი დრო შეარჩია. მოკლედ, გუნდი კრიზისშია და ბოსებიც ახალ მწვრთნელს ეძებენ. "ბილდის" ინფორმაციით, გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** უკვე მიიღო დავალება, რომ ტოპმწვრთნელი ეძებოს. "შალკეს" ახალი დამრიგებელი დაახლოებით ისეთი კალიბრისა უნდა იყოს, როგორებიც **მარჩელო ლიპი, კრისტოფ დაუმი** ან **ჟოზე მოურინიო** არიან. მომავალი დამრიგებელი სლომკას ადგილს სავარაუდოდ ზაფხულში დაიკავებს, მაგრამ გაძლებს კი მირკო ზაფხულამდე? ფაქტი ის გახლავთ, რომ თუ "შალკე" დღეს "ბაიერნთან" არ დამარცხდება, ხოლო ოთხშაბათს კი იმდენს მოახერხებს, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავა, მაშინ სლომკას თითსაც ვერ დააკარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ახლავე გაათავისუფლებენ და სავარაუდოდ დროებით მწვრთნელს დანიშნავენ, რომელიც "შალკეს" ამ სეზონს ჩაამთავრებინებს.

"ბილდი" იმაზეც წერს, რომ სამშაბათს "შალკეს" გასახდელიდან ყვირილის ხმა გამოდიოდა. ფეხბურთელებს და მწვრთნელს (ხაზს ვუსვამთ-მწვრთნელსაც!) მიულერმა ლექცია წაუკითხა, თანაც ისეთი ინტონაციით, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, კედლები ზარზარებდაო. როგორც ირკვევა, მწვრთნელის წინააღმდეგ კაპიტანი **მარსელო ბორდონი** და თავდამსხმელი **კევინ კურანიც** გამოვიდნენ, რომლებმაც ბოლო მატჩებში დაშვებულ შეცდომებზე ილაპარაკეს. *"ბოლოს და ბოლოს, "შალკემ" კარგი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ამიტომაც ისმოდა სამშაბათს გასახდელიდან ყვირილის ხმა. ჩვენ გვყავს კარგი ფეხბურთელები ფული დავხარჯეთ და მაღალი კლასის მოთამაშეები დავიმატეთ. გუნდს შესანიშნავი პირობები აქვს. მაშ რატომ ვერ გამოვიყურებით სოლიდურად?"* - განაცხადა მიულერმა "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძინა, - *"შეცდომები ყველამ დაუშვა, მათ შორის მწვრთნელმაც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შუაზე უნდა გავიხლიჩოთ. ფეხბურთელები არც სლომკასთვის თამაშობენ, არც მიულერისთვის და არც შნუზენბერგისთვის - ყველამ "შალკესთვის" უნდა ითამაშოს!"*

*"ბაიერნთან" თითოეულმა ჩვენგანმა 150 პროცენტი უნდა გაიღოს. ან მოედანზე უნდა მოვკვდეთ, ან ეს თამაში უნდა მოვიგოთ!"* - ეს კი კაპიტან ბორდონის სიტყვები გახლავთ.

## მირკო სლომკა: ბოლომდე ვიბრძოლებ!

**- ჰერ სლომკა, ხომ არ გიფიქრიათ იმაზე, რომ იქნებ ჯობდეს, თვითონ დაწეროთ განცხადება და "შალკედან" წახვიდეთ?**

- არა! არავითარ შემთხვევაში! მებრძოლი ადამიანი ვარ და დანებებას არ ვაპირებ. თუკი "ბაიერნს" მოვუგებთ, რაც არარეალური ნამდვილად არ არის, ყველაფერი ისევ ძალიან კარგად იქნება და ჩვენც დაგვიბრუნდება იმის შანსი, რომ მესამე ადგილი დავიკავოთ. და თუკი მომავალ ოთხშაბათს "პორტუსთანაც" ისეთ შედეგს მივაღწევთ, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდეთ, ეს უკვე იდეალური იქნება. ასეთი წარმატება გუნდს არა მარტო მილიონებს, არამედ უდიდეს სახელსაც მოუტანს. ახლა სწორედ ამ ორ თამაშზე ვფიქრობ.

**- ბოსებმა ულტიმატუმი წაგიყენეს. თუ "ბაიერნთან" წააგებთ და ვერც "პორტუს" ბარიერს დაძლევთ, გაგათავისუფლებენ...**

- ეს ჩემთვის არცაა გასაკვირი. თუკი ამ ორ ძალიან მნიშვნელოვან თამაშს წავაგებთ, გამაგდებენ და ამაში უცნაური არაფერია. საკმარისზე დიდი ხანია, ფეხბურთში ვმუშაობ და ვიცი აქაური მექანიზმები. ასე რომ, ამ ამბებს ჩვეულებრივად ვხვდები.

**- ზუსტად როგორია ულტიმატუმი?**

- ორშაბათს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ტელეფონით ვესაუბრე. კლემენს ტიონისმა ყველაფერი გულახდილად მითხრა. კონკრეტულად ულტიმატუმზე ვერაფერს გეტყვით. იმის თქმა კი მინდა, რომ ეს გამოწვევა მივიღე და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ "შალკე" კრიზისიდან სასწრაფოდ გამოვიდეს. ასეთ მდგომარეობაში ადრეც ვყოფილვართ და ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა მძიმე დროება გვიდგას.

**- გამორიცხული არ არის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ "ბაიერნსაც" დაამარცხებთ და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გახვალთ, შეფებმა მომავალი სეზონისთვის მაინც ახალი მწვრთნელი მოიწვიონ. თქვენ არაფრის გარანტია არ გაქვთ და მიუხედავად ამისა, ბოლომდე ბრძოლას აპირებთ?**

- ანდრეას მიულერს ადრეც ვუთხარი, როცა კი გაიფიქრებ, რომ მე "შალკესთვის" ღირსეული მწვრთნელი აღარ ვარ, მაშინვე უნდა გამათავისუფლო, ეს მხოლოდ გუნდს წაადგება და შენც გექნება იმის დრო, რომ ახალი სპეციალისტი იპოვო-მეთქი. მაგრამ როგორც გითხარით, მე არასდროს დავნებდები და ბოლომდე ვიბრძოლებ. მინდა დავამტკიცო, რომ "შალკესთვის" ისევ ღირსეული მწვრთნელი ვარ!

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXVI ტურის წინ

# რაიკაარდმა ოთხი ფანტასტიკო შეკრიბა

## შუსტერს კი გუტი და ვან ნისტელროი გამოაკლდნენ...

**დღეს**

**ატლეტიკო-ბარსელონა**
**რეკრეატივო-რეალი**
**დეპორტივო-სევილია**
**ესპანიოლი-ვალენსია**

**ხვალ**

**ლევანტე-სარაგოსა**
**ბეტისი-მურსია**
**ვალიადოლიდი-რასინგი**
**ხეტაფე-მალიორკა**
**ვილიარეალი-ოსასუნა**
**ალმერია-ბილბაო**

"ბარსელონას" თითქმის ათთვიანი პაუზის შემდეგ ფანტასტიკური შანსი აქვს იმისთვის, რომ პრიმერა დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერი გახდეს. ბოლოს კატალონიური გრანდი პირველ ადგილზე 2007 წლის 5 მაისს იმყოფებოდა. მას შემდეგ **ფრენკ რაიკაარდის** ბიჭები მუდმივად მადრიდის რეალის ზურგსუკან იმყოფებიან. გასული წლის 5 მაისს "ბარსამ" გასვლით შეხვედრაში "ანოეტაზე" "სოსიედადს" 2:0 მოუგო. სანსებასტიანელებმა ამ ნაგების შემდეგ პრიმერა დივიზიონში დარჩენის შანსი კიდევ უფრო გაიუარესეს. სტუმრებმა კი ერთი შეხედვით ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე მორიგი ნაბიჯი გადადგეს, თუმცა მომდევნო ტურებში მოვლენები წარმოუდგენელი სცენარით განვითარდა და ესპანეთის ჩემპიონი "რეალი" გახდა. მსგავსი დინამიკა მიმდინარე სეზონმაც შემოგვთავაზა, მაგრამ განსხვავება ახლა იმაშია, რომ პოზიციებს "რეალი" თმობს. ბევი რომ არ გავაგრძელოთ, "ბარსელონას" მართლაც კარგი შანსი აქვს, რათა ლიდერობა დაიბრუნოს.

საპასუხისმგებლო მატჩის წინ ფრენკ რაიკაარდს გამოჯანმრთელებული და ფორმაში ჩამდგარი **რონალდინიო** დაუბრუნდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჰოლანდიელ სპეციალისტს შესაძლებლობა მიეცემა ე.წ. ოთხი ფანტასტიკო საბრძოლველად მოამზადოს. მოგეხსენებათ, სეზონის დაწყების წინ **ტიერი ანრის** გადაბირების შემდეგ დიდი აჟიოტაჟი ატყდა. საინტერესოა, რონალდინიო, **ეტოო, მესი** და ანრი ერთდროულად ძირითად შემადგენლობაში როგორ უნდა მოხვდნენო. სხვადასხვა მიზეზის გამო ამ კვარტეტს ერთად ჯერ არ უთამაშია. ხან ვინ ილებდა ტრავმას, ხან - ვინ. ზოგჯერ მთავარი მწვრთნელი ამ ოთხეულის რომელიმე ფეხბურთელის მზადყოფნით არ იყო კმაყოფილი. ახლა კი ყველა ჯანმრთელია და ფორმაც არ დაეწუნებათ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სანახაობრივი ფეხბურთის მოყვარული კატალონიელი გულშემატკივრები "ოთხი ფანტასტიკოს" თამაშს მოუთმენლად ელიან. მიუხედავად ამისა, რაიკაარდი ეტოოს, ანრის, რონალდინიოსა და მესის მხარდამხარ ახალგაზრდა **ჯოვანი დოს სანტოსსა და ბოიან კრკიჩსაც** ავარჯიშებდა. ეს ფაქტი გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, ჰოლანდიელ სპეციალისტს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. თუ ოთხივე ვარსკვლავს ერთდროულად შემადგენლობაში დააყენებს, კრკიჩისა და ჯოვანის განაცხადში შეყვანა გაუგებარი იქნება, რადგან არ შეიძლება, ერთი მატჩისთვის 6 ფორვარდი მოამზადო. უფრო ლოგიკური იქნება, თუ განაცხადში ნახევარმცველს შეიყვანს. იმ შემთხვევაში, თუ "ბარსა" დაწინაურდება და ანგარიშის შენარჩუნებისთვის ზრუნვა მოუწევს, ნახევარმცველი აშკარად უფრო გამოსადეგი იქნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მანამდე კი იმ ბიჭების სიას შემოგთავაზებთ, რომლებიც რაიკაარდმა განაცხადში უნდა შეიყვანოს: *ვალდესი, პინტო, პუიოლი, ტურამი, მილიტო, ძამბროტა, კრკიჩი, აბიდალი, სილვინიო, დეკუ, გუდიონსენი, ჩავი, ინიესტა, მესი, ანრი, რონალდინიო, ეტოო, ჯოვანი.*

"ხეტაფესთან" საშინაო მატჩის ნაგების შემდეგ "რეალმა" ცხოვრება უკიდურესად გაირთულა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, სამეფო კლუბს იოლი მატჩი უელვაშიც არ ექნება. საქმე ის არის, რომ "რეკრეატივოსთან" შეხვედრის წინ **ბერნდ შუსტერს** 2 წამყვანი ფეხბურთელი, **გუტი და ვან ნისტელროი** გამოაკლდა. ჯერჯერობით უცნობია, გავლენ თუ არა ხოსე მარია და რუუდი მოედანზე, თუმცა ის კი უტყუარი ფაქტია, რომ "რეალის" ლიდერებმა პარასკევის ვარჯიში ვერ ჩაატარეს. უვარჯიშებელი ბიჭების გამოყვანა დიდ რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, შუსტერი უკან არაფერზე დაიხევს. მთავარია, გუტიმ და ვან ნისტელროიმ თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე კარგად იგრძნონ თავი: "*ხოსე მარიასა და რუუდის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. მე ექიმების იმედი მაქვს და მჯერა, რომ ჩემ შეგირდებს ფეხზე დააყენებენ. უელვაში, რა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის მივდივართ. ამიტომ გუტი და ვან ნისტელროი ჰაერივით საჭირო ხალხია.*"

იმ შემთხვევაში, თუ ესპანელი და ჰოლანდიელი გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებენ, ბერნდ შუსტერი შემადგენლობაში შემდეგ ფეხბურთელებს შეიყვანს: *კასილიასი, დუდეკი, სერხიო რამოსი, კანავარო, პეპე, ჰაინცე, ტორესი, მარსელო, დიარა, გაგო, დრენტე, რობენი, რობინიო, ბალბოა, იგუაინი, ბაპტიშტა, სოლდადო და რაული.*

როგორც ხედავთ, შემადგენლობაში ერთი დიდი სიახლეა. **რობინიომ** ტრავმა მოიშუშა და ახლა მზად არის, "რეკრეატივოს" კარს მთელი ძალით შეუტიოს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 25 | 18 | 2 | 5 | 54-21 | 56 |
| 2. ბარსელონა | 25 | 16 | 6 | 3 | 49-17 | 54 |
| 3. ვილიარეალი | 25 | 14 | 4 | 7 | 43-35 | 46 |
| 4. ატლეტიკო | 25 | 12 | 5 | 8 | 40-28 | 41 |
| 5. სევილია | 25 | 12 | 3 | 10 | 51-33 | 39 |
| 6. ესპანიოლი | 25 | 11 | 6 | 8 | 35-32 | 39 |
| 7. რასინგი | 25 | 10 | 8 | 7 | 24-25 | 38 |
| 8. ალმერია | 25 | 10 | 6 | 9 | 21-22 | 36 |
| 9. ვალენსია | 25 | 10 | 5 | 10 | 28-35 | 35 |
| 10. ხეტაფე | 25 | 9 | 5 | 11 | 29-32 | 32 |
| 11. ვალიადოლ. | 25 | 8 | 7 | 10 | 32-42 | 31 |
| 12. მალიორკა | 25 | 6 | 12 | 7 | 34-36 | 30 |
| 13. ოსასუნა | 25 | 8 | 5 | 12 | 28-31 | 29 |
| 14. ბილბაო | 25 | 7 | 8 | 10 | 23-26 | 29 |
| 15. სარაგოსა | 25 | 7 | 8 | 10 | 36-43 | 29 |
| 16. ბეტისი | 25 | 7 | 8 | 10 | 27-36 | 29 |
| 17. რეკრეატივო | 25 | 7 | 8 | 10 | 24-34 | 29 |
| 18. დეპორტივო | 25 | 7 | 6 | 12 | 28-37 | 27 |
| 19. მურსია | 25 | 5 | 8 | 12 | 20-34 | 23 |
| 20. ლევანტე | 25 | 4 | 4 | 17 | 20-47 | 16 |

ინტერვიუ რონალდინიოსთან

# სანახაობასთან კომპრომისზე ვერ წავალ

## ბრაზილიელის თქმით, ცრუ მოძრაობა ფეხბურთის მშვენება და სილამაზეა. ამ მაგიის გარეშე ეს დიდი თამაში არ იარსებებს

**ზუსტად ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რონალდინიომ ესპანური მედიისთვის ბოლო, ხანგრძლივი პრესკონფერენცია მოაწყო. ბრაზილიელი ვარსკვლავი მხოლოდ მცირე განცხადებებით იფარგლებოდა, რის გამოც საზოგადოების ცნობისმოყვარეობა დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. გუშინ გაუჩომ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და წამყვანი ესპანური ტელევიზიებისა და გაზეთებისთვის პრესკონფერენცია გამართა. ბუნებრივია, მას მრავალ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა.**

**- რონალდინიო, ამდენი ხანი რატომ დუმდით?**

- მომღერალი არ ვარ, რომ ყოველდღე მიკროფონი მეჭიროს ხელში და ვიმღერო ან ვისაუბრო. ფეხბურთელს თავისი საქმე აქვს. ჯობს, ბევრი ვიმუშაო და ნაკლები ვილაპარაკო.

**- იმ დროის განმავლობაში, როცა ხმას არ იღებდით, "ბარსელონაში" ძალიან ბევრი რამ მოხდა. ხვდებით, რას ვგულისხმობ?**

- წარმოდგენა არ მაქვს.

**- მაშინ განგიმარტავთ, თქვენ ხმას არ იღებდით. ამასობაში კი, პრესა სერიოზულად გაკრიტიკებდათ...**

- ტრადიციულ პასუხს გაგცემთ. როცა საქმე კარგად არ გამოგდის, აუცილებლად გაგაკრიტიკებენ. ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა. სიტუაციის გასაუმჯობესებლად გულმოდგინედ ვმუშაობ. ვცდილობ, ყოველი ვარჯიშის შემდეგ რაიმე ახალი შევიძინო. ყველა პირობა გამაჩნია იმისთვის, რომ უმაღლეს დონეზე ვიმუშავო. პიროვნულად არ შევცვლილვარ, ისევ ისეთი ადამიანი გახლავართ, როგორიც ადრე ვიყავი. "ბარსელონასთვის" ყველაზე ცუდი ის არის, რომ გასულ სეზონში არაფერი მოუგია. ამიტომ მისი თითოეული ფეხბურთელი კრიტიკის ობიექტი გახდა. შესაძლოა, ყველაზე მეტად მე მლანძღავდნენ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როცა საქმე კარგად არ გამოგდის, კრიტიკას ვერსად გაექცევი. რა თქმა უნდა, ლანძღვა არავის სიამოვნებს. ნებისმიერ ადამიანს ურჩევნია, მისი მისამართით გამოთქმული საქებარი სიტყვები მოისმინოს. თუმცა, მეორე მხრივ, კრიტიკას ძალიან დადებითი როლის შესრულება შეუძლია. ალბათ, ხვდებით, რომ მოტივაციის ამაღლებას ვგულისხმობ. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მართლაც, უმოწყალოდ მაკრიტიკებდნენ. ცხადია, თავს არ ვზოგავდი და არც ახლა ვზოგავ, რომ თამაშის ხარისხი გავაუმჯობესო და საზოგადოების კეთილგანწყობა დავიმსახურო. სწორედ ეს არის დამატებითი მოტივაცია. ბოლო ერთ წელს თუ არ ჩავთვლით, ჩემი საფეხბურთო კარიერა ტაშისა და ოვაციების ფონზე მიმდინარეობდა. გამოგიტყდებით, ძალიან მიჭირს შეცვლილ ვითარებასთან შეგუება, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. ემოციები უნდა მოვთოკო და ფეხბურთი ვითამაშო. მადლობა ღმერთს, ჩემი საქმე სიამოვნებას მანიჭებს. თუ მივხვდები, რომ ფეხბურთის თამაში აღარ მსიამოვნებს, კარიერას იმავე დღესვე დავასრულებ.

**- კარიერას "ბარსელონაში" გააგრძელებთ?**

- სრულიად გულწრფელად გეტყვით, რომ "ბარსელონაში" ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. ამ კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს. ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიუხედავად, მიმაჩნია, რომ "ბარსას" მსოფლიოში საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. ერთიანობას თუ შევინარჩუნებთ და მუშაობას გავაგრძელებთ, ფენომენალურ შედეგებს მივაღწევთ. ძალიან კარგად მესმის. ისეთ გუნდს, როგორიც "ბარსელონაა", ერთწლიან ჩავარდნასაც არ აპატიებენ. არადა, მანამდე ზედიზედ სამი წლის განმავლობაში უმაღლეს მწვერვალებს ვიპყრობდით. ფაქტობრივად, არ დარჩენილა ტიტული, რომელიც ჩვენ არ მოგვიპოვებია. ისიც კარგად მესმის, რონალდინიო ამ მიღწევების ერთ-ერთ არქიტექტორად მიიჩნეოდა. ახლა კი შედეგი გაქრა და რონალდინიოც დაიკარგა. ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს დროებითი მოვლენაა. მომავლის ზუსტად განჭვრეტა მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს შეუძლია, თუმცა ამ ეტაპზე არანაირი პირობა არ არსებობს, რათა "ბარსელონა" დავტოვო და სხვა კლუბში განვაგრძო კარიერა. დღეს ამ დარბაზში უამრავი ჟურნალისტია შეკრებილი. თქვენს ნამუშევარს მთელი მსოფლიო გაეცნობა. ასე რომ, პრაქტიკულად მთელი პლანეტის გასაგონად ვიტყვი, რომ რონალდინიოს "კამპ ნოუზე" დარჩენა სურს.

**- ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

- შესანიშნავად. ძალიან მოტივირებული ვარ, თუმცა ამის შესახებ უკვე ვისაუბრე. ახლა უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ უაღრესად მშვიდად ვგრძნობ თავს. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია, რადგან სიმშვიდის გარეშე ვერაფერს გააკეთებ. გაცილებით ბედნიერი ვიქნები, თუ წელს რომელიმე დიდ ტიტულს დავეუფლები. სწორედ იმისთვის ვშრომობთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში ან პრიმერა დივიზიონში წარმატებას მივაღწიოთ. თუ ორივე ფრონტზე გავიმარჯვეთ, ამას რა აჯობებს.

**- ფრენკ რაიკაარდი როტაციებს ხშირად მიმართავს. გულწრფელად მითხარით, გესმით თქვენი მწვრთნელის?**

- არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ბარსელონას" მართლაც საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. შეუძლებელია, მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ მოთამაშეთა ერთი ჯგუფი ათამაშო, მეორე კი სათადარიგოთა სკამზე დასვა. "ბარსას" ფეხბურთელებს ორი უძლიერესი გუნდის გაკეთება შეუძლიათ. ამიტომ მწვრთნელი ვალდებულია, შეგირდებს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი მისცეს. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ გადატვირთული კალენდარი საუკეთესო ფიზიკური მომზადების მქონე ფეხბურთელსაც ღლის. დაღლილი მოთამაშე კი აუცილებლად უნდა შეცვალო. ჩემი აზრით, რაიკაარდი სწორად მუშაობს, თუმცა მისი საქმიანობა რომელიმე ტიტულის მოპოვებით თუ არ დასრულდება, ყოველივე ფუჭი იქნება და სამწუხაროდ, "ბარსელონას" გამოსვლას უარყოფითად შეაფასებენ.

**- პრიმერა დივიზიონის მორიგ ტურში მადრიდის "ატლეტიკოს" დაუპირისპირდებით. რაიკაარდს ხომ არ უთქვამს, ძირითად შემადგენლობაში დაგაყენებთ, თუ ისევ სათადარიგოთა სკამზე დაგსვამთ?**

- მიუხედავად იმისა, რომ რაიკაარდს აბსოლუტურად ყოველდღე ვესაუბრები, ამ საკითხზე არაფერი უთქვამს. რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ მსურს იმისა, რომ "ატლეტიკოსთან" მატჩში სათადარიგოთა სკამზე დამსვამენ, თუმცა თუ ფრენკი ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ მომინახავს, სკანდალს არ მოვაწყობ და ჩემთვის უსიამოვნო სიტუაციას მშვიდად შევხვდები.

**- როგორ გგონიათ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რაიკაარდი?**



- მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ფიზიკურად ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. დანმუნებული გახლავართ, "ატლეტიკოსთან" ღირსეულად ვითამაშებ. ჩემი მთავარი მოტივაცია "ბარსას" დახმარებაა. საამისო საუკეთესო საშუალება კი მოედანზე გასვლა და თამაშია.

**- საკმაოდ მცირე დროში "რეალთან' არსებული 9-ქულიანი ჩამორჩენა ორ ქულამდე დაიყვანეთ. ალბათ, ოპტიმიზმი გაგიღრმავდათ.**

- ერთი ნაბიჯილა გვაკლია იმისთვის, რომ მადრიდის "რეალს" გავუსწროთ და ჩვენთვის ჩვეული, ბუნებრივი პირველი ადგილი დავიკავოთ. ლიდერობის იმედი არასოდეს დაგვიკარგავს. მაშინაც კი, როდესაც სხვაობამ კატასტროფულ 9-ქულიან ნიშნულს მიაღწია. დღეს სამივე ტურნირში გამარჯვების შანსი გვაქვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით ოპტიმიზმი მართლაც გაგვიღრმავდა. საკუთარ შესაძლებლობებში 100 პროცენტით ვართ დარწმუნებულები.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ "ბარსელონას" გულშემატკივრები მეტისმეტად მომთხოვნები და უსამართლოები არიან?**

- კატალონიური ინჩადა უსამართლო არასოდეს ყოფილა. ისინი შრომას არავის უვიწყებენ. ჩემი აზრით, "კამპ ნოუზე" ყველაზე ინტელექტუალური გულშემატკივრები იკრიბებიან. ფეხბურთში ასეთი გაცნობიერებული საზოგადოება იშვიათად თუ მინახავს, უმცირეს დეტალსაც ვერ გამოაპარებ. საკმარისია, რაიმე ისე არ გააკეთო, უმალ მიგახვედრებენ, რომ დაგინახეს და თავის მოტყუების უფლებას არ მოგცემენ. ჩვენ ინჩადას მადლობა უნდა გადავუხადო. პრესაში დაბეჭდილი უამრავი კრიტიკისა თუ ცილისწამების მიუხედავად, მათი სიყვარული არასოდეს მომკლებია. ისინი ნამდვილი პატრიოტები არიან და იციან, რომ მე "ბარსას" ერთგული ჯარისკაცი ვარ.

**- ამ რთულ დროს თანაგუნდელები რას გეუბნებოდნენ?**

- მე ბედნიერი ადმაიანი ვარ, რადგან ისეთ გუნდში ვთამაშობ, რომელშიც ყველა მხარში მიდგას და მაქსიმალურად მეხმარება. საკმარისი იყო, ჩემ გარშემო კრიტიკის ახალი ტალღა აგორებულიყო, ბიჭები დაუყოვნებლივ მირეკავდნენ და მამხნევებდნენ, ბაზაზე მისვლის შემდეგ კი მეხუტებოდნენ და მამშვიდებდნენ. ასეთ ხალხში მუშაობა მართლაც დიდი ბედნიერებაა.

**- ახლა ისიც გვითხარით, რაიკაარდთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

- მე და ფრენკს უდიდესი მეგობრობა გვაკავშირებს. ამ სიტყვის თქმა ნამდვილად არ შემეშინდება, რადგან მანაც იცის, რომ მეგობრები ვართ. ასეთი ახლო ურთიერთობა ხელს არ გვიშლის, პროფესიული მოვალეობები პირნათლად შევასრულოთ. როგორც ხედავთ, რაიკაარდს არ უჭირს, საკუთარი მეგობარი სათადარიგოთა სკამზე დასვას. ამ ფაქტს მშვიდად ვხვდები. მეგობრობა მეგობრობაა, მაგრამ საქმეს განსხვავებული მიდგომა სჭირდება. მომავალში რაც არ უნდა მოხდეს, ეჭვი არ მეპარება, რომ მე და ფრენკი ცხოვრების ბოლომდე მეგობრებად დავრჩებით. არ შემეშინდება იმის თქმა, რომ რაიკაარდი და რონალდინიო ერთმანეთისთვის ამდენად ახლობლები არასოდეს ყოფილან.

**- გული არ გწყდებათ, რომ მსოფლიო ფეხბურთის ეპიცენტრში აღარ იმყოფებით? "ფრანს ფუტბოლისა" და ფიფას ლონისძიებებმა თქვენს გარეშე ჩაიარა. მოდაში ახლა კაკა, მესი და კრისტიანო რონალდო არიან...**

- მათი წარმატებები ძალიან მახარებს. კაკას პირადად მივულოცე წარმატება. ის გენიალური ფეხბურთელია. მე რაც შემეხება, ჯერ არაფერი დამიკარგავს. ახალგაზრდა ვარ და მუხლში ძალა მერჩის. ეჭვი არ მეპარება, მსოფლიო ფეხბურთის ეპიცენტრში ძალიან მალე დავბრუნდები და კვლავ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ვიქნები.

**- ამდენი ვისაუბრეთ, მაგრამ მაინც ვერ დავადგინეთ, რა არის თქვენი რეგრესის კონკრეტული მიზეზი.**

- ზუსტი პასუხი, ალბათ, არ არსებობს, რადგან ყველას საკუთარი შეხედულება აქვს. ზოგჯერ იმის გამო მაკრიტიკებენ, ბურთის ზედმეტად ტარება მიყვარს, სინამდვილეში, როცა მცველთან ერთი ერთზე ვრჩები, მიჭირს მისი მოტყუება არ ვცადო და მეკარესთან პირისპირ გავიდე.

**- თქვენც ნადით კომპრომისზე და ამით კეთილგანწყობას დაიმსახურებთ.**

- კომპრომისზე? ვერასოდეს შევძლებ სანახაობასთან კომპრომისზე წასვლას. ცრუ მოძრაობა ხომ ფეხბურთის მშვენება და სილამაზეა. ამ მაგიის გარეშე ეს დიდი თამაში არ იარსებებს. მხოლოდ გამიზნული პასები რომ ვაკეთოთ, ფეხბურთი გეომეტრია გახდება. პრობლემა არა მცველის მოტყუების მცდელობა, არამედ ისაა, თუ რამდენად მზად ხარ ამისთვის. განა წარმოგიდგენიათ ფორვარდმა მცველი მოატყუოს, საჯარიმოში შეიჭრას, გოლი გაიტანოს და ვინმე ამით უკმაყოფილო დარჩეს?! ხალხი მხოლოდ მაშინ გისტვენს, როცა მცველს ვერ ატყუებ. მოკლედ, მთავარია კარგ ფორმაში იყო და ის გააკეთო, რაც გეხერხება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანოს წიგნი

# საფეხბურთო ისტორიები

(დასაწყისი №41)

ბევრმა არ იცის დიად მეათე ნომერზე იმდენი, რამდენიც ექიმმა **დარიო რუბენ ოლივამ**, რომელიც **დიეგოს** ფორმის სწრაფად აღდგენაში ეხმარებოდა და ტკივილებს უყუჩებდა. ერთხელ, "ნაპოლიში" ფიზმომზადების მწვრთნელმა **ფერნანდო სინიორინომ** რჩევა ჰკითხა დოქტორს - როგორ დაეგეგმა მათი საერთო ქვეშევრდომის ბურთის გარეშე ფიზიკური მომზადება, რაც **მარადონას** ასე ძალიან არ უყვარდა. ამაზე ოლივამ უპასუხა: *"გინახავთ ოდესმე ფიზმომზადებით დაკავებული კატა? მარადონა კატაა. იმისთვის, რომ ის ფორმაში იყოს, საკმარისია სწორად კვება და დასვენება"*. რა თქმა უნდა, გადამეტებული დასკვნაა, მაგრამ ის გვეხმარება მარადონას ფენომენის აღქმაში.

არასრულფასოვანი ვარჯიშები, ზედმეტი წონა და აკრძალულ პრეპარატებთან დაკავშირებული პრობლემები - მხოლოდ მას შეეძლო საკუთარი თავისთვის ასეთი უპასუხისმგებლობის უფლება მიეცა. ყოველ შემთხვევაში, ამას ხელი არ შეუშლია დიეგოსთვის "ნაპოლიში" მისვლიდან მესამე წელს, გუნდში ჩემპიონი გაეხადა და იმ სეზონში 28 მატჩში 16 გოლი გაეტანა.

მარადონა არა მხოლოდ გამარჯვების მიმართ იყო გაუმაძღარი, იგივე ითქმის საჭმელზე. *"106 დღე რჩება"*, - მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, დიეგოს გონზე მოყვანას ცდილობდა ფერნანდო სინიორინო. *"90 დღით ადრე დავიწყოთ"*, - პასუხობდა მარადონა და მუნდიალამდე 90 დღით ადრე, მან თავისი ნებისყოფა ფეხბურთის სამსახურს დაუკავშირა.

მარადონამ დაივიწყა რა იყო შაქარი და მარილი, თავის რაციონში ხილი, ბოსტნეული და თეთრი ხორცი შეიტანა - ყველაფერი მცირე რაოდენობით. ამავდროულად, მასაჟისტები მის სხეულზე დღეში ორ-ორი საათი მუშაობდნენ. სამ კვირაში მუსკულატურას 4 კილოგამი მოაკლდა. ფეხბურთის მეფეს მომრგვალებები მოშორდა.

შეუძლებელია ჩამოთვალო ის ყველაფერი, რაც დიადი მარადონას შესაქმნელად გაკეთდა. *"სინამდვილეში ეს ყველაფერი ძალიან მარტივია, - თქვა მოგვიანებით სინიორინომ. - იმიტომ, რომ მარადონა - ეს არის "როლს როისი", რომელიც შემთხვევით ანგარში იქნა გადაგდებული. საჭიროა მხოლოდ მტვერის გადაწმენდა და მისი ბრწყინვალებადე მიყვანა"*.

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრები ამ "როლს როისით" გავიდა პირველ ადგილზე, შემდეგ კი, "ნაპოლი" მივიდა 1987 და 1990 წლებში სკუდეტომდე. სულმოუთქმელებმა, რომლებსაც უკვე დასამარებული ჰყავდათ დიეგო, შესაძლებლობა მიიღეს, გარკვეული ხანი კიდევ დამტკბარიყვნენ მისი ოსტატობით. მხოლოდ სულელებსა და უტვინოებს შეუძლიათ თავს დაესხნენ იმას, რაც მათ სიხარულს ანიჭებთ.

1986 წელს, მექსიკაში, მარადონას ჯადოსნურმა მარტკუთხედმა **ხორხე ბურუჩაგა** მოიცვა და ნაპერწკალივით გაჩნდა გადაცემა, რომელმაც ხორხეს დიდებისკენ გაუხსნა გზა. ბურუჩაგა იმედით სავსე თვალებით გაიქცა, შუმახერი მას შეშინებული თვალებით ელოდა. არსებობს სამართლიანობა იმაში, რომ იმედი შიშს ამარცხებს. და გოლი შედგა. ორი მილიარდი ტელემაყურებელი მოტყუების საშუალებას არ მომცემს. ბურუჩაგა არანორმალური ყვირილით ("გ-ო-ო-ო-ლ!!!") სირბილს აგრძელებდა. შემდეგ მუხლებზე დაეცა, ცისკენ ხელები აღმართა და ასე გამოხატა მადლიერება იმ სიხარულისთვის, რომელიც მას თავს დაატყდა და სიცოცხლის ბოლომდე გაყვება. სათამაშო რჩებოდა ოთხი წუთი და ამ გოლმა არგენტინა მსოფლიო ჩემპიონი გახადა.

ფეხბურთში სიხარულსა და მწუხარებას შორის დისტანცია წამებით იზომება. იტალია 90-ს მექსიკა 86-სგან ოთხი წელი აშორებდა. ეს ის დროა, რომელიც მარადონამ "ნაპოლის" საერთაშორისო თუ იტალიურ ტიტულებს მიუძღვნა, ბურუჩაგამ კი, ორი წელი დაკარგა საავადმყოფოებში მოგზაურობით, რადგან ფრანგული "ნანტის" სამსახურში მისი მუხლები აღარაფრადვარგოდა. ამ დროის განმავლობაში, არგენტინის ნაკრებმა 31 მატჩი გამართა და მხოლოდ 6 გამარჯვებას მიაღწია, ეროვნულმა ფეხბურთმა კი, გააგრძელა მოთამაშეებისა და შესაბამისად გატანილი გოლების ექსპორტი.

დაკარგული იმიჯის აღდგენა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე გრძელდებოდა. საწვრთნელ შეკრებაზე **კარლოს ბილარდომ** იტალიური ავიაკომპანიის "ალიტალიას" დევიზი გაახმოვანა: *"ვინც არ დაფრინავს... ის ვერ იგებს"*. ირჩეოდნენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც უნდა შეძლებოდათ საკმაოდ მაღალ სიმაღლეზე ალმართულ მავრთულხლართზე გადახტომა. მე მაგალითად, ბილარდოს აზრით, ასეთ გამოცდას ვერ გავუძლებდი.

არგენტინის ნაკრების მწვრთნელი საკუთარ თავს მეტოქის მორჯულების სპეციალისტად თვლიდა, რადგან უფრო მეტ ყურადღებას დაცვას უთმობდა, ვიდრე შეტევას. მხოლოდ მარადონას ეძლეოდა თავისუფალი მოქმედების საშუალება. ათი დანარჩენი მოედანზე ზუსტად და მკაცრად განსაზღვრული დავალებებით გადიოდა და თავი ათასგვარი ტაქტიკური სქემებით ჰქონდათ გამოჭედილი. ბილარდო მექსიკური სქემის ერთგული დარჩა: მეკარე ყოველგვარი ტრიუკების გარეშე, ლიბერო, რომელიც ბურთზე და მეტოქეზე თამაშობს; ორი სტოპერი; ერთ მუშტად შეკრული ნახევარდაცვა და ორი თავდამსხმელი.

არგენტინას შეეძლო მოეგო ან წაეგო, ეთამაშა ცუდად ან კარგად, მაგრამ ვერავინ იტყოდა, რომ ეს გუნდი - იმპოვიზატორი იყო. პირიქით, პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ არგენტინის თამაში იოლად იკითხებოდა. ყველა შეტევა მარადონაზე და ბურუჩაგაზე გადიოდა და ამას ყველა ხვდებოდა.

ბურუჩაგა გამოჯანმრთელდა და ისე გადაადგილდებოდა, როგორც სახლში დადიან, როცა ბაშვებს სძინავთ: ფეხის წვერებზე მიპარვია და თანაც მოხრილი. ვერ ვიტყვი, რომ ეს მალავდა, პირიქით, უფრო წარმოაჩენდა მის ნიჭს. ის სწორედ იმ ადგილას იმყოფებოდა, სადაც საჭირო იყო, დარბოდა იმდენს, რამდენიც საჭირო იყო და პასებს ზუსტად მეტოქის დაუცველ ზონებში გზავნიდა.

მარადონაზე იმის თქმაც საკმარისია, რომ მისი ყველა მოქმედება ბრწყინვალედ ირაციონალური იყო.

ამ კომპანიაში მესამე წევრი გახდა **კლაუდიო კანიჯა**, ქერათმიანი ფორვარდი, რომელიც "ატლანტაში" თამაშობდა და რომელზეც მარადონა ამბობდა: *"როცა კლაუდიო ტურბინას ჩართავს, მისი გაჩერება შეუძლებელია"*. ბურუჩაგას მეცნიერებასა და მარადონას გენიალურობას, აშკარად სჭირდებოდა მსოფლიო ჩემპიონატის 528 მონაწილეს შორის ყველაზე სწრაფი კანიჯას სიჩქარე. სამწუხაროა, რომ კლაუდიომ ზედმეტი გაფრთხილებების გამო ფინალში ვერ ითამაშა.

საბოლოოდ, ფინალში მარადონას ერთადერთი მოკავშირე დაუტოვეს - ბურუჩაგა, თუმცა თავად მეფე მეფედ დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ გადამწყვეტ მატჩში არგენტინამ გერმანიასთან წააგო და მარადონამ ტახტი დაკარგა.

*"მარადონა - ეს არის ადამიანი და ტყავის ბურთი ერთად შერწყმული"*, - მღეროდა **ანდრეს კალამარიო** და მართალი იყო. იმ დღეს, როცა დიეგომ ფეხბურთს თავი დაანება, მას ეს ბურთი მოგლიჯეს. და იქედან მოყოლებული, მის დაცემას საზღვარი არ აქვს. ალბათ, ვერცერთი ადამიანი მსოფლიოში მას ვერ შეედრება ჯერ ალმასვლის სიმაღლითა და შემდეგ დაცემის სიღრმით.

მართალია კალამარიო იმაში, რომ ვინც მარადონას გზას გაივლიდა, ვერავინ დაუბრუნდებოდა ცხოვრებას ჩვეულებრივ ადამიანად. ვიცი, რომ ის ნარკოტიკებზე დამოკიდებული დიდი ხნის წინათ გახდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მას მარცხენა ფეხზე ტყავის ბურთი მიენება. არცერთი ჩვენთაგანი არ დათანხმდებოდა მიეყიდა სული სატანისთვის იმის სანაცვლოდ, რომ მარადონასავით ეთამაშა. თუმცა დარწმუნებული ვარ, დღეს დიეგო ბევრს გაიღებდა იმისთვის, რომ სხვანაირი ყოფილიყო. მაინც რა სუსტები არიან, ეს ფეხბურთის ღმერთები!

დიეგო ყველას წარმოდგენაში გმირია. მან ჩვენ ბედნიერები გაგვხადა, გამარჯვების სული გადმოგვცა. მაგრამ ლამაზი მოგონებები აკლია მომავალს. ბურთის გარეშე, მარადონა მხოლოდ ადამიანია, რომელიც ვერ პოულობს საკუთარ თავში ძალასა და საშუალებას დამკვიდრდეს თავის მოგონებებზე მაღლა. მხოლოდ კოკაინს აჰყავს ის ისევ ოლიმპზე, საიდანაც ნამდვილი ღმერთები არ უნდა ჩამოდიოდნენ. მაგრამ კოკაინი მხოლოდ თავის მოტყუებაა, ამიტომაც, როცა შენ მიწაზე ბრუნდები, მოგონებების ნაცვლად გრჩება სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა, პრობლემები პოლიციასთან და ჟურნალისტებთან.

მარადონა უნივერსალური აზროვნების მსხვერპლი გახდა, რომელმაც შეიძლება ნებისმიერს აურიოს გონება. მსხვერპლი იმ ადამიანებისა, რომლებმაც 80-იან წლებში კოკაინი მოდურ გასართობად აქციეს. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ეს, მხოლოდ და მხოლოდ, მოდური სათამაშოა წარმატებული ადამიანებისთვის. ამასთან ერთად, მარადონა საკუთარი აზროვნების მსხვერპლიცაა, რადგან ჩათვალა, რომ ნიჭმა ის ზეადამიანად გადააქცია, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი მტერი დაამარცხოს, მათ შორის ნარკოტიკიც.



ახლა, მარადონა ყველა ინტერვიუში დახმარებას ითხოვს, მილიონობით ადამიანს ის ძველებურად უყვარს და დარდობს მის გამო. მათ შორის მეც. შეუძლებელია არ დაინახო საფრთხე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ არ ვიცით და არასოდეს გვეცოდინება, როგორ დავეხმაროთ მას.

## ურუგვაი, დიადი ფეხბურთელების სამშობლო

მინიატურულ კოლუმბიაზე ათჯერ პატარა ურუგვაი, საფეხბურთო საზომით ნამდვილი გიგანტია. ურუგვაელებმა 1924 წელს, სამხრეთ ამერიკას პირველი ოლიმპიური ოქროს მედლები აჩუქეს. პარიზული ტრიუმფი ოთხი წლის თავზე, არგენტინასთან ბრძოლის შემდეგ ამსტერდამში გაიმეორეს. ამ გამარჯვების გამო, მთელი მონტევიდეო რამდენიმე დღე და ღამე ზეიმობდა და სკანდირებდა: *"თუ ინგლისი ფეხბურთის დედაა, ურუგვაი - მისი მამა გახლავთ"*.

როგორც ფეხბურთის მამას, ურუგვაის პირველი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის პატივი ერგო. ეს მოვლენა დაემთხვა ურუგვაის დაუმოკიდებელი აღმოსავლეთი რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღების 100 წლისთავს. "სენტენარიო" - ასე დაარქვეს საფეხბურთო სტადიონს, რომელიც ამ თარიღისთვის ააშენეს. ეს იყო ერთადერთი არენა მუნდიალზე და ერთადერთი მოწმე ცისფერების კიდევ ერთი ტრიუმფისა. ურუგვაის ფეხბურთის დიდების თასი პირთამდე გაივსო. *"ეროვნული ნაკრები - ეს თავად სამშობლოა"*, - იმეორებდა სამ ტურნირზე დიადი გუნდის დიადი კაპიტნის, **ხოსე ნასასის** სიტყვებს მთელი ქვეყანა.

მომდევნო ორი მსოფლიო ჩემპიონატი ევროპაში გაიმართა - იტალიაში და შემდეგ საფრანგეთში. ურუგვაელებმა ამ ტურნირებზე მონაწილეობისგან თავი შეიკავეს. შემდეგ საქვეში ომი ჩაერია. 1950 წელს, მუნდიალის ფინალური ეტაპი ბრაზილიას მიანდეს და ქვეყანამ ტურნირი იმ იმედით ჩაატარა, რომ ჩემპიონატი მისი გუნდის ტრიუმფით დასრულდებოდა.

ფინალში დიდი ოთხეული თამაშობდა - ბრაზილია, ურუგვაი, შვედეთი და ესპანეთი და რადგან ურუგვაიმ ფრედ ითამაშა ესპანეთთან, ბოლო მატჩში ბრაზილიას ფრეც ჰყოფნიდა პირველ ჩემპიონთან დაპირისპირებაში. მაგრამ მთელი ბრაზილია და მათ შორის "მარაკანაზე" შეკრებილი 200 ათასი მაყურებელი ერთ კარში გატანილ ბევრ გოლს ითხოვდა და წინასწარმეტყველებდა. მეტოქე სათვალავში არ მიიღებოდა და ეს უდიდესი შეცდომა სტუმრებმა კარგად გამოიყენეს.

1950 წლის 16 ივლისს, ურუგვაელებმა ისეთი რამ ჩაიდინეს, რამაც მსოფლიოში maracanazo-ს სახელი მიიღო. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, ბრაზილიამ მეორე ტაიმში ანგარიში გახსნა, მაგრამ **ობდულიო ვარელამ**, მებრძოლი სულის მულატმა, კაპიტანმა და სულიერმა ბელადმა მხრებზე მოიკიდა მთელი გუნდი და ის **სკიაფინოსა** და **ჰიგიას** გოლებამდე მიიყვანა. მას სჯეროდა, რომ ისტორია - სერიოზული მეცნიერებაა. შემდეგ მთელი ურუგვაი იმეორებდა მის სიტყვებს: *"ჩვენ პატივი უნდა ვცეთ და დავიცვათ ფანტასტიკური მემკვიდრეობა"*. დასამახსოვრებელი იყო ურუგვაის ნაკრების მეკარის, **მასპოლის** სიტყვებიც, რომელიც ასე ჟღერდა: *"ცისფერი მაისურა - ეს წმინდათა წმინდაა"*.

(გაგრძელება იქნება)



ხოსე ნასასიმ (მარჯვნივ) ურუგვაის სამ ტრიუმფალურ ტურნირზე უკაპიტნა



მარადონა საკუთარი აზროვნების მსხვერპლი გახდა



სერგი ათუაშვილი

ტრანსფერი

# ათუაშვილის მესამე კლუბი ორ თვეში...

**ყველაზე ტანმაღალმა ქართველმა კალათბურთელმა სერგო ათუაშვილმა წლევანდელ სეზონში მეორე კლუბი გამოიცვალა: "ალიტურისა" და "კალევის" შემდეგ სერგო ესტონურ ტტუ-ში ითამაშებს.**

ეს ინფორმაცია გუშინ ესტონურ ელექტრონულ პრესაში გავრცელდა. იქვე საუბარია ტრანსფერის მიზეზებზე: *"ესტონურ "კალევში" სერიოზული ცვლილებები მოხდა. კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გაუფორმა ამერიკელ მეფარე ჯეიმს ალენს, რომელიც მანამდე "რაკვერეს" ღირსებას იცავდა და საშუალოდ 18 ქულასა და 7.3 მოხსნას აგროვებდა. სამაგიეროდ, კალეველებმა სხვა გუნდებში გაუშვეს ორი კალათბურთელი - სერგო ათუაშვილი და კრისტო სააგე. პირველი კარიერას ტტუ-ში გააგრძელებს, ხოლო მეორე "ტარსალუში"*.

ვიდრე სერგოს ახალ კლუბზე ვიტყოდეთ, შეგახსენებთ, რომ იგი საქართველოდან 2002 წელს წავიდა, ჯერ ფრანგულ "შალონში" ირიცხებოდა, შემდეგ პორტუგალიაში გადავიდა და "ბარიერენსეს" ღირსებას იცავდა. ათუაშვილმა 2006-07 წლების სეზონი ლიტვაში გაატარა და "ნეპტუნასთან" ერთად იქაურ ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, ხოლო 2007 წლის შემოდგომით შედარებით სუსტ ლიტვურ კლუბ "ალიტუსში" გადავიდა, თუმცა ფეხი ვერც იქ მოიკიდა და 2008 წლის თებერვალში ესტონურ "კალევში" აღმოჩნდა.

რადგან ამ აბზაცს კითხულობთ, პირველი აბზაცი წაკითხული გექნებათ და შეხსენება აღარ დაგჭირდებათ, რომ სერგო ათუაშვილმა გუშინ "კალევიც" დატოვა და ტტუ-ში გადაბარგდა. კალეველთა მაისურით მან ესტონეთის ჩემპიონატში ერთადერთი მატჩის ჩატარება მოასწრო: "პარნუსთან" 90:81 მოგებულ შეხვედრაში სერგომ 8 წუთი ითამაშა, 8 ქულა (3-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო) და 3 მოხსნა ჩაიწერა.

222 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრი ტტუ-ში სათამაშო დროის მომატების იმედით გადავიდა. წესითა და რიგით, აუტსაიდერ გუნდში მას მართლაც მეტი წუთები უნდა ერგოს. აი, უშველის თუ არა ათუაშვილის დამატება თავად ტტუ-ს, ამაზე წინასწარ საუბარი ძნელია. რადგან გუნდი ჩემპიონატში ბოლო, მეათე ადგილზეა, 25 შეხვედრიდან მხოლოდ 4 აქვს მოგებული და მეცხრეადგილოსან "რაკვერეს" 2 მოგებით ჩამორჩება.

ტტუ-ში სერგოს დებიუტი 8 მარტს შედგება - ტტუ "ფაუსტოს" უმასპინძლებს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# ცინცაძე ბალტიის საუკეთესო გამთამაშებელია

შეიძლება ხმამაღლა ჟღერდეს, მაგრამ გულშემატკივართა აზრს ვერსად გავექცევით - **გიორგი ცინცაძე** ბალტიის ლიგის საუკეთესო გამთამაშებელია.

ბალტიის თასის ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარეობს გამოკითხვა - ვინ არის ლიგის საუკთესო გამთამაშებელი? ჯერჯერობით, ყველაზე მეტი ხმა "ტარტუ როკის" ქართველ უკანახაზელ გიორგი ცინცაძეს აქვს - 695. ეს ხმების საერთო რაოდენობის 29 პროცენტია.

მეორე ადგილზეა ლატვიური "რიგის" გამთამაშებელი კურტის მილაგე, რომელიც გიორგის მხოლოდ 5 ხმით ჩამორჩება - 690. მესამეა ლიტვის "ჟალგირისის" წევრი ლამონტ კოლინზი - 494 ხმა (20 პროცენტი), ხოლო მეოთხეა ლიტვური "რიტასის" ამერიკელი ფლეიმეიქერი პოლის პრინსი - 353 (15 პროცენტი).ვისარგებლებთ შემთხვევით და შეგახსენებთ, რომ მიმდინარეობს კიდევ ერთი გამოკითხვა, რომლის შედეგს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს - თუ გიორგი ცინცაძემ ხმების საკმარისი რაოდენობა მიიღო, აპრილში ევროთასის "ოლ სტარში" კვიპროსში ითამაშებს. ქართველ ქომაგს შეუძლია ბუს ხმა www.Fibaurope.com-ზე შეაწიოს.

ბოლოს დავძენთ, რომ გიორგის "როკი" ევროთასის მეოთხედფინალის მესამე, გადამწყვეტ შეხვედრას 4 მარტს გამართავს. "ტარტუ"-"ურალს" შორის გამარჯვებული ბრძოლას ნახევარფინალში განაგრძობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



გიორგი ცინცაძე

# არისი ევროლიგას ფორმალურად შერჩა

სალონიკის "არისმა" ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე მესამე მატჩი წააგო და ფინალურ ოთხეულში მოხვედრის პრაქტიკული შანსი დაკარგა. **ვლადიმერ ბოისას** თანაკლუბელები შინ, ესპანურ "ტაუსთან" 69:87 მარცხის შემდეგ E ჯგუფის სატურნირო ცხრილში მეოთხე პოზიციაზე არიან და აწი დარჩენილი სამივე შეხვედრის მოგება უტოვებთ პირველი ადგილის დაკავების შანსს, თუმცა ამასთან აუცილებელია, "ტაუს" სტუმრად 19 და მეტი ქულის სხვაობით მოუგონ. "მაგრამ ბასკეთში არა 19 ქულით, არამედ ერთი ქულის სხვაობით "არისის" გამარჯვებაც წარმოუდგენელია. ასე რომ, გორდონ ჰერბერტის შეგირდები ევროლიგის მომდევნო სამ მატჩს ყოველგვარი წნეხის გარეშე ჩაატარებენ და იქნებ ცხრილის ფსკერს თავი დააღწიონ.

ახლა, რაც შეეხება "არისი"-"ტაუს" სალონიკურ დაპირისპირებას. მრავალნაცად ფრაზას გამოვიყენებ: სტუმრებმა შეხვედრის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს. დიდ შესვენებაზე სოლიდური ფორით გავიდნენ (45:27). მეორე ნახევარში საინტერესო მხოლოდ ციფრები იყო, მესამე და მეოთხე პერიოდები ერთნაირი ანგარიშით დასრულდა - 21:21.

მეოთხე ათწუთეულის 21-დან 2 ქულა ვლადიმერ ბოისას ანგარიშზე იყო, რომელმაც 13 წუთში 3 ორქულიანი ააცილა. 2 საჯარიმო გამოიყენა და 2 ქულას 3 მოხსნა წაამატა. მატჩის სნაიპერი "არისის" ამერიკელი უკანახაზელი **ბრეისი რაითი** გახდა. მის ანგარიშზე 24 ქულაა.

**ფენერბაჰჩე (თურ.)-რიტასი (ლიტვა) 95:91 დ.დ.**
**არისი (საბერძ.)-ტაუ (ესპანეთი) 69:87**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტაუ | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ფენერბაჰჩე | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. რიტასი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 3. არისი | 3 | 0 | 3 | 3 |

ქვემო ქართლის თასის გათამაშება

# გარდაბანი პირველია

26-28 თებერვალს, ბოლნისსა და მცხეთაში, ქვემო ქართლის მხარის კალათბურთის ფედერაციის ორგანიზებით, გაიმართა ქვემო ქართლის თასის გათამაშება 16-წლამდელ კალათბურთელებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 4 რაიონის ამდენივე წარმომადგენელმა (ბოლნისი, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი). ფინალში გარდაბნის გუნდმა (მწვრთნელი - ილია კეჭაყმაძე) 58:44 დაამარცხა მარნეულელები (მწვრთნელი – ზაზა გაბისონია) და ქვემო ქართლის თასს დაეუფლა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ტურნირის ყველა მონაწილეს საჩუქრად გადასცა კალათბურთის ბურთები. აგრეთვე, საქართველოს კალათბურთისა და ქვემო ქართლის მხარის კალათბურთის ფედერაციები ამზადებენ რამდენიმე პროექტს აღნიშნულ რეგიონში კალათბურთის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის.:.

www.gbf.ge




## ანტიკური ჭიდაობა

მსოფლიო თასი

# ბრინჯაოს ვერ შესწვდნენ

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა წარუმატებლად დაასრულა გამოსვლა უნგრულ სომბათჰეიში, მსოფლიო თასზე - გუშინ ბრინჯაოსთვის გამართული შეხვედრა ირანელებთან 2:5 დათმო და მეოთხე ადგილზე გავიდა. ამჯერად **ბეგი დარჩიამ** უძლიერესი შემადგენლობა აჭიდავა, თუმცა მაინც ვერაფერს გახდა. ჩვენებურთაგან მხოლოდ **ბადრი ხასაიამ** (84) და **დავით ბედინაძემ** (60) იმარჯვეს, სხვები კი დამარცხდნენ. მართალია, შეჯიბრება დამთავრდა, მაგრამ ჩვენები იქვე რჩებიან და ამ უქმეებზე უკვე "ოქროს დიდი პრიზის" ტურნირში იჭიდავებენ.

## ძიუდო

მსოფლიო თასი

# ვარშავასა და პრაღაში

**ამ უქმეებზე ქართველი ძიუდოისტები სეზონის ბოლო მსოფლიო თასებზე იჭიდავებენ. ამჯერად კაცებთან ერთად, სეზონში პირველად ქალებიც გამოვლენ - ვარშავაში, ხოლო კაცთა გუნდი პრაღაში გამოვა.**

კაცთა ნაკრებმა ერთკვირიანი შეკრება ჰამბურგში გაიარა, სადაც სუპერთასის დამთავრების შემდეგ ტრადიციული ერთობლივი შეკრება ჩატარდა. ჩვენებმა ჯერ იქ ივარჯიშეს და გუშინ პრაღაში გადავიდნენ. **შოთა ხაბარელის** განკარგულებაში ეს შემადგენლობაა: **ნესტორ ხერგიანი და მინდია ხომიზური** (66), **ზაზა კედელაშვილი და ზურაბ დილებაშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი და საბა გავაშელიშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე და ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) **და ლაშა გუჯეჯიანი** (+100). ამათგან ხერგიანმა, კედელაშვილმა, ცირეკიძემ, ჟორჟოლიანმა და გუჯეჯიანმა უკვე გაინაღდეს 11-13 აპრილს ლისაბონში გასამართ ევროპის პირველობაზე ჭიდაობა. ოღონდ იქ ხერგიანი 60-ში, ხოლო კედელაშვილი 66-ში იჭიდავებენ. პორტუგალიაში **დავით ქევხიშვილის** (73) წასვლაც გადაწყვეტილია, მაგრამ მას ტურნირებისგან ასვენებენ.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენები ევროპის პირველობამდე ტურნირებში არ გამოვლენ, ძირითადი ბირთვისთვის ანუ ლისაბონში წამსვლელთათვის ეს სასტარტო ტურნირია, აი, 81-ში კი შესარჩევის ფუნქციასაც ატარებს. აქ ნაკრებში მოსახვედრად **ბაინდურაშვილი** და **გავაშელიშვილი** იბრძვიან. ამ ეტაპზე მცირე უპირატესობა ბაინდურაშვილის მხარესაა, რომელმაც ფედერაციას ოლიმპიური ლიცენზიაც მოუპოვა, მაგრამ მწვრთნელები შანსს გავაშელიშვილსაც აძლევენ.

არსებითად, თითქმის ყველაფერი გარკვეულია 90-შიც, რაც ქომაგთა ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს - აქ უდავო ფავორიტი ცირეკიძეა და ზვიადაურმა პრაღაში სასწაული უნდა მოახდინოს, ლისაბონში წასვლის კანდიდატად ისევ რომ დარჩეს. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ წლეულს ჩვეულ ფორმაში ვერც ცირეკიძეა და დაველოდოთ ხვალინდელ დღეს, როცა 90-ის ფალავნები იჭიდავებენ. აქვე იმასაც გეტყვით, დღეს 60, 66 და 73-ის ფალავნები იასპარეზებენ, დანარჩენები - ხვალ.

ვარშავაში საქართველოდან ორი სპორტსმენი იჭიდავებს - **ლუიზა ფევაძე** (57) და **თინათინ ქულოსაშვილი** (63). ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა, ახლო წარსულის სახელოვანმა ფალავანმა, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა პრიზიორმა **გია თენაძემ** ეს დეუტი საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით შეარჩია და აშკარაა, აქცენტი ახალგაზრდებზე აილო. პრაქტიკულად, ჩვენმა ქალებმა ლიცენზიების მოპოვების ყველა შანსი დაკარგეს და მწვრთნელი უფრო მომავალ ოლიმპიურ ციკლზე ფიქრობს, ვიდრე მიმდინარეზე. ამათგან ქულოსაშვილი ბევრად გამოცდილია - სექტემბერში მსოფლიო პირველობაზეც კი გამოვიდა, ფევაძე კი ამ რანგის ტურნირში პირველად იჭიდავებს. ორივე ჩვენებური დღეს იასპარეზებს. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ, წინასწარი მონაცემებით, ვარშავაში 41 ნაკრები იჭიდავებს, როცა ჩვენ 38 გუნდი გაგვიხარდა.

**ირაკლი თავაძე**

## სროლა

ევროპის ჩემპიონატი

# ქალები დღეს ისვრიან

შვეიცარიულ ვინტერტურში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში და გუშინ ქართველთა ჯერიც დადგა - ჩვენი სამკაცა გუნდიდან ცეცხლის ხაზზე პირველი **ლევან ქადაგიძე** დადგა. სამწუხაროდ, ქადაგიძემ ძალზე სუსტად იასპარეზა - 560 ქულით 68 მონაწილეს შორის 61-ე ადგილი დაიკავა. შედარებისთვის გეტყვით, რომ გამარჯვებულმა რუსმა **ლეონიდ ეკიმოვმა** 591 ქულით გაიმარჯვა. არადა, ქადაგიძე ლიცენზიის მოპოვების კანდიდატადაც კი განიხილებოდა. მართალია, არა უპირველეს პრეტენდენტად, მაგრამ მაინც - ამგვარ წარმატებას მთლად ბოლომდე არ გამორიცხავდნენ და შვეიცარიაშიც ამიტომ წაიყვანეს. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ვერცხლი სომეხმა **ნორაირ ბახტამიანმა** მოიპოვა - 583, მესამეზე კი ფრანგი **ფრენკ დიუმულენი** გავიდა 582-ით, რომელმაც დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა თანაგუნდელ **ვალტერ ლაპერეს** და ბულგარელ **ტანიუ კირიაკოვს**.

დღეს 10-მეტრიან დისტანციაზე ქალებიც ისვრიან. მათ შორის, ორი ჩვენებურიცაა - ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ნინო უჩაძე**. სალუქვაძემ ლიცენზია ჯერ კიდევ სამი წლის წინათ მოიპოვა, ახლა კი უჩაძისგანაც ველოდებით წარმატებას.

## ჩოგბურთი

# ქვაცაბაია მეწყვილემ მიატოვა

18 წლის **ანა ტატიშვილმა** წარუმატებლად იასპარეზა ფლორიდის შტატის კურორტ ფორტ უოლტონ ბიჩში, სადაც ქართველმა ტურნირის (25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გაღწევა კი შეძლო, მაგრამ იქ პირველივე წრეში დამარცხდა. ტატიშვილის მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი კორეელი **იე რა ლი** იყო, მატჩი ორ სეტში დასრულდა – 4:6, 4:6. არადა გამარჯვების შემთხვევაში ტატიშვილი უბრძოლველად გავიდოდა მეოთხედფინალში, რადგან შემდეგმა მეტოქემ, პორტუგალიელმა **ფრედერიკა პიედადემ** პირველი წრის მოგების მიუხედავად ტურნირზე ასპარეზობა აღარ გააგრძელა.

გერმანულ ბიუხენში დახურულ კორტებზე მცირე საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის ძირითად ბადეში ქართველი **სოფიო შაფათავა** მე-7 ნომრად განთესეს. მერვედფინალში სოფიომ შვეიცარიელ **ნიკოლ რინერთან** წააგო – 4:6, 6:2, 3:6. წყვილთა თანრიგში სოფიო შაფათავა ხორვატ **ანა ბეზიაკთან** ერთად მეოთხედფინალში დამარცხდა. **ოქსანა კალაშნიკოვა** გერმანელ **რია დოირნემანთან** ერთად (პირველ ნომრად განთესილები) უბრძოლველად გავიდა ტურნირის ნახევარფინალში.

ესპანურ სანტ ბოიში (10 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგში ნახევარფინალში გაალწია **სოფიო ქვაცაბაიამ** (**ჩეხ სიმონა დობრასთან** ერთად), თუმცა იქ ამ დუეტს არ უთამაშია, დობრა, მოულოდნელად, ერთეულთა თანრიგის ფინალში გავიდა საკვალიფიკაციო ბადიდან და წყვილებში თამაში მიანება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭადრაკი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# შეწირვა არ ამართლებს...

ჯერ მხოლოდ მეორე ტურია და უკვე იმდენი დამაინტრიგებელი მოხდა, რომ შეიძლება მთელ ტურნირს ჰყოფნოდა: თვალსაჩინოა ლიდერთა ფიასკო, უფროსი თაობის არცთუ დამაჯერებელი თამაში და ახალგაზრდული ძალა, რომელიც მთელი თავისი ხისტობით და უკომპრომისობით ცდილობს, მოიპოვოს ადგილი მზის ქვეშ. ჯერჯერობით, ამას ახერხებენ და შეძლებენ თუ არა ინერციის შენარჩუნებას, დრო გამოაჩენს.

გვსურს **სალომე მელიასა** და **ნინო ხურციძის** პარტიით დავიწყოთ, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე გვიან დასრულდა და ზუსტად 5 საათი გასტანა. ამ პარტიას გამორჩევა კიდევ ორი მოტივით ერგება: ხურციძე ჩემპიონატის რეიტინგფავორიტია (2441) და ზედიზედ მეორედ დამარცხდა, ხოლო მელიამ მეორედაც იმარჯვა და ორი ქულით ერთ-ერთი ლიდერთაგანი გახდა. ამჯერად თეთრებით სალომე იყო და დებიუტიდანვე მოიპოვა უპირატესობა. ნელ-ნელა მეტოქეს მარწუხები მოუჭირა და თუმცა გაუგრძელდა სასურველი შედეგის მიღება, ბოლოს მაინც იძალა. სალომე აშკარად კარგ ფორმაშია და ამას მხოლოდ ამ მოგებით არ ვსაზღვრავთ: გასული ერთი თვის განმავლობაში ჯერ "მოსკვა-ოუფენზე" ითამაშა წარმატებით, შემდეგ ფრანგულ ქალაქ კაპელაშიც კარგი შედეგი აჩვენა, რითაც კაცთა შორის საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა. მოგეხსენებათ, ასეთი ნორმა ქალთა დიდოსტატობაზე მაღალია და ნებისმიერი მოჭადრაკისთვის ასეთი მიღწევა უმნიშვნელოვანესია. სალომეს წოდებას ოფიციალურად ფიდე რამდენიმე ხანში მიანიჭებს. სხვათა შორის, მელიას მიღწევა უნიკალურია აჭარის ჭადრაკის ისტორიაში: აქამდე ამ წოდებას მამაკაცი მოჭადრაკეც ვერ ფლობდა.

მოულოდნელია **ბელა ხოტენაშვილის** ორი სასტარტო მარცხიც. მართალია, იგი რეიტინგით მეთერთმეტეა, მაგრამ დიდი პოტენციალი გააჩნია და მისგან უფრო ველოდით ფავორიტების შევიწროებას. პირველ ტურში თეთრებით ძაგნიძესთან წააგო, გუშინ კი შავებით დამარცხდა **სოფიკო გურამიშვილთან**. გურამიშვილის ნიჭიერება არაერთხელ გვითქვამს და ბელასთან დაპირისპირებაში ეს ერთხელაც დაადასტურა. სოფიომ დებიუტი სტაბილურად გაითამაშა, ისე, რომ შავებს შეტევისთვის ძალა არ ჰქონდათ. ხოტენაშვილმა კი აქტიურობა ირჩია და ინიციატივის დასაუფლებლად პაიკი შეწირა. სოფომ შეწირვა მიიღო და ღია თამაში გაჩაღდა. შავებმა მართლაც მიიღეს სივრცე შეტევისთვის, მაგრამ რამდენად წარმატებულად დასრულდებოდა მანევრი, ვერ იტყოდი - დაფაზე ყველა ფიგურა იდგა და თეთრებს მატერიალის შენარჩუნების შანსიც ჰქონდათ. სოფომ მშვენივრად გაართვა თავი ამოცანას და ჯერ ერთი პაიკი მოიგო, შემდეგ მძიმე ფიგურები გაცვალა და დარჩენილი მატერიალით გამარჯვება აღარ გასჭირვებია. ეს მოგება უმაღლეს ლიგაში პირველი იყო გურამიშვილისთვის - მოგეხსენებათ, იგი, **ქეთი წაწალაშვილთან** ერთად პირველად ასპარეზობს ფინალურ ეტაპზე.

წაწალაშვილი ვახსენეთ და აუცილებლად გამოსარჩევია მისი შეხვედრა **სოფიკო ტერელაძესთან**. პირველ ტურში ქეთიმ ყაიმით ითამაშა შავებით და დებიუტი წარმატებულად გახსნა. გუშინ კი, თეთრები ერგო. მონდომების მიუხედავად, საწყისი უპირატესობა მალევე დაკარგა და უარესი პოზიცია მიიღო. ტერელაძე თავს უკეთ დაბოლოებებში გრძნობს და თუკი დებიუტიდან კარგად გამოვიდა, როგორც წესი, გამარჯვება აღარ უჭირს. ამჯერადაც ასე ვიფიქრეთ - იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდა, რომ პარტიისთვის თვალის დევნებაც აღარ მოვისურვეთ. ტერელაძე კია ძლიერი ენდშპილში, მაგრამ წაწალაშვილს ერთი თვისება გამოარჩევს - ბოლომდე იბრძვის და არაფრით ნებდება მეტოქეს. ამან იმდენჯერ ახეირა ქეთი, რომ ვგონებ, პარტიის თავში და შუაში ნაკლებად ფიქრობს და მთელ ყურადღებას ენდშპილს აქცევს. ასე იყო პირველ ტურშიც და ასე მოხდა მეორეშიც: სოფომ შეცდომა დაუშვა, რაც უმალ გამოიყენა წაწალაშვილმა და თავი ნაგებისგან დაიხსნა - ყაიმს მიაღწია.

ძალიან საინტერესოდ წარმართა **ნანა ძაგნიძისა** და **ინგა ხურცილავას** შეხვედრა. შავებით მოთამაშე ხურცილავამ უპირატესობა იგდო ხელთ და მეტოქის მეფეზე იერიში ლაზიერითა და ეტლით მიიტანა; მსუბუქი ფიგურების დახმარებაც იყო საჭირო და მათ სათანადო ადგილზე გადაყვანას შეეცადა, მაგრამ სწორედ ამ მანევრში და გათვლებში შეცდა: თეთრებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა და იქით გაუხდა თავი დასაცავი. მისდა სამწუხაროდ, ეს ველარ შეძლო და დამარცხდა. ინგამ პირველ ტურში ქულა გაიყო, ნანას კი მოგებული ჰქონდა და მელიასთან ერთად ჩემპიონატის ლიდერი გახდა.

დუეტის დაწევა შეეძლო **მაია ლომინეიშვილს**, მაგრამ **ინგა ჭარხალაშვილთან** თეთრი ფერი გუშინ მოსაგებად ვერ გამოადგა. დებიუტში ოდნავ უარესი პოზიციაც მიიღო, მაგრამ შემდეგ მეტოქის პასიურობა გამოიყენა და ინიციატივა იგდო ხელთ. პოზიცია ჩახურული იყო და ზუსტი მანევრირება იყო საჭირო - თითქმის შეძლო კიდეც ლომინეიშვილმა სასურველი ფორპოსტის შექმნა, შავები ლამის ცუგცვანგში მოხვდნენ, თუმცა მაია გაუმართლებლად აჩქარდა და უმალ დასაცავად გაუხდა საქმე. მისდა ბედად შეცდომა ფატალური არ იყო და სვლების გამეორებით ყაიმი დააფიქსირეს.

კიდევ ერთი საინტერესო, შემოქმედებითი პარტია შედგა მესამე დაფაზე, სადაც თეთრებით **სოფიკო ნიკოლაძე სოფიო გვეტაძეს** შეხვდა. ნიკოლაძემ, რომელმაც პირველ ტურში მარცხი იწვნია, მოგებაზე ითამაშა და შუა თამაშში ხარისხი შეწირა. გათვლა სწორი იყო და დივიდენდებიც მიიღო, მაგრამ რაღაც მომენტში იერიში შეანელა, რაც უპირატესობის გასანეიტრალებლად საკმარისი აღმოჩნდა. გვეტაძემ შეინარჩუნა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა.

კიდევ ერთი პარტია - **ნინო ბაციაშვილსა და სოფიკო ხუხაშვილს** შორის ზავით დამთავრდა. ამით წინა ტურშიც ნახევარი ქულის აღება შეძლეს. ნინოსთვის ეს შედეგი არ არის ცუდი, მაგრამ ხუხაშვილი შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია და ალბათ, უკმაყოფილო იქნება...

როგორც მეორე ტურმა გამოაჩინა, შეწირვებმა და რისკმა არ გაამართლა. სადაც გართულებისგან თავი შეიკავეს, იქ ყაიმი დაფიქსირდა. არ ვიცი, გაითვალისწინებენ თუ არა ქალბატონები ამ გამოცდილებას, მაგრამ ურისკოდ რომ შამპანურს ვერ დალევ, კარგადაა ცნობილი. წლევანდელი ჩემპიონატი კი გვარიან საპრიზოს ითვლის და ღირს ჩიტი ბრძოლვნად!..

მეორე ტური: მაია ლომინეიშვილი-ინგა ჭარხალაშვილი-0.5:0.5; სალომე მელია-ნინო ხურციძე-1:0; სოფიო ნიკოლაძე-სოფიო გვეტაძე-0:1; ქეთი წაწალაშვილი-სოფიოკო ტერელაძე-0.5:0.5; ნინო ბაციაშვილი-სოფიკო ხუხაშვილი-0.5:0.5; ნანა ძაგნიძე-ინგა ხურცილავა-1:0; სოფიკო გურამიშვილი-ბელა ხოტენაშვილი-1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 1-2. ნანა ძაგნიძე, სალომე მელია-2; 3-5. ინგა ჭარხალაშვილი, სოფიკო ტერელაძე, მაია ლომინეიშვილი-1.5; 6-8. სოფიკო გურამიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, სოფიო გვეტაძე-1; 9-10. ქეთი წაწალაშვილი, ნინო ბაციაშვილი-1; 11. ინგა ხურცილავა-0.5; 12-14. ბელა ხოტენაშვილი, ნინო ხურციძე, სოფიო ნიკოლაძე-0.

მესამე ტურში: ხოტენაშვილი-ლომინეიშვილი; ხურცილავა-გურამიშვილი; ხუხაშვილი-ძაგნიძე; ტერელაძე-ბაციაშვილი; გვეტაძე-წაწალაშვილი; ხურციძე-ნიკოლაძე; ჭარხალაშვილი-მელია.

**ზვიად შათირიშვილი**



თამაზ მდინარაძე



# პირველობა, მანეჟი, ლიცენზიები...

**დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში გუშინ დაიწყო საქართველოს ჭერქვეშა ეროვნული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის 17 რეგიონის 250 მძლეოსანი. გეგმის მიხედვით, შეჯიბრება ერთი კვირის წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ გაითვალისწინა რამდენიმე რეგიონის თხოვნა, რომელთა წარმომადგენლებიც დიდთოვლობის გამო თბილისში ვერ ჩამოდიოდნენ.**

მართალია, ჩემპიონატში 17 გუნდი მოგროვდა, მაგრამ უამინდობამ და უგზოობამ მაინც შეუშალა ხელი რამდენიმე რეგიონს. თბილისში ვერ ჩამოვიდნენ ხონელი, სენაკელი, ჩხოროწყუელი, ხობელი, ნალენჯიხელი, ასპინძელი, მესტიელი და ყაზბეგელი მძლეოსნები.

ჩემპიონატი დღეს დასრულდება. სპორტსმენები დილის 11 საათიდან შეუდგებიან მედლებისათვის ბრძოლას. შეჯიბრების საბოლოო შედეგებს ორშაბათის ნომერში გაცნობებთ, დღეს კი საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ **თამაზ მდინარაძის** ინტერვიუს გთავაზობთ, რომელმაც საინტერესო სიახლეები გაგვიმხილა.

- ჯერჯერობით, ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და შედეგებზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ეროვნულ ჩემპიონატს ვატარებთ და ამდენი რეგიონი ჩამოდის, უდავოდ დადებითი მოვლენაა. სამწუხაროდ, ახალს ვერაფერ ვიტყვი იმით, რომ ამჟამად ქართულ მძლეოსნობას დიდად სახარბიელო პერიოდი არ უდგას. შესაბამისად, გვიჭირს, რომ სპორტსმენებს მაღალი შედეგები მოვთხოვოთ - განსაკუთრებით რეგიონების წარმომადგენლებს. თუმცა, ახლახან, ერთი დიდი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა.

**- კერძოდ?**

- დიდუბის მანეჟი გადაეცა თბილისის მძლეოსნობის სკოლას, რაც ძალიან კარგი ამბავია. ახლახან, აქ მოსულები იყვნენ მერიიდან მამუკა ქაცარავა და მისი მოადგილე ზაზა დოლიძე, რომლებმაც გვითხრეს, რომ მერია საკუთარ თავზე აიღებს მანეჟის რესტავრაციას. თუმცა არც მძლეოსნობის ფედერაცია იქნება გულხელდაკრეფილი. ჩვენი მხრივ, ინვენტარს შევიძენთ.

**- ვაკის მანეჟის გაყიდვიდან შემოსული თანხით, ახალი მანეჟის მშენებლობას აპირებდით...**

- რაკილა დიდუბის არენა გადმოგვეცა, ახალი მანეჟის მშენებლობა გადავიფიქრეთ. ჯობია ერთი გვქონდეს და ხარისხიანი, ვიდრე ორი და და მათ აშენება-მოწესრიგებისათვის თანხა არ გვეყოს. ამ ეტაპზე, თბილისს მხოლოდ დიდუბის მანეჟიც სავსებით ეყოფა. იგი კარგ ადგილზე მდებარეობს და თანამედროვე სტანდარტებსაც შეესაბამება. სხვათა შორის, დღეს საღამოს ვატარებთ მძლეოსნობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობას, სადაც განვიხილავთ ვაკის მანეჟის აქციების გასხვისების საკითხს. აქციებიდან სოლიდურ თანხას მივიღებთ, რომელსაც მთლიანად მძლეოსნობის განვითარებას და მოვახმართ.

**- წლეულს კიდევ რა მნიშვნელოვანი შეჯიბრებები გაქვთ დაგეგმილი?**

- 10 მაისს, ვაწყობთ მსოფლიო მძლეოსნობის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებას. ივნისის დასაწყისში, ეროვნულ სტადიონზე საგაზაფხულო ეროვნულ ჩემპიონატს ჩავატარებთ. 19-20 ივნისს, კი ჩვენი ეროვნული ნაკრები სლოვაკეთში იასპარეზებს ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე.

ამას გარდა, გვაქვს მშვენიერი ტურნირი - მაია აზარაშვილის სახელობის გარბენი. იგი 3 წლის განმავლობაში ბორჯომში ტარდებოდა, 2 წლის წინ კი თბილისში გადმოვიტანეთ. 99 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ აზარაშვილის გარბენი გაისად აჭარას ესტუმრება და ბათუმში ჩატარდება.

**- დასასრულ, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების საკითხზეც ვთქვათ. ახლახან, ბირთვის მკვრელმა მარიან ქევხიშვილმა ქართველ მძლეოსანთაგან პირველმა მოიპოვა პეკინის საგზური. კიდევ ვისგან ელოდებით ლიცენზიას?**

- კიდევ 4 სავარაუდო ლიცენზიანტი გვყავს, რომელთაც რეალურად შეუძლიათ პეკინში მოხვედრა. ახლახან, კიევიდან დროებით დაბრუნდა თარჯმრბენი დავით ილარიანი, რომელიც მალე ისევ უკრაინაში წავა და იქ გააგრძელებს სამზადისს. ილარიანისაგან ლიცენზიას ველით. ისევე გვეიმედება ნიჭიერი ბადროს მტყორცნელების - სალომე რიგიშვილისა და გიორგი ბედოშვილის. შარშან რთული ოპერაცია გაიკეთა შუბის მტყორცნელმა როსტომ ჭინჭარაულმა, მაგრამ მასაც ხელეწიფება ლიცენზიისათვის ბრძოლა.

**კობა ხატისაშვილი**

# რიგგარეშე ყრილობა

"თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, საქმეს კი საბოლოო სასიკეთო პირი უეჭველად უჩანს, საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის შემდეგ მეორე ასეთი სპორტული ორგანიზაცია იქნება ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც საკუთარი თანხა ექნება საბანკო ანგარიშზე და განკარგავს ისე, როგორც ამას ფედერაციის გამგეობა გადაწყვეტს". - გუშინ, ეს სიტყვები მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე წარმოთქვა თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ამ ფედერაციის უცვლელმა პრეზიდენტმა **თამაზ მდინარაძემ**. ყრილობამ ორი საკითხი განიხილა. პირველი ეს იყო ფედერაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, მეორე - ვაკეში მძლეოსნობის კომპლექსის ფედერაციის კუთვნილი აქციების გასხვისების შესახებ. პირველ საკითხზე მალე მიიღეს გადაწყვეტილება. მეორე საკითხთან დაკავშირებით, მართალია, დებატები გაიმართა, საბოლოოდ მხოლოდ ერთი წავიდა წინააღმდეგი და სამმა თავი შეიკავა, რაც ცხადია, საკმარისი არ აღმოჩნდა უმრავლესობის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების დასაბლოკად. "ლელოს" მკითხველს შევახსენებთ, რომ ზემოხსენებული მძლეოსნობის კომპლექსის აქციების 34 პროცენტი 1994 წელს შეიძინა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ, რაშიც საერთაშორისო ფედერაციის მიერ ნაჩუქარი 18 ათასი დოლარი გადაიხადა. ახლა, ამორტიზებული მანეჟი იყიდება და 34 პროცენტში დღეს უკვე 822 ათას დოლარს იხდის ინვესტორი. აი, ეს ფული დაიდება ბანკში და დივიდენდი მოხმარდება, როგორც ქვეყანაში მძლეოსნობის განვითარებას, ისე სპორტსმენთა ნახალისებას და ვეტერანთა კეთილდღეობას.



მაია აზარაშვილი, თამაზ მდინარაძე, რობერტ შავლაყაძე

**საკ. ინფორმაცია**

# ნოდარ კურტანიძე ოპტიმისტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

*1968-82 წლებში იყო თბილისის "დინამოს" წყალბურთელთა გუნდის, 1975-77 წლებში სსრკ ნაკრების წევრი. არის მსოფლიო თასის მფლობელი, ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალოსანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, წყალბურთის კლუბ "ივერიას" პრეზიდენტი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.*

**- ბატონო ნოდარ, დღეს თქვენი დაბადების დღეა, გილოცავთ!**

- დიდი მადლობა. მადლობა, რომ "ლელო" არ ივიწყებს ქართული სპორტის ვეტერანებს.

**- წყალბურთიდან წახვედით, მაგრამ არც წასულხართ. მუდამ მხარში ედექით კოლეგებს და ახალი თაობის წყალბურთელებს. მშენებელი ბრძანდებით. გიმუშავიათ მაღალ თანამდებობებზე. არავინ დაივიწყებს თქვენს სიკეთეს, რაც გააკეთეთ. თუნდაც რუსთავში თქვენი თაოსნობით აგებული საცურაო აუზი გავიხსენოთ...**

- იშვიათად, რომ სპორტის ვეტერანმა ზურგი შეაქციოს სპორტის იმ სახეობის სამყაროს, სადაც ახალგაზრდობის წლები გაატარა და პიროვნებად ჩამოყალიბდა.

**- ამჟამად რას საქმიანობთ?**

- ფირმა "ურბან-ენერგეტიკის" გენერალური დირექტორი ვარ.

**- ამბობენ, რამდენიმე ენა იცისო...**

- კი, ვლაპარაკობ რუსულად, ინგლისურად, თურქულად...

**- "ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსი დღეს კერძო საკუთრებაშია, მაგრამ თქვენ, ვეტერან წყალბურთელებს გადმოგეცათ მისი ექსპლუატაციის უფლება.**

- დიდი მადლობა ამისთვის. ახლა შეიძლება თამამად ითქვას, რომ გაჩნდა ქართული წყალბურთის, აგრეთვე ცურვის და სხვა საწყლოსნო სახეობების აღორძინება-გადარჩენის იმედი. დღეს, როგორც იტყვიან, სიტყვა ჩვენზეა.

**- წყალბურთელთა კლუბ "ივერიას" თქვენ ჩაუდექით სათავეში. ვეტერანები შემოიკრიბეთ?**

- კლუბის ჩამოყალიბებით შესაძლებლობა მოგვეცა დავდგეთ ყველა ერთად და ასევე ერთად ვილვაწოთ ჩვენი წყალბურთის, სხვა საწყლოსნო სახეობების სასიკეთოდ.

**- როგორი თანხვედრაა ოპტიმიზმსა და პრობლემებს შორის?**

- მთავარი პრინციპი პრობლემების მოგვარების გზაზე ურყევი ოპტიმიზმია. ასეთი რწმენა ყველას გაგვაჩნია კლუბში.

**- როდის გვეყოლება წყალბურთში ეროვნული ნაკრები?**

- ჩვენი და მხარში მდგომთა უმთავრესი მიზანი ეს არის, მაგრამ არა თვითმიზანი. ეროვნული ნაკრები პირამიდის წვერი უნდა იყოს. მაშასადამე უნდა გავააქტიუროთ მუშაობა საწყლოსნო სახეობების ყველა მიმართულებით. ცხადია, წყალბურთშიც არაერთი პრობლემის გადაჭრა გვმართებს, რაც საქართველოში სპორტის ამ სახეობის აღორძინების მტკიცე ბაზისს შექმნის. პრობლემების მოგვარებაში ასაკობრივი ნაკრებების შექმნასაც ვგულისხმობ.

**- "ლაგუნა-ვერე" მოსაწესრიგებელი იყო. როგორ მიდის საქმეები?**

- შიდა კომუნიკაციის ობიექტები გარემონტდა. ჯერ საბავშვო აუზი ამუშავდა, ამ ზაფხულისთვის ყველაფერი მოწესრიგებული იქნება უმაღლეს დონეზე.

**- აუზში ხშირად გიხილავთ?**

- კი, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლადაც და ახალბედების მასწავლებლადაც.

**- წყალი თქვენი სტიქიაა, ეს გასაგებია. კიდევ რა არის თქვენი ჰობი?**

- მოგზაურობა და მემორიალური ლიტერატურა, მეგობრებთან ურთიერთობა.

**- წარმატებებს გისურვებთ.**

- ულრმესი მადლობა ყველაფრისთვის.

ესაუბრა

**თენგიზ თომაშვილი**



ციგურაობა

# ჯაფარიძისა და ტობიასის საუკეთესო




სოფიაში ფიგურული ციგურაობის ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა **იზაბელა ტობიასისა** და **ოთარ ჯაფარიძის** ქართულმა წყვილმა – ყინულზე ცეკვებში მათ საბოლოოდ მე-14 ადგილი დაიკავეს, ისიც სასიხარულოა, რომ ტობიასი და ჯაფარიძე გზადაგზა აუმჯობესებდნენ შედეგებს. სოფიაში მსოფლიოს 50 ქვეყნის 207 სპორტსმენი ასპარეზობდა. ჩვენი წყვილი ამერიკაში **ნიკოლაი მოროზოვთან** ვარჯიშობს, ისევე როგორც - **ელენე გედევანიშვილი**. ოთარ ჯაფარიძე 20 წლისაა, ხოლო ნიუიორკელი იზაბელა ტობიასი 16 წლის.

სოფიაში იზაბელამ და ოთარმა თავიანთი საუკეთესო მიღწევა, 133,73 ქულა გააუმჯობესეს (134,26) და მე-14 ადგილი დაიკავეს. შარშან ჯაფარიძემ **ეკატერინა ზაიკინასთან** ერთად ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე მე-16 ადგილი დაიკავა. წლეულს ქართული წყვილი მოკლე პროგრამაში მე-15 იყო, ორიგინალურ ცეკვაში – მე-13, ხოლო თავისუფალში – მე-12.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალექსანრე ნაჭყებია

ახალი ამბები იუბილეზე

# ნაჭყებიას იუბილე და აიას პერსპექტივა

წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქუთაისის „აიამ" უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ქუთაისელი მორაგბეები სამჯერ გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და ორჯერ დაეუფლნენ სსრკ თასს. ამ სახელოვანი გუნდის ერთ-ერთ ნამყვან მოთამაშეს **ალექსანრე ნაჭყებიას** 27 თებერვალს 55 წელი შეუსრულდა. ღვაწლმოსილი სპორტსმენის იუბილე ქუთაისში სათანადოდ აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით 27-ე სარაგბო სკოლის მოედანზე გაიმართა ტურნირი დასავლეთ საქართველოს ბავშვთა გუნდებს შორის, შეჯიბრების შემდეგ კი მოეწყო საიუბილეო ბანკეტი.

**ალექსანდრე ნაჭყებიამ საქართველოს რაგბის კავშირსა და ქუთაისის მერიის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და განვლილი წლები გაიხსენა.**

- 55 წლის იუბილეს ამაღლებული განწყობით ვხვდები. რაგბის კავშირისა და ქალაქის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით ლამაზი ღონისძიება მოეწყო. განვლილი წლებით კმაყოფილი ვარ. მაგრამ ერთ რამეზე მწყდება გული - რამდენიმე მეგობარი უდროოდ გამოგვაკლდა. სამწუხაროდ ცოცხალი აღარ არიან ოლეგ ლიპარტელიანი, ავთო გიორგაძე, ბუკუჩი შვანგირაძე... ეს ის ხალხი იყო, რომლებმაც ქართული რაგბის ისტორიაში წარმატებული ფურცლები ჩაწერეს. „აიაში" 1980 წელს ოლეგ ლიპარტელიანთან და ავთო გიორგაძესთან ერთად ჩავირიცხე. 1984 წელს სსრკ ვიცეჩემპიონები გავხდით, 1987 წლიდან კი ჩემპიონობა ზედიზედ სამჯერ მოვიპოვეთ. 1987 წელს რომ გავხდით ჩემპიონები, ბევრმა აღნიშნა – შემთხვევით გაჩემპიონდნენო. 88-ში რომ გავიმარჯვეთ - აღარ ხუმრობენო, 1989-ში რომ ვიჩემპიონეთ მხოლოდ მაშინ აღიარეს - ესენი ნამდვილი ჩემპიონები ყოფილანო. მაშინ დიდი სენსაცია იყო პატარა ქალაქის გუნდი სსრკს რაგბს სათავეში რომ მოექცა. გულშემატკივრებისგან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდით. თასის ფინალს 20 000 კაცი დაესწრო, რაც სსრკ რაგბის ისტორიაში არ განმეორებულა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არ დაგვიკარგავს პირველობა. საქარველოს ჩემპიონები გავხდით და პირველი ეროვნული ნაკრები რომ შეიქმნა, ნახევარი გუნდი ქუთაისიდან ვიყავით. ეს გამარჯვებები იმით იყო კარგი, რომ ჩვენს ნაკვალევზე მომავალი თაობა წამოვიდა. საქართველოს ნაკრებში 5-6 მორგაბეს ქუთაისიდან სულ იწვევდნენ დღეს-დღეობით კი ჩვენს ქალაქში რაგბით 560 ბავშვია დაკავებული. ამჟამად მეგობრებთან ერთად მცირე ბიზნესით ვარ დაკავებული და რითაც შემიძლია, მორაგბეებს ყველანაირად ვეხმარები.

**ნაჭყებიას იუბილეზე ქუთაისში საქართველოს რაგბის კავშირის ახალი პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე იმყოფებოდა. მან ქუთაისის „აიასთან" დაკავშირებით სასიამოვნო სიახლე გაგვანდო:** - პირველ რიგში, ბატონ საშას მინდა მივულოცო იუბილე. მას ქართული რაგბის განვითარებაში ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის და ნამდვილად ღირსია ასეთი დაფასების. ქუთაისურ რაგბთან დაკავშირებით ძალიან დიდი გეგმები გვაქვს. გვინდა, ამ ქალაქში აღსდგეს ძველი ტრადიციები და ქუთაისი იქცეს ქართული რაგბის განვითარების ერთ-ერთ ძლიერ კერად. 27-სარაგბო სკოლაში 400-ზე მეტი ბავშვი ირიცხება, საქართველოს ნაკრები წარმოუდგენელია ქუთაისელი მორაგბეების გარეშე, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ ქალაქში ძლიერი სპეციალისტები მუშაობენ და მათ ხელშეწყობა და დაფასება სჭირდებათ. სწორედ ეს იქნება ჩვენი ოთხწლიანი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ერთ-ერთ წარმატებულ კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს „აიას" დაფინანსებასთან დაკავშირებით და იმედია ყველაფერი დადებითად გადაწყდება. მართალია, დღესდღეობით, კლუბები ბიზნესისთვის ნაკლებად საინტერესონი არიან, მაგრამ კლუბის დაფინანსების შემხვევაში რაგბის კავშირი კომპანიას თავის სარეკლამო სივრცეს სთავაზობს, რაც მათთვისაც საინტერესოა. ეს პროექტი უკვე წარმატებით ამუშავდა. „სილქ როუდმა" აიყვანა თბილისის „ლოკომოტივი" და ის ოფიციალურად გახდა ჩვენი სპონსორი. დააფინანსებს რომელიმე კომპანია ქუთაისის „აიას"? ისიც ავტომატურად გახდება ჩვენი მოკავშირე. ჩვენ კომპანიას შევთავაზებთ ისეთ პაკეტს, რომელიც მისთვის საინტერესო და მომგებიანი იქნება."

**როგორც ქუთაისის „აიას" მთავარმა მწვრთნელმა ემზარ ძაგნიძემ გვითხრა, „აიას" დაფინანსებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები კომპანია „ავერსთან" მიმდინარეობს და თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „აია" დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს.**

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

საქართველოს ნაკრები. U-20

# ჩილეში, ერთი საგზურისთვის

**მსოფლიოს ჩემპიონატი ოცწლამდელ მორაგბეთა შორის წლეულს პირველად იმართება. ტურნირს ჩილეს დედაქალაქი სანტიაგო უმასპინძლებს. აქამდე ამ ასაკის მორაგბეთა შორის FIRA AER-ის ეგიდით ევროპის ჩემპიონატი ტარდებოდა, რომელიც ერთხელ, 2005 წელს ლევან მგელაძისა და დავით კაკაბაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა მოიგო კიდეც.**

ჩილეში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრები B ჯგუფში იასპარეზებს და პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში კი, მომავალი წლიდან ელიტარულ A ჯგუფში გამოვა. ამ საგზურისთვის 15-27 აპრილს ჩილეში რვა გუნდი იბრძოლებს. საქართველოს ნაკრები მე-2 ჯგუფში ურუგვაის, კორეისა და იამაიკის გუნდებთან მოხვდა. პირველ ჯგუფში კი ჩილე, რუმინეთი, ნამიბია და კუკის კუნძულები იასპარეზებენ. გათამაშების ფორმატი ასეთია: ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები ფინალში ეთამაშებიან ერთმანეთს.

საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრების მწვრთნელებმა **ნიკოლოზ ჭავჭავაძემ და ლევან მაისაშვილმა** დღეისთვის 31 მორაგბე შეარჩიეს. ამათგან ჩილეში მხოლოდ 26 გაემგზავრება. გამგზავრების წინ ჩვენი გუნდი ორკვირიან შეკრებას გაივლის ტულუზში, სადაც რამდენიმე შეხვედრას გამართავს ფედერალ 1-ის კლუბებთან.

**საქართველოს U-20**

I ხაზი: **ვასილ კაკოვინი** (უნივერსიტეტი), **გიორგი ტორაძე** (აია), **გიორგი ცირეკიძე** (არმაზი), **ბექა სხულუხია** (აია), **ირაკლი მირცხულავა** (დინამო), **რევაზ ბასილაშვილი** (რუსთავი), **საბა ქართველიშვილი** (არმაზი), **გიორგი ჯაშიტაშვილი** (ყოჩები)

II ხაზი: **ბექა ნიკოლაიშვილი** (ყოჩები), **ალექსანდრე იორდანიშვილი** (ლელო), **დავით ჩიჩუა** (აჟენი)

III ხაზი: **არჩილ კობაური** (მასი), **ვლადიმერ ჩოჩიშვილი** (ყოჩები), **ვლადიმერ გუნიავა** (უნივერსიტეტი), **ვახტანგ მძინარიშვილი** (ლელო), **ირაკლი რევიშვილი** (აია), **ვახტანგ კოლელიშვილი** (ლელო).

9: **ლევან გოგია** (უნივერსიტეტი), **გიორგი ჭინჭარაული** (ლელო), **გიორგი როხვაძე** (აია).

10: **ბექა ნიკლაური** (უნივერსიტეტი), **ლაშა ხმალაძე** (ლელო).

12-13: **რატი ნუცუბიძე** (უნივერსიტეტი), **დავით გრძელიშვილი** (ყოჩები), **გიგა კორკელია** (ლელო), **ალექსანდრე ინაშვილი** (ყოჩები).

11-14: **ალექსი ტუჩაშვილი** (უნივერსიტეტი), **ჯაბა კიკვიძე** (ინგლისი), **მიხეილ ნიკლაური** (რუსთავი)

15: **გოდერძი ჯოგლიძე** (ლელო), **ვახტანგ კავთიძე** (უნივერსიტეტი).

საქართველოს ნაკრები. U-18




# კლერმონიდან ტრევიზოში



ჭაბუკებს კლერმონში ტიმ ლეინიც გაჰყვება

საქართველოს მორაგბეთა თვრამეტწლამდელთა ნაკრები ხვალ, გვიან ღამით, საფრანგეთში გაემგზავრება. ისინი კლერმონში, კლუბის ბაზაზე გაივლიან მზადებას, 15 მარტს კი ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში იტალიის ქალაქ ტრევიზოში ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებთან ერთად საფრანგეთში გაემგზავრება ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ტიმ ლეინი**, რომელიც კლერმონულ შეკრებაზე **პაატა ნარიმანაშვილს, დიმიტრი ობოლაძესა** და **ზურაბ ამონაშვილს** დაეხმარება.

საქართველოსა და ინგლისის ნაკრების გარდა იტალიაში მასპინძელთა, ირლანდიის, საფრანგეთის, რუსეთის, რუმინეთისა და ესპანეთის ნაკრებები იასპარეზებენ. ინგლისელებთან მარცხის შემთხვევაში ჩვენი მორაგბეების მეტოქე ირლანდიასა და რუსეთს შორის დამარცხებული იქნება.

ნაკრების მწვრთნელებმა ევროპის ჩემპიონატისთვის 26 მორაგბე შეარჩიეს, ამათგან რვა ქუთაისის "აიას" მოთამაშეა, ერთი - პატარძეულელი. გვყავს ერთი ლეგიონერი, საქართველოს ნაკრების საუკეთესო მექულეს, **პალიკო ჯიმშელაძის** დისშვილი **გიორგი ჯიმშელაძე**, რომელიც ამჟამად საფრანგეთის "ორიიაკში" ირიცხება. დანარჩენი მორაგბეები თბილისური კლუბების აღზრდილები არიან.

**საქართველოს U-18**

I ხაზი: **გიორგი გაბელია** (ლელო), **მიხეილ ნარიაშვილი** (აია), **დავით ბარბაქაძე** (ყოჩები), **ზვიად ესართია** (არმაზი), **შალვა მამუკაშვილი** (ყოჩები), **თორნიკე ლომიძე** (აია).

II ხაზი: **კონსტანტინე მიქაუტაძე**, **რევაზ ჟღენტი** (არმაზი), **ბაჩანა კოლელიშვილი** (ლელო), **ერეკლე მეტრეველი** (ჯიქები).

III ხაზი: **დავით ლოსაბერიძე**, **ლევან თხელიძე** (ორივე აია), **გიორგი ჭყოიძე**, **ვასილ კვერნაძე** (ორივე ლელო).

9: **ჯიმი ლამბაშიძე** (ლელო), **გიორგი წეველიძე** (უნივერსიტეტი).

10: **გაგა სინაურიძე** (აია)

12-13: **გიორგი ჯიმშელაძე** (ორიიაკი), **ანზორ ხიპაშვილი** (ლელო), **გიორგი მარგიანი** (აკადემია), **ზურაბ გოგლიჩიძე** (აია).

11-14: **ვანო გაბროშვილი** (პატარძეული), **ბექა ჭაბუკიანი** (ჯიქები), **გიორგი ონიანი** (აია).

15: **გიგა მშვენიერაძე** (აია), **უშანგი მჭედლიშვილი** (ლელო).

ევროპის ქალთა ჩემპიონატი

# ქართველი ქალების დებიუტი

საქართველოს მორაგბეთა ქალთა გუნდს წლეულს პირველად ეძლევა საშუალება, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე იასპარეზოს. ევროპის ჩემპიონატი 14-15 ივნისს საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟში გაიმართება და მონაწილე 11 გუნდის ვინაობა უკვე ცნობილია: საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი, უელსი, ირლანდია, იტალია, შვედეთი, რუსეთი, პორტუგალია, შოტლანდია და ჰოლანდია. დანარჩენ ხუთს შესარჩევი ტურნირი გამოავლენს.

24 ქვეყანა ორ ჯგუფადაა დანაწილებული. ჯგუფებში პირველი ორი გუნდი და საუკეთესო მესამეადგილოსანი ევროპის ჩემპიონატის საგზურს მიიღებს. საქართველოს ნაკრები A ჯგუფში მოხვდა, რომლის გათამაშებაც 10-11 მაისს ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაიმართება. ჩვენი გუნდის მეტოქეები მასპინძელთა გარდა იქნებიან - ფინეთის, ლიტვის, ავსტრიის, რუმინეთის, ისრაელის, ანდორის, ლუქსემბურგის, პოლონეთის, ლიტვისა და ბულგარეთის ქალთა ნაკრები გუნდები.

B ჯგუფში ბელგიაში 1-2 ივნისს იასპარეზებენ: ბელგიის, შვეიცარიის, მალტის, გერმანიის, მოლდოვას, დანიის, ნორვეგიის, უნგრეთის, ჩეხეთის, სერბეთის, ხორვატიისა და სლოვაკეთის გუნდები.

ბესიკ ჯანგავაძე

NBA. რეგულარული

# ტეხასური ამბები



ნოვიცკიმ ბოუენს აჯობა, მაგრამ სან ანტონიოს ვერა

"სპურსი" და "მავერიქსი" მიმდინარე რეგულარულში მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს და გრეგ პოპოვიჩის გუნდმა მეორე გამარჯვება მოიპოვა, ბოლო შეხვედრაში კი მასპინძელი უკვე "დალასი" იქნება.

მატჩის ერთ-ერთი ინტრიგა ორი პოზიციური დაპირისპირება იყო – **ტონი პარკერისა** და **ჯეისონ კიდის** ბრძოლა უკანა ხაზში და **ტიმ დანკანი vs დირკ ნოვიცკი.**

ვერც კიდმა გაიბრწყინა და პარკერმაც ბევრი შეცდომა დაუშვა, მძიმე ფორვარდების ბრძოლა კი ნამდვილად შედგა და გამარჯვება მოტივირებულმა მოიპოვა.

ნოვიცკიზე პოპოვიჩმა ამჯერადაც **ბრიუს ბოუენი** "დაგეშა", მაგრამ გერმანელმა სუპერვარსკვლავმა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველის მეურვეობა არაფრად ჩააგდო და თავისი წილი ქულები მაინც დააგროვა, საჯარიმოს ხაზიდან კი 21 სროლაში მხოლოდ 4 ვერ გამოიყენა. შედარებისთვის, მთელმა "სპურსმა" ოდენ 22 ჯარიმა შეასრულა (16 ჩააგდო).

სამხრეთ-დასავლეთის დივიზიონში "სპურსი" მეორე ადგილზე მყოფ "ნიუ ორლეანს" ერთი მოგებით უსწრებს და "მავერიქსზე" სამი წაგებით ნაკლები აქვს. იმავე "დალასს" კი "ჰიუსტონი" ენევა, თუმცა ერთხელაც შეგახსენებთ, რომ "როკეტსს" სეზონის ბოლომდე **იაო მინი** არ ეყოლება, რაც თავისთავად, დიდი დანაკლისია.

"დალასი" კი "ფინიქსის" დარად, ახალი სუპერშენაძენით მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. კიდის დამატების შემდეგ **ეივერი ჯონსონის** გუნდმა ხუთიდან სამი მატჩი მოიგო, მაგრამ ორივე კონკურენტთან - "ნიუ ორლეანთან" და "სან ანტონიოსთან" დამარცხდა.

*"პლეი ოფამდე დიდი დრო არ არის დარჩენილი და ყველა ხარვეზი მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა აღმოვფხვრათ. "სპურსთან" წაგება სირცხვილი არ არის, თუმცა ოდნავ რომ გაგვმართლებოდა, შეიძლება მოგვეგო კიდეც",* - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ჯონსონმა, რომლის გუნდმაც 14 სამიანიდან მხოლოდ 4 გამოიყენა და მატჩი 11 შეცდომით დაასრულა.

"სპურსისა" და "მავერიქსის" დაპირისპირება ბოლო წლებში ერთ-ერთი გამორჩეულია და პოპოვიჩის გუნდი ისე იოლად ველარ იგებს სერიებს, როგორც ეს "დალასში" **დონ ნელსონის** მოღვაწეობისას იყო. ჯონსონი უფრო მკაცრ კალათბურთს ათამაშებს გუნდს. ერთი ეგაა, რომ საპლეიოფოდ "დალასს" არ ჰყავს არათუ ძლიერი, არამედ ნორმალური მაღალი მოთამაშე, რომელიც სამწამიანს გადაკეტავს. ნოვიცკი ხომ ძირითადად პერიმეტრზე ადის და თუ ფარქვეშეთში რჩება, ინდივიდუალურ დაცვაში საკმაოდ სუსტია.

დანკანი კი ტრადიციულად, საუკეთესო ფორმაში საპლეიოფოდ შედის. თუ იანვრის დასაწყისში ტიმის საშუალო სტატისტიკა მხოლოდ 16.5 ქულა და 7.3 მოხსნა იყო, ახლა დანკანი 20 ქულასა და 11.6 მოხსნას გაუტოლდა და საშუალოდ 2 დაფარებასაც იხვეჭს.

ტიმმა ძირითადის დასრულებამდე 34 წამით ადრე, ორი საჯარიმო გამოიყენა, სტუმართა მომდევნო იერიშისას კი ნოვიცკიმ ჯერ სამიანი გააფუჭა, მერე კი საშუალო დისტანციიდანაც ვერ ივარგა.

საბოლოო ანგარიში კი **მაიკლ ფინლიმ** დააფიქსირა, რომელმაც ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა. სხვათა შორის, ჯონსონმა ბოლო 30 წამი კიდი არ ათამაშა, თუმცა ჯეისონმა აღნიშნა, გუნდი შეთამაშებულია, მე ახალი მოსული ვარ და ბოლომდე საერთო ენა ყველასთან არ გამომინახავსო.

■ ■ ■

გადავინაცვლოთ ისტ-რუზერფორდში, სადაც "ნიუ ჯერსიში" თავისი სადებიუტო შეხვედრა **დევინ ჰარისმა** ჩაატარა.

*"სიმართლე გითხრათ, ჩემი გვარის ასე აქტიურად სკანდირება დიდი ხანია არ გამიგია. იმედი მაქვს, რომ ეს არ იქნება ბოლო მატჩი, რომელშიც "ნეტსს" სარგებელს მოვუტან",* - ამბობდა პრესკონფერენციაზე ჰარისი, რომელმაც პირველ ნახევარში თამაშიდან ექვსივე სროლა გამოიყენა.

"ნიუ ჯერსიმ" მიმდინარე რეგულარულში "მილუოკის" ზედიზედ მესამე შეხვედრა მოუგო და **ბოსჩან ნახბარმა** ცამეტივე ქულა ბოლო მეოთხედში დააგროვა. "ბაქსი" კი მიმდინარე რეგულარულში 31-ე საგარეო შეხვედრაში 25-ედ დამარცხდა, პარალელურად კი ორმატჩიანი წარმატებული სერია შეუწყდა.

"ნეტსი" სუსტ აღმოსავლეთში, ალბათ, საბოლოოდ მაინც გავა პლეიოფში, მაგრამ იქ კი ნულოვანი პერსპექტივა ექნება. გუნდს არ ჰყავს ნორმალური ცენტრი და ოთხ ნომერზეც ბევრს ვერაფერს წარმოადგენს.

### სან ანტონიო–დალასი 97:94

22:25, 25:22, 26:25, 24:22

**სან ანტონიო:** დანკანი (31 ქ. 15 მ. 3 პ), ჯინობილი (17 ქ. 5 მ. 5 პ), ფინლი (16 ქ), ბ. ბოუენი (14 ქ. 4 მ. 2 დ), ტ. პარკერი (10 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ).

**დალასი:** ნოვიცკი (28 ქ. 6 მ), ჯოშ ჰოვარდი (16 ქ. 8 მ), სტექჰაუზი (16 ქ. 6 მ), კიდი (7 ქ. 10 პ. 4 მ. 2 ჩ).

### ლეიკერსი–მაიამი 106:88

26:19, 27:22, 20:17, 33:30

**ლეიკერსი:** ფარმარი (24 ქ. 4 მ. 3 პ. 3 ჩ), ბრაიანტი (21 ქ. 8 პ. 4 ჩ. 2 დ), ოდომი (13 ქ. 11 მ. 6 პ), გასოლი (13 ქ. 11 მ. 4 დ. 3 პ), ვუიაჩიჩი (12 ქ), უოლტონი (9 ქ. 11 მ. 4 პ), ტურიაფი (7 ქ. 12 მ. 3 დ).

**მაიამი:** უეიდი (18 ქ. 3 პ), რ. დეივისი (14 ქ. 9 პ. 4 მ), მერიონი (13 ქ. 11 მ. 3 პ. 2 ჩ), ბენქსი (13 ქ. 4 მ. 4 პ. 2 დ), ბლაუნტი (12 ქ. 6 მ).

### ნიუ ჯერსი–მილუოკი 120:106

32:23, 36:32, 23:30, 29:21

**ნიუ ჯერსი:** დ. ჰარისი (21 ქ. 5 პ), ვ. კარტერი (19 ქ. 5 პ), რ. ჯეფერსონი (19 ქ. 4 მ. 4 პ), ბუნი (14 ქ. 7 მ), ნახბარი (13 ქ), მარკუს უილიამსი (11 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ).

**მილუოკი:** რედი (33 ქ. 3 მ. 3 პ), მო უილიამსი (24 ქ. 7 პ. 4 მ. 2 ჩ), ბოგუტი (22 ქ. 15 მ. 4 პ. 3 ჩ. 2 დ), დ. მეისონი (10 ქ).

## NBA. მარტის კალენდარი

**1 მარტი**
ორლანდო-ნიუ იორკი
მემფისი-იუტა
მილუოკი-სან ანტონიო
ფინიქსი-ფილადელფია
კლიპერსი-დეტროიტი

**2 მარტი**
კლივლენდი-ჩიკაგო
ლეიკერსი-დალასი
ბოსტონი-ატლანტა
ინდიანა-მილუოკი
ნიუ ჯერსი-სან ანტონიო
ვაშინგტონი-ნ. ორლეანი
შარლოტი-ტორონტო
მინესოტა-სიეტლი
ჰიუსტონი-დენვერი
